

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ყოველკვარტალური გამოცემა
QUARTERLY PUBLICATION
ЕЖЕКВАРТАЛЬНОЕ ИЗДАНИЕ

ISSN 1512-0996
DOI:<https://doi.org/10.36073/1512-0996>

Certificate
ICI Journals master Lists

INDEX  COPERNICUS
I N T E R N A T I O N A L

ურობები
WORKS
ТРУДЫ

N3 (517)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2020

დასრულებულია 1924 წელს.
პერიოდულობა - 4 ნომერი წელიწადში.

საქართველოს ჟეიქნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის ყოველკვარცაღური მუდგიდისციპლინური რეფერირებადი პერიოდული გამოცემა, რომელიც რეგისტრირებულია საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - Index Copernicus International.

ყვედა უფდება დაცულია. ამ კრებულში გამოქვეყნებული ნებისმიერი სცაფიის (ჯექსცი, ფოფო, იღუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფონმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ავტორი (ავტორები) პასუხისმგებელია სცაფიის შინაარსზე და საავტორო უფლებებისა და სამეცნიერო ეთიკის საყოველთაოდ მიღებული სხვა ნორმების დაცვაზე.

სცაფიის ავტორის (ავტორების) პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახდის პოზიციას.

საგამომცემლო სახდი „ჯექნიკური უნივერსიტეტი“ გულწრფელი მადლიერებით მიიღებს ყვედა კონსტრუქციულ შენიშვნას, წინადადებას და გამოიყენებს საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

მოგვწერეთ:
sagamomcemlosakhli@yahoo.com

მოამბერი რედაქტორი
დ. გურგენიძე

მოამბერი რედაქტორის მოაღბილამბი:

- დ. კდიმიაშვიდი
- ბ. გასიფაშვიდი
- კ. კოპადიანი

სწაგლული მღიგბნი

- ო. გორგიძე

სარედაქტორო კოლმეზი:

- ა. აბშიღვა, პ. აბბნეხცი (გერმანია), ნ. ბალათურიას,
- გ. ბიბიდიშვიდი, პ. ბიედივი (სლოვაკეთი), ვ. ბურკოვი (რუსეთი), მ. ბურჯანაძე, ი. გაბისონია, გ. გავანდაშვიდი,
- ჯ. გახოვიძე, თ. გედაშვიდი, ბ. გვიშიანი, ბ. გუსევი (რუსეთი), დ. დბინისი (პოლონეთი), პ. ბუნკედი (ავსტრია),
- გ. თავაძე, დ. თავხედიძე, დ. ივანოვი (რუსეთი), ნ. იმნაძე,
- ა. კაბელოვი (უბბეკეთი), ბ. კაკულია, ვ. კვარაცხელია,
- გ. კვესცაძე, გ. კობახიძე, მ. კოსიორ-კაბბერევი (პოლონეთი), ი. კუტუბიძე, მ. კუხაღიშვიდი, ბ. ღომსაძე,
- პ. მამელოვი (აბერბაიჯანი), ვ. მაფვეევი (რუსეთი),
- ნ. მახვიდაძე, ე. მეძმარიაშვიდი, ს. მინასიანი (სომხეთი),
- ს. მიპარა (იაპონია), თ. ნაწრიაშვიდი, ა. ნონეშვიდი,
- ბ. ჟუმაგლოვი (ყაბახეთი), გ. საღუქვაძე, ა. სიკორსკი (პოლონეთი), ი. სკოჩკო (პოლონეთი), რ. სტურუა,
- ა. სუბუკი (იაპონია), გ. ცყემადაძე, ფ. უნგერი (ავსტრია),
- ა. ფაშაევი (აბერბაიჯანი), ა. ფრანგიშვიდი,
- გ. ქვარცხავა, რ. ქუთათელიაძე, ნ. ყავდაშვიდი, ნ. შავიშვიდი,
- ს. შმიდცი (გერმანია), პ. შტროერი (გერმანია),
- გ. ჩოგოვაძე, თ. ცინცაძე, თ. ძაგანია, ნ. წერეთელი,
- ბ. წვერიაძე, ნ. წიგნაძე, ა. ხვედიძე, რ. ხუროძე,
- ი. ჯაგოდნიშვიდი.

სამმცნიერო კონსულტანტმბი:

- ა. აბრადვა, გ. აბრამიშვიდი, ჯ. ბერიძე, ჯ. გაბელია,
- დ. გორგიძე, რ. გრიგოლია, შ. დევანოსიძე, რ. დიაკონიძე,
- შ. დოლონაძე, ჯ. იოსებიძე, თ. კაიშაური, ც. კვიციანი,
- ი. კვესელავა, ბ. კოვბირიძე, ნ. დოდაძე, თ. ღომინაძე,
- ნ. დომინაძე, თ. მაგრაქვედიძე, ი. მეგრელიშვიდი, გ. მედაძე,
- პ. მედაძე, მ. მეძმარიაშვიდი, დ. მძინარიაშვიდი, ბ. მხვიძე,
- თ. ნამიჩეიშვიდი, დ. ნაწროშვიდი, შ. ნაქყეობა,
- ა. სონლუდაშვიდი, თ. ფარესიშვიდი, დ. ყუფარაძე,
- ბ. შანშიაშვიდი, ა. ჩიქოვანი, თ. ჩუბინიშვიდი,
- ე. ცქიციშვიდი, ბ. ნამადაძე, კ. წერეთელი, შ. წეროძე,
- ნ. ქითანავა, მ. ხოსიფაშვიდი, თ. ჯაგოდნიშვიდი.

© საგამომცემლო სახდი „ჯექნიკური უნივერსიტეტი“, 2020



Founded in 1924.

Published in quarterly editions.

Collection of Academic Works of Georgian Technical University is a multidisciplinary quarterly refereed periodical included in Index Copernicus International.

All rights reserved. No material appearing in this publication (texts, images, illustrations and other visual) can in any form or by any means (electronic or manual) be used by other parties without prior written consent of the publisher.

Infringement of copyright is punishable by law.

Author (authors) is (are) responsible for content of the article as well as protection of copyright and compliance with generally accepted norms of academic ethics.

Judgements of the author (authors) and the publishing house may vary.

Publishing House „Technical University“ is open to constructive feedback and ideas for the purpose of continuous improvement.

Contact us:

sagamomcemlosakhli@yahoo.com

EDITOR-IN-CHIEF

D. Gurgenidze

DEPUTY EDITORS-IN-CHIEF:

L. Klimiashvili

Z. Gasitashvili

K. Kopaliani

SCIENTIFIC SECRETARY

Iv. Gorgidze

EDITORIAL BOARD:

A. Abshilava, H. Albrecht (Germany), N. Baghaturia,

G. Bibileishvili, P. Bielik (Slovakia),

M. Burjanadze, In. Burkov (Russia), G. Chogovadze, L. Dzienis

(Poland), T. Dzagania, I. Gabisonia, J. Gakhokidze,

G. Gavardashvili, O. Gelashvili, B. Gusev (Russia), Z. Gvishiani,

Iv. Jagodnishvili, N. Imnadze, L. Ivanov (Russia), A. Kabulov

(Uzbekistan), Z. Kakulia, N. Kavlashvili, R. Khurodze,

A. Khvedelidze, G. Kobakhidze, M. Kosior-Kazberuk (Poland),

M. Kukhaleishvili, R. Kutateladze, I. Kutubidze, V. Kvaratskhelia,

G. Kvartskhava, G. Kvesitadze, Z. Lomsadze, N. Makhviladze,

G. Mammadov (Azerbaijan), V. Matveev (Russia),

E. Medzmariashvili, S. Mihara (Japan), S. Minasyan (Armenia),

T. Natriashvili, A. Noneshvili, A. Pashayev (Azerbaijan),

A. Prangishvili, G. Salukvadze, S. Schmidt (Germany),

N. Shavishvili, A. Sikorski (Poland), I. Skotchko (Poland),

G. Stroer (Germany), R. Sturua, H. Sunkel (Austria), A. Suzuki

(Japan), G. Tavadze, D. Tavkheldidze, G. Tkemaladze, N. Tsereteli,

N. Tsignadze, T. Tsintsadze, Z. Tsveraidze, F. Unger (Austria),

B. Zhumagulov (Kazakhstan).

SCIENTIFIC ADVISERS:

A. Abralava, G. Abramishvili, J. Beridze, A. Chikovani,

N. Chitanava, T. Chubinshvili, Sh. Dekanosidze, R. Diakonidze,

Sh. Dogonadze, J. Gabelia, D. Gorgidze, R. Grigolia,

M. Khositashvili, J. Iosebidge, T. Jagodnishvili, T. Kaishauri,

Z. Kovziridze, L. Kuparadze, I. Kveselava, T. Kvitsiani,

N. Loladze, N. Lominadze, T. Lominadze, T. Magrakvelidze,

L. Mdzinarishvili, M. Medzmariashvili, I. Megrelishvili,

G. Meladze, H. Meladze, B. Mkheidze, Sh. Nachkebia,

O. Namicheishvili, D. Natroshvili, O. Paresishvili, B.

Shanshiashvili, A. Songulashvili, Z. Tsamalaidze, K. Tsereteli,

Sh. Tserodze, E. Tskitishvili.

© Publishing House „Technical University“, 2020

ISSN 1512-0996



Учрежден в 1924 году.
Периодичность – 4 номера в год

Сборник научных трудов Грузинского технического университета является ежеквартальным мультидисциплинарным реферируемым периодическим изданием, которое зарегистрировано в международной базе электронных данных – Index Copernicus International.

Защищены все права. Любую опубликованную в данном сборнике статью (текст, фото, иллюстрации) невозможно использовать ни одной из форм или средствами (электронными или механическими) без письменного разрешения издателя.

Нарушение авторских прав наказуемо законом.

Автор (авторы) несет ответственность за содержание статьи и защиту всеобщих принятых норм научной этики и авторских прав.

Мнение автора (авторов) статьи может не совпадать с мнением Издательского дома.

Издательский дом „Технический университет“ с благодарностью учтет все конструктивные замечания, предложения и использует их для совершенствования дальнейшей деятельности.

Пишите:
sagamomcemlosakhli@yahoo.com

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР

Д. Р. Гургенидзе

ЗАМЕСТИТЕЛЬ ГЛАВНОГО РЕДАКТОРА:

Л. Д. Климиашвили

З. А. Гаситашвили

К. В. Копалиани

УЧЕНЫЙ СЕКРЕТАРЬ

Ив. А. Горгидзе

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

А. Г. Абшилава, Г. Альбрехт (Германия), Н. Ш. Багатурия, Г. В. Бибилеишвили, П. Биелик (Словакия), В. Н. Бурков (Россия), М. С. Бурджанадзе, И. Т. Габисония, Г. В. Гавардашвили, Дж. В. Гахокидзе, З. Г. Гвишиани, О. Г. Гелашвили, Б. В. Гусев (Россия), И. Е. Джагоднишвили, Т. Б. Дзгания, Л. Дзиенис (Польша), Б. Жумагулов (Казахстан), Г. Зункель (Австрия), Л. А. Иванов (Россия), Н. Б. Имнадзе, А. В. Кабулов (Узбекистан), Н. В. Кавлашвили, Г. Р. Кварцхава, В. В. Кварацхелия, Г. И. Квеситадзе, З. Г. Какулия, Г. М. Кобахидзе, М. Косиор-Казберук (Польша), Р. Г. Кутателадзе, И. Ш. Кутубидзе, М. И. Кухалешвили, З. Дж. Ломсадзе, Г. А. Мамедов (Азербайджан), В. А. Матвеев (Россия), Н. Г. Махвиладзе, Э. В. Медзмаришвили, С. А. Минасян (Армения), С. Михара (Япония), Т. М. Натриашвили, А. И. Нонешвили, А. Пашаев (Азербайджан), А. И. Прангишвили, Г. Г. Салуквадзе, А. Сикорски (Польша), И. Скочко (Польша), Р. И. Стура, А. Сузуки (Япония), Г. Ф. Тавадзе, Д. Д. Тавхелидзе, Г. Ш. Ткемаладзе, Ф. Унгер (Австрия), А. М. Хведелидзе, Р. А. Хуродзе, З. Н. Цвераидзе, Н. И. Церетели, Н. Г. Цигнадзе, Т. Н. Цинцадзе, Г. Г. Чоговадзе, Н. К. Шавишвили, С. Шмидт (Германия), Г. Штроер (Германия).

НАУЧНЫЕ КОНСУЛЬТАНТЫ:

А. Г. Абралава, Г. С. Абрамишвили, Дж. Л. Беридзе, Дж. О. Габелия, Д. А. Горгидзе, Р. Ш. Григолия, Ш. В. Деканосидзе, Р. В. Диаконидзе, Ш. А. Догонадзе, Т. И. Джагоднишвили, Дж. С. Иосебидзе, Т. В. Каишаури, Т. А. Квициани, И. С. Квеселава, З. Д. Ковзиридзе, Л. П. Купарадзе, Н. Н. Лоладзе, Т. Н. Ломинадзе, Н. Н. Ломинадзе, Т. Ш. Маграквелидзе, Л. Д. Мдзинаришвили, И. Г. Мегрелишвили, Г. Г. Меладзе, Г. В. Меладзе, М. Э. Медзмаришвили, Б. С. Мхеидзе, О. М. Намичеишвили, Д. Г. Натрошвили, Ш. Ш. Начкебия, О. И. Паресашвили, А. В. Сонгулашвили, М. П. Хоситашвили, З. Б. Цамалаидзе, К. О. Церетели, Ш. П. Церодзе, Е. Т. Цкитишвили, Б. Г. Шаншиашвили, А. Б. Чиковани, Н. А. Читанава, Т. Н. Чубинишвили.

© Издательский дом „Технический университет“, 2020



შინაარსი

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებები

გიორგი ქვარცხავა, ვახტანგ უგრეხელიძე, ნინო ძირველიშვილი. დამბალხაჭოს მომწიფების დროს მიმდინარე პროცესები და ცხიმოვანი მჟავების გარდაქმნა	11
--	----

კომპიუტერული მეცნიერება

მერაბ ახოზაძე, მაია დოლიძე. ინტეგრირებული ვებპლატფორმის მათემატიკური მოდულის ინსტრუმენტები.....	21
არჩილ ფრანგიშვილი, ოლეგ ნამიჩიშვილი, მიხეილ რამაზაშვილი. კონვოლუციური ნეირონული ქსელები	33
რუსუდან ქუთათელაძე, ანა კობიაშვილი, ნოდარ დარჩიაშვილი. სატელეფონო საუბრის ანალიტიკა	57
რუსუდან ქუთათელაძე, ანა კობიაშვილი, ზურაბ მაისურაძე. სასამართლო საქმეების განაწილების ავტომატიზაცია.....	64

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და პლანეტოლოგია

თამარ რაზმაძე-ბროკიშვილი. ჰიდროგეოლოგიური პირობების პროგნოზირება წყალმომარაგების მიზნით.....	72
--	----

ენერჯია

ნათია არაბიძე, გია არაბიძე. განახლებადი ენერჯიების ათვისების ხელშეწყობა „მხარდაჭერის მექანიზმის გათვალისწინებით“	81
--	----

საინჟინრო საქმე

თამაზ მეგრელიძე, თამაზ ისაკაძე, გივი გუგულაშვილი. ახალი საყოფაცხოვრებო კონდიციონერი ჰაერის დატენიანების ფუნქციით	88
ლეონ მახარაძე. მრავალსაფეხურიანი ჰიდროსატრანსპორტო დანადგარის ტექნოლოგიური სქემა წიაღისეულისა და სხვა მყარი ფხვიერი მასალების მილსადენებით შორ მანძილებზე ტრანსპორტირებისათვის.....	95

მანანა თავხელიძე. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საექსპერტო შეფასების საკითხისადმი	104
ნიკოლოზ შავიშვილი, თამარ ჩუბინიძე. მემკვიდრეობის განსხვავებული აღქმა: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 7.....	112

მათემატიკა

ზურაბ აღდგომელაშვილი. ერთი ფუნდამენტური ამოცანის შესახებ ბიდიოფანტურ გეომეტრიულ ფიგურებზე.....	135
--	-----

სოციალური მეცნიერებები

მირანდა გურგენიძე, თამაზ ურთმელიძე. მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში	155
--	-----

ავტორთა საძიებელი	174
რეგენზენტთა საძიებელი	175
ავტორთა საყურადღებოდ	176

CONTENTS

Agricultural and Biological Sciences

- Giorgi Kvartskava, Vakhtang Ugrekheldze, Nino Dzirkvelishvili.** Current processes and conversion of fatty acids during the maturation of Dambalkhacho 11

Computer Science

- Merab Akhobadze, Maya Dolidze.** Math module tools of integrated web platform 21
- Archil Prangishvili, Oleg Namicheishvili, Mikhael Ramazashvili.** Convolutional Neural Networks 33
- Rusudan Kutateladze, Ana Kobiashvili, Nodar Darchiashvili.** Phone Conversation Analytics 57
- Rusudan Kutateladze, Ana Kobiashvili, Zurab Maisuradze.** Automation of Distribution of Court Cases 64

Earth and Planetary Sciences

- Tamar Razmadze-Brokolishvili.** Forecasting hydrogeological conditions for water supply 72

Energy

- Natia Arabidze, Gia Arabidze.** Promotion of the renewable energy exploitation considering the support mechanisms 81

Engineering

- Tamaz Megrelidze, Tamaz Isakadze, Givi Gugulashvili.** New design of air conditioner with air humidification function 88
- Leon Makharadze.** Technological scheme of a multistage hydrotransport facility for transportation of fossils and other solid loose materials by pipelines at far distances 95
- Manana Tavkheldze.** Expert evaluation issues of research projects 104
- Nikoloz Shavishvili, Tamara Chubinidze.** Controversial Perception of Heritage: Rustaveli Avenue № 7 112

Mathematics

Zurab Agdgomelashvili. About one Fundamental Task on Bidiophantine Geometric Figures 135

Social Sciences

Miranda Gurgenidze, Tamaz Urtmelidze. Scope of the debtor’s legal limitation in enforcement law 155

Author’s index 174

Reviewer’s index 175

Guidelines for Authors 182

СОДЕРЖАНИЕ

Аграрные и Биологические науки

Гиоргий Кварцхава, Вахтанг Угрехелидзе, Нино Дзирквелишвили. Современные процессы и превращение жирных кислот при созревании дамбалхачо..... 11

Компьютерные науки

Мераб Ахобадзе, Майя Долидзе. Инструменты математического модуля интегрированной веб-платформы 21

Арчил Прангишвили, Олег Намичейшвили, Михаил Рамазашвили. Сверточные нейронные сети 33

Русудан Кутателадзе, Ана Кобиашвили, Нодар Дарчиашвили. Аналитика телефонного разговора 57

Русудан Кутателадзе, Ана Кобиашвили, Зураб Маисурадзе. Автоматизация распределения судебных дел..... 64

Науки изучающие Землю и Планетология

Тамар Размадзе-Брокишвили. Прогнозирование гидрогеологических условий для водоснабжения 72

Энергия

Натия Арабидзе, Гия Арабидзе. Содействие освоению возобновляемых источников энергии "с учетом механизма поддержки" 81

Инженерное дело

Тамаз Мегрелидзе, Тамаз Исакадзе, Гиви Гугулашвили. Новая конструкция комнатного бытового кондиционера с функцией увлажнения воздуха 88

Леон Махарадзе. Технологическая схема многоступенчатой гидротранспортной установки для перевозки по трубопроводам полезных ископаемых и других твердых сыпучих материалов на большие расстояния..... 95

Манана Тавхелидзе. Вопросы оценки экспертной оценки научно-исследовательских проектов	104
Николоз Шавишвили, Тамара Чубинидзе. Спорное восприятие наследия: Тбилиси, Проспект Руставели № 7	112
Математика	
Зураб Агдгомелашвили. Об одной фундаментальной задаче бидиофантовым геометрическим фигурам.....	135
Социальные науки	
Миранда Гургенидзе, Тамаз Уртмелидзе. Пределы правовых ограничений должника в исполнительном законодательстве.....	155
Указатель авторов	174
Указатель рецензентов	175
К сведению авторов	185

UDC 665.327.2

SCOPUS CODE 1100

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-3-11-20>

დამბალხაჭოს მომწიფების დროს მიმდინარე პროცესები და ცხიმოვანი მჟავების გარდაქმნა

- გიორგი ქვარცხავა** სასურსათო ტექნოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, გურამიშვილის გამზ. 17
E-mail: g.kvartskava@gtu.ge
- ვახტანგ უგრეხელიძე** სასურსათო ტექნოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, გურამიშვილის გამზ. 17
E-mail: vakhtangugrekhelidze@yahoo.com
- ნინო ძირკველიშვილი** სასურსათო ტექნოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, გურამიშვილის გამზ. 17
E-mail: ninodzirkvelishvili@yahoo.com

რეცენზენტები:

მ. ბერეჟიანი, სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: malber@dr.com

მ. გუგუჩია, აგროინჟინერიის დოქტორი, ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

E-mail: maka05guguchia@gmail.com

ანოტაცია. საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრადიციული რძის პროდუქტი არის დამბალხაჭო, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ ქართული პროდუქტისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი თვისებრივი და ორგანოლექტიკური მახასიათებლებით.

დღემდე დამბალხაჭო მხოლოდ მცირე ფერმერულ მეურნეობებში მზადდება და შესაბამისად ბაზარზე საფუძვლიანად შესწავლილი ნაწარმი არ მოგვეპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთი გაუმჯობე-

სებული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება, რომლებიც განაპირობებს რძის ნაწარმის უვნებლობის უზრუნველყოფას მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანაა.

ტრადიციული რძემჟავა პროდუქტის ორგანოლექტიკური, ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური შესწავლა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი ხარისხის პროდუქტის მისაღებად, ფალსიფიცირების თავიდან ასაცილებლად და საკვები პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად.

სტატიაში განხილულია დამბალხაჭოს მომწიფების პროცესში მიმდინარე ბიო-ქიმიური გარდაქმნები.

დამბალხაჭოს ქიმიური შედგენილობისა და ტექნოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, ტრადიციული მეთოდების თანამედროვესთან შერწყმა, რომელიც განაპირობებს მზა პროდუქციის ბიოლოგიური ღირებულების ამაღლებას, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და სძენს მას მდიდარ ორგანოლექტიკურ და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებებს.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობა; ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა; რძის პროდუქტები.

შესავალი

საქართველოს რძის პროდუქტების წარმოების ასორტიმენტში დღემდე წარმოდგენილი არ არის დამბალხაჭო, რომელიც თავისი ორიგინალობით დიდი პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყვიტეთ პროდუქტის ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური შესწავლა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ამ უნიკალური პროდუქტის გემური თვისებები.

ძირითადი ნაწილი

მთელ მსოფლიოში აგრარული მეურნეობის ტემპის ზრდამ და სასურსათო პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობამ, განაპირობა შემუშავებული ყოფილიყო ახალი მეთოდები და მომხდარიყო არსებულის გაუმჯობესება.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიის მეთოდების ტრადიციულ მეთოდებთან შერწყმით შესაძლებელია დაჩქარდეს ტექნოლოგიური პროცესი და მივიღოთ სრულიად ახალი, უარყოფითი ფაქტორებისადმი გამძლე და უკეთესი საგემონო თვისებების მქონე პროდუქტი.

ტრადიციული რძემჟავა პროდუქტების მიკრობიოლოგიური, ბიოქიმიური და ორგანოლექტიკური შესწავლა უმნიშვნელოვანესია მაღალი ხარისხის პროდუქტის მისაღებად, საკვები პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად და ფალსიფიცირების თავიდან ასაცილებლად.

დამბალხაჭოს ხარისხის სტაბილურობის მისაღწევად საჭიროა ტრადიციული ხერხით დამზადებული დამბალხაჭოდან გამოყოფილი ბუნებრივი მიკროფლორის მახასიათებლების შესწავლა და ბიოტექნოლოგიურად პერსპექტიული სტარტერული კულტურების კომბინაციების შერჩევა, შესატანი დედოს ზუსტი მიკრობიოლოგიური სტრუქტურის ცოდნა, რაც გულისხმობს როგორც ბაქტერიული კომპონენტების იდენტიფიცირებას და მათი შეფარდების დადგენას. ასევე, ფერმენტაციის პროცესში და საბოლოო პროდუქტის თვისებების ჩამოყალიბებაში თითოეული მათგანის ფუნქციის გარკვევას.

აქედან გამომდინარე, საწყის ეტაპზე შევისწავლეთ რძე როგორც ნედლეული, რომელსაც სასურსათო პროდუქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და გააჩნია მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ფასეულობები. რაც განპირობებულია მასში ორგანული ნაერთების – ცილების, მინერალური ნივთიერებების, ცხიმების, ნახშირწყლების არსებობით და ამასთანავე არსებული ნივთიერებები ადვილად ასათვისებელ ფორმამია.

ტექნოლოგიური პროცესის დასრულების შემდეგ დასამუშავებელი ნედლეულის ხარისხი იცვლება, მასში მიმდინარე მთელი რიგი მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების შედეგად და ხდება საწყისი ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების და ქიმიური შედგენილობის ცვლილება.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ცდებში შევეცადეთ გამოვეყენებინა ადგილობრივი ნედლეული.

კვლევის მეთოდები

ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრა

რძის ნიმუშის აღება და მომზადება განხორციელდა ГОСТ 26809-86-ის შესაბამისად [1].

აღნიშნული მეთოდი ემყარება პროდუქტში შემავალი მჟავების ნატრიუმის ტუტით ნეიტრალიზაციას, ინდიკატორ ფენოლფტალეინის თანაობისას.

100 და 250 სმ³ მოცულობის კოლბაში იხსნება 10 სმ³ საანალიზო ნიმუში, 20 სმ³ დისტილირებული წყალი, ემატება სამი წვეთი ფენოლფტალეინი და იტიტრება 0.1 N-ით ვარდისფერი შეფერილობის მიღებამდე, რომელიც არ გაქრება 1 წუთის განმავლობაში და შეესაბამება ეტალონს. დახარჯული NaOH-ის მლ-ების რაოდენობა გამრავლებული 20-ზე არის პროდუქტის მჟავიანობა ტერნერის გრადუსებში.

ცხიმის მასური წილის განსაზღვრა გერბერის

მეთოდით

ბუტირომეტრში იწონება 2 გ დამბალხაჭო და ემატება 19 მლ გოგირდმჟავა და 1 მლ იზოამილის სპირტი, ეფარება საცობი და თავსდება 70–75 °C-მდე გამთბარი წყლის აბაზანაში, ცილების სრულ გახსნამდე.

ცილების გახსნის შემდეგ ბუტირომეტრი ამოაქვთ წყლის აბაზანიდან და აითვლიან მაჩვენებელს.

ცხიმის აბსოლუტური მასური წილი დამბალხაჭოში X (%) გამოითვლება ფორმულით:

$$X = 11P / m$$

სადაც 11 არის კოეფიციენტი, %; P – ცხიმზომის მაჩვენებელი, %; m – დამბალხაჭოს მასა, გ.

დამბალხაჭოში ცხიმის მასური წილის მშრალ მასაზე გადაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$X_1 = X \times 100 / 100 - B$$

სადაც X არის ცხიმის აბსოლუტური მასური წილია დამბალხაჭოში, %; B – ტენის მასური წილი დამბალხაჭოში, %. [2].

რძის სიმკვრივის განსაზღვრა არეომეტრული

მეთოდით

რძის სიმკვრივის განსაზღვრა წარმოებს სპეციალური რძის არეომეტრის საშუალებით, რომელსაც ლაქტოდენსიმეტრი ეწოდება.

20°C ტემპერატურის საშუალო ნიმუშს ასხამენ 200-250 მოცულობის მქონე ცილინდრში მისი მოცულობის 3/4-მდე. შემდეგ ფრთხილად მოათავსებენ მასში არეომეტრს და უმოძრაო მდგომარეობაში 2 წუთის შემდეგ აითვლიან არეომეტრის მაჩვენებელს. [3].

ექსპერიმენტული ნაწილი

დამბალხაჭოს ტექნოლოგია

პირველადი პროდუქტი-ხაჭო მივიღეთ ტრადიციული მეთოდით და შემდეგ მოვახდინეთ მისი მეორეული გადამუშავება საბოლოო პროდუქტის მიღების მიზნით.

დამბალხაჭოს მოსამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული: I ხარისხის რძე, ბაქტერიული დედო, შემადელებელი ფერმენტი ქიმოზინი, კალციუმის ქლორიდი და მარილი.

საწყის ეტაპზე წარმოებს ნედლეულის მომზადება. რძე გადის სათანადო დამუშავებას, რომელიც მოიცავს: ბაქტერიოფუგირების, დეაირაციის, ნორმალიზაციის, ჰომოგენიზაციის და პასტერიზაციის ეტაპებს.

ბაქტერიოფუგირება უკეთდება არასასურველი ბაქტერიების მოცილების მიზნით, ხოლო დეაირაცია მასში სუნის გამომწვევი მიკროორგანიზმების მოსაპოხად.

რძის ნორმალიზება ემყარება იმას, რომ ნარევი მუდმივად შევინარჩუნოთ ცხიმისა და ცილის ოპტიმალური თანაფარდობა, რაც უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტში მუდმივ ქიმიურ შედგენილობას, ცხოველის ჯიშისა და წლის სეზონის მიუხედავად.

ცხიმის დაბალანსებული შემცველობის მიღების მიზნით რძეს ნორმალიზაცია გაუკეთდა მასში ცხიმის და ცილის შემცველობის ანგარიშით და გათვალისწინებით შემდეგი ფორმულით.

$$C=P \times K \times F / 100$$

C-არის ნარევის ცხიმიაჩნობა (%-ობით)

P-რძეში ცხიმის შემცველობა (%-ობით)

K-ცდების შედეგად გამოძებნილი კოეფიციენტი

F-ცხიმის შემცველობა მშრალ ნივთიერებაში

სტანდარტით (%-ობით). [4,5].

საბოლოო ნედლეული მივიღეთ 2,9% ცხიმის შემცველობით.

რძის ჰომოგენიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი პროცესია საბოლოო პროდუქტის იერსახის გასაუმჯობესებლად. ჰომოგენიზაცია ჩატარდა 50 °C-ზე, ცხიმის მთლიან მასაში თანაბრად განაწილების მიზნით.

ამასთან ერთად აუცილებელია მივადწიოთ იმას, რომ მივიღოთ სუფთა, ბაქტერიებით ნაკლებად დაბინძურებული რძე, სწორედ მიკროფლორის მოსპობის მიზნით რძეს გაუკეთდა პასტერიზება. ვინაიდან პასტერიზების შემდეგ ხდება რძის თვისებების ნაწილობრივ შეცვლა, კერძოდ ჩაკვეთის უნარის შემცირება, ამის თავიდან აცილების მიზნით პასტერიზება გაკეთდა მაღალ 75-76°C ტემპერატურაზე 20-25 წამის განმავლობაში.

პასტერიზაციის დამთავრების შემდეგ რძე დაუყოვნებლივ გაცივდა შედეგების ტემპერატურამდე (30-35 °C) და დავაყოვნეთ 2 საათის განმავლობაში.

პირველ რიგში მოხდა ექსპერიმენტისთვის გამოყენებული რძის მონაცემების შესწავლა. გავარკვიეთ მისი ქიმიური შედგენილობა და აღმოჩნდა, რომ არსებული ნედლეულის ქიმიური პარამეტრები შეესაბამებოდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პირველ ცხრილში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები რძის ქიმიურ შედგენილობაზე %-ით.

ცხრილი 1

ტენიანობა	87,5
ცხიმი	3,9
ცილები	3,4
ლაქტოზა	4,8
მინერალური ნივთ.	0,8

ექსპერიმენტისთვის გამოყენებული რძის ქიმიური შედგენილობა ნაჩვენებია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ტენიანობა	87,5
ცხიმი	3,8
ცილები	3,3
ლაქტოზა	4,7
მინერალური ნივთ.	0,9

პროდუქციის დამზადების პირველ ეტაპზე მოხდა რეცეპტურით გათვალისწინებული ნედლეულის (ხაჭოს) მომზადება.

საცდელი და საკონტროლო (არსებული რეცეპტურით) დამზალხაჭოს რეცეპტურა ნაჩვენებია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

„დამზალხაჭო“ (რეცეპტურა, კგ/100ლ-ზე)

ნედლეული და დამხმარე მასალები	რძეში შეტანილი საკვებდანამატების რაოდენობა	
	საკონტროლო 100ლ.	საცდელი 50ლ.
ბაქტერიული დედო	3.2 u	1.6u
კალციუმის ქლორიდი	60მლ.	130მლ.
შემადეგბელი ფერმენტი	0.008მლ.	0.004მლ.
მარილი	0.80გრ	0.40გრ
სულ რაოდენობა კგ.	10.8	5.4

შევისწავლეთ დამზალხაჭოს მომწიფების პროცესში მიმდინარე ცვლილებები, რომელსაც განიცდის შენახვის პერიოდში და დავადგინეთ, რომ დამზალხაჭოც ისევე, როგორც რძე შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში თანაფარდობა განსხვავებულია, მომწიფების პროცესში არსებული ნივთიერებები განიცდის ცვლილებას და მათ შორის

ხდება რძის ცხიმის გარდაქმნა. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა მომწიფების პროცესში ცხიმოვანი მჟავების გარდაქმნის თავისებურება.

ვინაიდან ეს ნივთიერებები განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლაში. მონაწილეობას იღებს უჯრედის იმ მემბრანების შედგენა-დობის რეგულაციაში, რომელიც ახორციელებს ნივთიერებათა ცვლას. გარდა ამისა, მონაწილეობს სხვა პროცესებშიც, როგორც არის ორგანიზმისთვის შეუცვლელი ნივთიერებების მიწოდება: ცხიმში ხსნადი ვიტამინები და ფოსფატიდები.

მე-4 ცხრილში მოცემულია რძეში არსებული ძირითადი ცხიმოვანი მჟავები და მათი თვისებები [4].

რძეში არსებული ზოგიერთი ორგანული ნაერთის გარდაქმნის გზები შესწავლილია დუდილის პროცესში (ერბომჟავური, რძემჟავური, პროპიონმჟავური და ძმარმჟავური დუდილი.) რომელიც მიმდინარეობდა 90 დღის განმავლობაში განსაზღვრული ტემპერატურის და ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

დუდილის მიზანია საგემოვნო და არომატული ნივთიერებების დაგროვება და პროდუქტის მიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი გამოყენებისთვის.

მნიშვნელოვანი იყო იმ ცხიმოვანი მჟავების გარდაქმნის და შეთვისების თავისებურებების გამოვლენა, რომელიც მცირე რაოდენობით გვხვდება საბოლოო პროდუქტში მაგრამ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი გემური თვისებების და არომატის წარმოქმნაში.

მჟავა	ქიმიური ფორმულა	საშუალო შედგენილობა რძის ცხიმში(%)	20°C100ml წყალში ხსნადობა გრ	სიმკვრივე
ნაჯერი მჟავები , თხევადი ოთახის ტემპერატურაზე				
ერბოს	C ₃ H ₇ COOH	3,3	3,800	0,966
კაპრონის	C ₅ H ₁₁ COOH	1,8	0,968	9,929
კაპრილის	C ₇ H ₁₅ COOH	1,3	0,068	0,910
ნაჯერი მჟავები, მყარი ოთახის ტემპერატურაზე				
კაპრინის	C ₉ H ₁₉ COOH	2,6	0,027	0,805
ლაურინის	C ₁₁ H ₂₃ COOH	2,7	0,0087	0,883
მირისტინის	C ₁₃ H ₂₇ COOH	10,77	0,002	0,863
პალმიტინის	C ₁₅ H ₃₁ COOH	24,4	0,007	0,849
სტეარინის	C ₁₇ H ₃₅ COOH	9,5	0,003	0,845
უჯერი მჟავები, თხევადი ოთახის ტემპერატურაზე				
ოლეინის	C ₁₇ H ₃₃ COOH	32,2	უხსნადი	0,898
ლინოლის	C ₁₇ H ₃₁ COOH	3,6	უხსნადი	0,906
ლინოლენის	C ₁₇ H ₂₉ COOH	0,2	უხსნადი	0,914
არაქიდონის	C ₁₉ H ₃₁ COOH	0,96	უხსნადი	0,824

პროდუქტის მომწიფების პროცესში მონაწილეობს ობის სოკო. ობის შედეგად გამოყოფილი ფერმენტ ლიპაზას მოქმედებით, ცხიმი განიცდის ჰიდროლიზურ დაშლას ცხიმოვან მჟავებად და გლიცერინად.

ვინაიდან აერობული მიკროორგანიზმი გამოყოფს ფერმენტ ლიპაზას, ამიტომ ცხიმის გარდაქმნა პრო-

დუქტის ზედაპირზე უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე მის შიგა ნაწილში. ცხიმის გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება ისეთი ორგანული მჟავები როგორცაა: მმარმჟავა, ერბომჟავა, პროპიონმჟავა, კაპრონმჟავა, კაპრინმჟავა და კაპრილმჟავა. ყველა ეს თავისუფალი მჟავა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ჩამოყალიბებაში, [3].

საბოლოო პროდუქტში იდენტიფიცირებული ძირითადი ცხიმოვანი
მჟავები და მათი თვისებები

მჟავა	ქიმიური ფორმულა	საშუალო შემადგენლობა დამბალხაჭოში(%)	20°C100ml წყალში ხსნადობა გრ	სიმკვრივე
ნაჯერი მჟავები , თხევადი ოთახის ტემპერატურაზე				
კაპრონის	C ₅ H ₁₁ COOH	4,65-4,57	0,968	9,929
კაპრილის	C ₇ H ₁₅ COOH	3,34-2,60	0,068	0,910
კაპრინის	C ₉ H ₁₉ COOH	1,52-1,38	0,027	0,805
ლაურინის	C ₁₁ H ₂₉ COOH	3,11-3,23	0,0087	0,883
მირისტინის	C ₁₃ H ₂₇ COOH	0,20-0,21	0,002	0,863
პალმიტინის	C ₁₅ H ₃₁ COOH	1,37-1,35	0,007	0,849
სტეარინის	C ₁₇ H ₃₅ COO	9,94-10,92	0,003	0,845

ცხიმის ბიოქიმიური გარდაქმნით წარმოქმნილი CO₂ კი განაპირობებს პროდუქტის სტრუქტურას და კონსისტენციას.

აქტიური დუდილის პროცესში მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ შესწავლილი ცხიმოვანი მჟავები მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. ამ ნაერთების გარდაქმნის პროდუქტების უმეტესობა გადადის საბოლოო პროდუქტში და ბიოქიმიური და ქიმიური გარდაქმნების საფუძველია, რომელიც პროდუქტის დაძველების დროს მიმდინარეობს.

დამზადებულ პროდუქტის უვნებლობის და

კვებითი ღირებულების შესწავლის მიზნით ჩატარებულ იქნა საცდელი და საკონტროლო დამბალხაჭოს ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა, ხოლო ორგანოლექტიკური თვისებები შეფასდა დეგუსტაციის გზით. გამოკვლევის არც ერთ ეტაპზე საცდელ და საკონტროლო ნიმუშებში არ აღმოჩნდა სანაწიანით გათვალისწინებული მიკროორგანიზმები. პროდუქტში არ აღმოჩნდა სურსათის უვნებლობის ხარისხზე უარყოფითად მომქმედი ისეთი სახეობის მიკროორგანიზმები, როგორცაა ეშერიხიები, სალმონელაები, აურეუსი და კოლიფორმები.

	პარამეტრის დასახელება	შედეგი	განზომილება	მეთოდი
1	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები	არ აღმოჩნდა	კწე 0,001გ-ში	სსტ ისო 4832:2009
2	<i>S.aureus</i>	არ აღმოჩნდა	კწე 0, 1გ-ში	გოსტი 30347-2016
3	<i>Salmonella spp</i>	არ აღმოჩნდა	კწე 25გ-ში	სსტ ისო 6579-2017/2017
4	<i>E.coli</i>	არ აღმოჩნდა	კწე 0, 01გ-ში	სსტ ისო 16649-2:2001/2015

ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს რაც შეეხება, მომწიფების პერიოდის გასვლის შემდეგ დამბალხაჭოს ჰქონდა ყვითელი, ოდნავ მოყავისფრო შეფერილობა, ერთგვაროვანი და მკვრივი კონსისტენცია, ვერტიკალურ ჭრილში შეინიშნებოდა მცირე ზომის ნასვრეტები, რაც აძლევდა პროდუქტს სასიამოვნო იერსახეს. გემო – სასიამოვნო, დამბალხაჭოსთვის დამახასიათებელი, არომატი – კი პიკანტური.

დასკვნა

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტული კვლევების შედეგებმა გვიჩვენა, რომ

მივიღეთ დამბალხაჭოს მსგავსი პროდუქტი, რომელიც ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით არ ჩამოუვარდებოდა ტრადიციული მეთოდით დამზადებულ პროდუქტს.

ბაქტერიული დედოს შეტანამ განაპირობა საბოლოო პროდუქტში სურსათის უვნებლობის ხარისხზე უარყოფითად მომქმედი მიკროორგანიზმების არარსებობა.

შენარჩუნებულ იქნა ტრადიციული ტექნოლოგია თანამედროვესთან შერწყმით და შედეგად მივიღეთ დაჩქარებული მეთოდი.

ლიტერატურა

1. GOST 26809-86 Milk and milk products. Acceptance regulations. Methods of sampling and preparation for testing. (in Russian).
2. Nielsen S. Food analysis. NY: "Springer". 2010, 127-137 pp.
3. Gonashvili Sh. Chemistry and testing of dairy products. 1963, 93-94, 132-133 pp. (in Georgian).
4. Davidov R. B.. Milk and dairy products. 1976, 233-234, 22-23 pp. (in Russian).
5. Tskitishvili Z., Lipatov N. Milk and milk production technology. 1984, 47-50 pp. (in Russian).
6. Hahdbook of dairy foods analysis. CRC Cress, Taylor and Francis Group. 2010
7. GOST 9225-85 Milk and milk products. Methods of microbiological analysis. (in Russian).

UDC 665.327.2

SCOPUS CODE 1100

Current processes and conversion of fatty acids during the maturation of Dambalkhacho

- Giorgi Kvartskava** Department of Food Technology, Georgian Technical University, 17
D. Guramishvili str., 0192 Tbilisi, Georgia
E-mail: g.kvartskava@gtu.ge
- Vakhtang Ugrekheldidze** Department of Food Technology, Georgian Technical University, 17
D. Guramishvili str., 0192 Tbilisi, Georgia
E-mail: vakhtangugrekheldidze@yahoo.com
- Nino Dzirvelishvili** Department of Food Technology, Georgian Technical University, 17
D. Guramishvili str., 0192 Tbilisi, Georgia
E-mail: ninodzirkvelishvili@yahoo.com

Reviewers:

M. Bereziani, Professor, Faculty of Agricultural Science and Biosystems Engineering, GTU

E-mail: malber@dr.com

M. Guguchia, Doctor of Agroengineering, Senior Research Worker, Ecocenter for Environmental Protection.

E-mail: maka05guguchia@gmail.com

Abstract. The Dambalkhacho is the most important traditional milk product for Georgia, which distinguishes with unique qualitative and organoleptic properties and these properties have only Georgian product.

Today the Dambalkhacho is made in small farming farms and consequently, we will not have a thoroughly studied product in the market. To get a high quality product there is important to study organoleptic, biochemical and microbiological characteristics of the traditional lactic acid of product thus to avoid falsification and protect food safety standards.

The current biochemical transformations in the process of ripening of the Dambalkhacho are discussed in the article.

Taking into account the chemical composition and technological properties of the Dambalkhacho, combination of traditional and modern methods increases the biological value of finished product and expands the assortment of product, providing with rich organoleptic and useful properties for health as well.

Key words: Dairy products; importance of local production; promotion of local industries.

UDC 665.327.2
SCOPUS CODE 1100

Современные процессы и превращение жирных кислот при созревании дамбалхачо

- გიორგი კვარცხავა** Департамент пищевой промышленности, Грузинский технический университет,
Грузия, 0192 г. Тбилиси. Пр. Д. Гурамишвили 17
E-mail: g.kvartskava@gtu.ge
- ვახტანგ უგრეხელიძე** Департамент пищевой промышленности, Грузинский технический университет,
Грузия, 0192 г. Тбилиси. Пр. Д. Гурамишвили 17
E-mail: vakhtangugrekhelidze@yahoo.com
- ნინო
ძირკველიშვილი** Департамент пищевой промышленности, Грузинский технический университет,
Грузия, 0192 г. Тбилиси. Пр. Д. Гурамишвили 17
E-mail: ninodzirkvelishvili@yahoo.com

Рецензенты:

М. Бережани, профессор факультета аграрных наук и биосистем инженеринга ГТУ

E-mail: malber@dr.com

М. Гугучиа, доктор агроинженерии, а(а)ИП высший ученый, доктор агроинженерии, старший научный сотрудник центра защиты

E-mail: maka05guguchia@gmail.com

Аннотация. Важнейшим традиционным молочным продуктом Грузии является дамбалхачо, который отличается неповторимыми качественными и органолептическими характеристиками, характерными только для грузинского продукта.

По сей день дамбалхачо производится в небольших фермерских хозяйствах, следовательно, тщательно изученного продукта на рынке не имеется. Органолептическое, биохимическое и микробиологическое исследование традиционного кисломолочного продукта очень важно для получения высококачественного продукта, предотвращения фальсификации и соблюдения норм безопасности пищевого продукта.

В статье рассматриваются биохимические преобразования, происходящие в процессе созревания дамбалхачо.

С учетом химического состава и технологических свойств дамбалхачо, сочетание традиционных методов с современным, обуславливает повышение биологической ценности готового продукта, расширяет ассортимент продуктов и придает богатые органолептические и полезные для здоровья свойства.

Ключевые слова: важность местного производства; продвижение местного производства; молочный продукт.

განხილვის თარიღი 24.06.2020

შემოსვლის თარიღი 25.07.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2020

UDC 781.63

SCOPUS CODE 1703

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-3-21-32>

ინტეგრირებული ვებპლატფორმის მათემატიკური მოდულის ინსტრუმენტები

მერაბ ახოზაძე	ინტერდისციპლინური დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: meakhobadze@yahoo.com	საქართველოს ტექნიკური
მაია დოლიძე	ინტერდისციპლინური დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: maiadolidze66@gmail.com	საქართველოს ტექნიკური

რეცენზენტები:

ე. კურცხალია, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: kurcxalia.elguja@gmail.com

მ. ზრელიძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: marinabrelidze@gmail.com

ანოტაცია. „ჰკვიანი ქალაქის“ კონცეფცია – ინტეგრაციის, სისტემური მოდელირებისა და მართვის კონცეფციაა, რომლის დროსაც ქალაქი განიხილება როგორც მასში მიმდინარე პროცესების ერთიანი დინამიკური ერთობა. ასეთი მიდგომა მოითხოვს ისეთი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული სისტემების შექმნას, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში შეკრებენ ქალაქში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას, გაანალიზებენ და სინთეზირებენ ქალაქის მართვისათვის გადაწყვეტილებათა ალტერნატიულ ვარიანტებს. ჩვენ მიერ დამუშავებულია ინტეგრირებული ვებპლატფორმის პროგრამული პაკეტი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს აღრიცხონ და დაამუშაონ სისტემური მათემატიკური

და პროგრამული „ხელსაწყოებით“ ქალაქის ობიექტების, ქალაქში მიმდინარე პროცესების მახასიათებელი პარამეტრები. ვებპლატფორმის ძირითადი ფუნქციური მოდულებია: 1. ქალაქში მიმდინარე სივრცულ-დროითი პროცესების ასახვის, მათემატიკური მოდელირების მოდული. 2. მათემატიკური და პროგრამული „ხელსაწყოების“ მოდული, ქალაქში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და მართვისათვის. 3. ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა და მათი ექსპერტიზის მოდული. 4. მიღებულ გადაწყვეტილებათა ექსპერტიზის მოდული. ნაშრომში წარმოდგენილია იმ ძირითადი მათემატიკური მეთოდებისა და ალგორითმების ანალიზი, რომლებიც წარმოადგენს ერთიანი ვებპლატფორმის „ინსტრუმენტების“ საფუძველს. გაფართოებულია ალგებრუ-

ლი ტოპოლოგიის q-ანალიზის მეთოდი, არამკაფიო სიმრავლეების შემოტანით. რაც საშუალებას გვაძლევს, გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნეს ის მცირე პარამეტრებიც, რომლებსაც უგულებელყოფენ კლასიკურ თეორიში. ასეთი მიდგომა მეტად მნიშვნელოვანია კატასტროფული სიტუაციების პროგნოზირებისა და აცილებისათვის. მოყვანილია, წარმოდგენილი მეთოდის საილუსტრაციო მაგალითი.

საკვანძო სიტყვები: არამკაფიო სიმრავლეები; ვებპლატფორმა; მოდელირება; Q-ანალიზი; ჭკვიანი ქალაქი.

შესავალი

ახლა, ქალაქის მდგრადი განვითარების უალტერნატივო კონცეფციაა ე.წ. ჭკვიანი ქალაქის კონცეფცია – ინტეგრაციის, სისტემური მოდელირებისა და მართვის კონცეფცია, რომლის დროსაც ქალაქი განიხილება როგორც მასში მიმდინარე პროცესების ერთიანი დინამიკური ერთობა. ჭკვიანი ქალაქის კონცეფცია უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ისეთი ტექნოლოგიების და სისტემების შექმნას და დანერგვას, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში შეკრებენ მონაცემებს, გაანალიზებენ და სინთეზირებენ მმართველ გადაწყვეტილებათა ალტერნატიულ ვარიანტებს.

შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებული სისტემის შექმნისათვის აუცილებელია:

1. ქალაქში მიმდინარე პროცესების ამსახველი ე.წ. ინფორმაციის გადამწოდების ქსელის ამოქმედება;
2. ერთიანი ინტეგრირებული ვებპლატფორმის შექმ-

ნა, რომელშიც მოიყრის თავს ინფორმაცია ქალაქში მიმდინარე პროცესების თაობაზე და სისტემური ანალიზის საფუძველზე, გამოიმუშავებს ქალაქის მდგრადი განვითარებისათვის ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ქალაქში ფუნქციონირებადი ყველა ორგანიზაციისათვის, სტრუქტურისათვის, ასევე მოსახლეობისათვის.

„ჭკვიანი ქალაქის“ ერთიანი ინტეგრირებული ვებპლატფორმა ესაა პროგრამული პაკეტი, რომელიც მომხმარებლებს აძლევს საშუალებას აღრიცხონ და დაამუშაონ ქალაქის ობიექტების, მიმდინარე პროცესების მახასიათებელი პარამეტრები, სისტემური მათემატიკური და პროგრამული „ხელსაწყოებით“. ინტეგრირებული ვებპლატფორმის ძირითადი ფუნქციური მოდულებია: 1. ქალაქში მიმდინარე სივრცული-დროითი პროცესების ასახვის, მათემატიკური მოდელირების მოდული. 2. მათემატიკური და პროგრამული „ხელსაწყოების“ მოდული, ქალაქში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და მართვისათვის. 3. ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა და ექსპერტიზის მოდული. 4. მიღებულ გადაწყვეტილებათა ექსპერტიზის მოდული.

დღეს ქალაქის პარამეტრების აღრიცხვის ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიაა G Google Maps. კომპანია Google-ის მენეჯმენტი ამ ეტაპზე მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავს არამარტო რუკის განვითარებაზე, არამედ მის „ღიაობაზე“. იგი სხვადასხვა კომპანიებს საშუალებას აძლევს შექმნას ახალი პლატფორმები Google Maps გამოყენებით. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ერთიანი ინტეგრირებული ვებპლატფორმა დაფუძნებულია Google Maps ტექნოლოგიების გამოყენებაზე [1,2]. ერთიანი ვებპლატ-

ფორმა მოითხოვს ქალაქის ობიექტთა ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც ასახავს ქალაქის სტრუქტურას, სოციალურ ფონს, რომელიც განსაზღვრავს ქალაქში მიმდინარე დინამიკურ პროცესებს.

ძირითადი ნაწილი

ქალაქში განვითარებული დინამიკური, ევოლუციური პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა დროის მასშტაბში, რომლის აღმოჩენა, დადგენა შეუძლებელია წონასწორულ მდგომარეობაში. საერთოდ, ქალაქებში მიმდინარე ევოლუციური პროცესების შესწავლისას ძირითადად საქმე გვაქვს სამი სახის ფაქტორებთან, რომლებიც იწვევს ეწ წონასწორული მდგომარეობის დესტაბილიზაციას. ესაა „ინდივიდების“ (ცალკეული მაცხოვრებლების) შემოქმედებითი, ინოვაციური ქმედებები, რომლებიც განაპირობებენ ქალაქის ცვლილებას, რაც „იძულებულს“ ხდის ქალაქის ინფრასტრუქტურას გადავიდეს ახალ მდგომარეობაში. მეორე ესაა ქალაქის „უნარი“ თვითორგანიზაციის, მისი უნარი წარმოიქმნას ახალი დინამიკური რეჟიმები, რომლებიც ქალაქს იძულებულს ხდის გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ასეთი პროცესები ხორციელდება სახელმწიფო რეგულატორების საშუალებით. ამ დროს ჩნდება ახალი დინამიკური პროცესები არამდგრადი შუალედური წონასწორული მდგომარეობებით, ე.წ. ფაზური გადასვლებით და სხვა. მესამე ესაა მოვლენები, რომლებიც განპირობებულია ქალაქური სისტემების ურთიერთქმედებით სხვა, სხვაგვარი დანიშნულების, სხვა ფუნქციური არსის და სუბსტანციის სისტემებთან, მოვლენებთან ურთიერთობისას, როგორებიცაა ბუნებრივი, პოლიტიკური, და სხვა პროცესები [7].

როდესაც საქმე გვაქვს ასეთ რთულ, ქოტურ (პროგნოზირების მხრივ) დინამიკურ პროცესებთან, მით უმეტეს, შეზღუდული რესურსების პირობებში, შეუძლებელია მოსახლეობის ყველა ფენის მდგომარეობის ერთდროულად გაუმჯობესება – პარეტოს კანონი. აქედან გამომდინარე როდესაც გვაქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის ალტერნატივების სიმრავლე, ოპტიმალურის შესარჩევად, გამოყენებულ იქნეს პარეტო-ოპტიმალური კომპრომისის ანუ არა-გაუმჯობესებადი კომპრომისის მეთოდი [3], რომელიც, ურბანული სისტემებისათვის ინტერპრეტირებულ იქნა შემდეგი სახით:


ვთქვათ, გვაქვს ალტერნატივების სასრული სიმრავლე $X = \{X^1, \dots, X^S\}$. თითოეული ალტერნატივა n -განზომილებიანი ვექტორია $X^i = \{X_1^i, \dots, X_n^i\} \in R^n$ სივრციდან. მაგალითად, $x \in X$ ალტერნატივად შეგვიძლია განვიხილოთ საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი პროექტი, ხოლო x ვექტორის კოორდინატებად ამ პროექტის პარამეტრები. ამასთანავე, გვაქვს x ალტერნატივების შეფასების ვექტორული კრიტერიუმი:

$$G(x) = \{G_1(x), G_2(x), \dots, G_m(x)\}.$$

როგორც წესი G_1, G_2, \dots, G_m კრიტერიუმები არის ურთიერთკონკურენტული. მაგალითად, G_1 – ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის გაყვანის ეკონომიკური ამონაგებია, G_2 – ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ადეკვატური სიდიდე. ანუ შეუძლებელია ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის დროსაც ყველა მაჩვენებელი კრიტერიუმი იქნება საუკეთესო, მაქსიმალური. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ე.წ. კომპრომისული ალტერნატივის პოვნა, პარეტოს პრინციპის გამო-

ყენება, რომელიც არის ყველა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ზოგადი კანონზომიერება.

პარეტო-ოპტიმალური კომპრომისის მეთოდის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. დავუშვათ გვაქვს x ალტერნატივათა სიმრავლე $X \subset R^n$. ყოველ $x \in X$ ალტერნატივას შეესაბამება $G(x) = \{G_1(x), G_2(x), \dots, G_m(x)\}$ ვექტორული კრიტერიუმის კომპონენტების სივრცეში გარკვეული წერტილი. ასეთი წერტილების სიმრავლე ვექტორული კრიტერიუმის სივრცეში მოგვცემს P სიმრავლეს, საზღვრით \bar{P} . ორკომპონენტიანი ვექტორული კრიტერიუმის შემთხვევაში გვექნება შემდეგი სურათი (იხ. სურ. 1)



სურ. 1

განვიხილოთ ის ალტერნატივები, რომლებიც მდებარეობს \bar{P} საზღვარზე. 1-ელი სურათის მიხედვით, იმ x ალტერნატივებისათვის, რომელთა შეფასებები ხვდება BC მრუდზე, შეუძლებელია ერთდროულად გაიზარდოს G_1 და G_2 კრიტერიუმის მნიშვნელობები. ასეთ ალტერნატივებს უწოდებენ პარეტო-ოპტიმალურს. ასეთი ალტერნატივები ბევრია (წერტილები BC მრუდზე). საუკეთესოს შესარჩევად საჭიროა დამატებითი ინფორმაცია. საერთოდ პარეტო-ოპტიმალური P სიმრავლის დადგენისათვის გამოიყენება დამხმარე ოპტიმიზაციის მეთოდები. საერთოდ პარეტო-ოპტიმალური შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა P სიმრავლის ამო-

ნეკილობა, რომლის შემოწმება არის დამოუკიდებელი ამოცანა. აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის პირობები, რომელიც P სიმრავლის თვისებების ცოდნისას არ მოითხოვს [8], რომელიც განისაზღვრება შემდეგი პირობებით

$$P = \{G(x^*): x^* = \arg \max_{x \in V} \min_{1 \leq i \leq n} \alpha_i G_i(x);$$

$$\sum_{i=1}^n \alpha_i = 1, \alpha_i \geq 0, i = 1, 2, \dots, n\}$$

ქალაქში მიმდინარე სივრცული, დროითი პროცესების ასახვა-ქალაქის მათემატიკური მოდელი. მათემატიკური მიმართებანი ქალაქურ სისტემაში; ქალაქი არის სასრული რაოდენობის ობიექტის-სიმრავლეების ერთობლიობა: მაცხოვრებელთა (Q), შენობათა (B), ქუჩების (S) და ა.შ. სხვა.

ქალაქის სივრცული მათემატიკური მოდელი, რომლითაც განისაზღვრება ქალაქში განვითარებული დინამიკური პროცესები, არის მათემატიკურ მიმართებათა Λ სიმრავლე ქალაქში ფუნქციონირებადი სხვადასხვა კატეგორიისა და დანიშნულების ობიექტების – Q, B, S, \dots სიმრავლეთა შორის.

ქალაქის, ზოგადად ურბანული სისტემის, სტრუქტურის, მიმდინარე პროცესების კვლევისა და მოდელირებისათვის ჩვენ მიერ გამოყენებულია ალგებრული ტოპოლოგიის Q ანალიზის მეთოდი [4]. ამ მეთოდით სისტემის სტრუქტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ სისტემაში ამა თუ იმ კანონზომიერებების წარმოქმნის მექანიზმი, დავადგინოთ სისტემის დეგრადაციის მიზეზები, კანონზომიერებანი და მათი განმსაზღვრელი ელემენტები. გავიანგარიშოთ მისი რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. Q ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ სისტემის – ქალაქის – „ანომა-

ლური” ელემენტები, მიგვანიშნებს რა მიმართულე-
ბით უნდა ვიკვლიოთ სისტემა და რა ზემოქმედება
უნდა მოვახდინოთ მასზე, რომ გაუმჯობესდეს მისი
მახასიათებლები, პირველ რიგში მისი მდგრადობა
გარე ზემოქმედებებისა და შემოფოტებების მიმართ.

მოდელი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ
სისტემის ფუნქციურ-სტრუქტურული ბმულობა და
თვალი ვადევნოთ ბმულობის გრძელ ჯაჭვში განვი-
თარებულ მოვლენებს სივრცე-დროით ჭრილში. მა-
გალითად, როგორ იმოქმედებს მომსახურების სფე-
როს ობიექტებში განხორციელებული ქმედებანი სა-
ტრანსპორტო ქსელის გამტარუნარიანობაზე, მოსახ-
ლეობის გადაადგილებაზე რეგიონებს შორის, დე-
მოგრაფიულ სურათზე, ეკოლოგიურ მდგომარეო-
ბაზე და სხვა.

აუცილებელი განსაზღვრებანი Q ანალიზის

შესახებ: ვთქვათ X და Y სასრული სიმრავლეებია
და $\lambda \subset X \times Y$ არის მიმართება X და Y სიმრავლეებს
შორის. ვთქვათ λ მიმართების შესაბამისი ინციდენ-
ტურობის მატრიცაა $\Lambda = (\lambda_{ij})$:

$$\lambda_{ij} = \begin{cases} 1, & \text{თუ } (x_i; y_j) \in \lambda \\ 0, & \text{თუ } (x_i; y_j) \notin \lambda \end{cases} \quad (1)$$

მაშინ ყოველი ასეთი λ მიმართება წარმოქმნის
სიმპლიციურ $K_Y(\lambda; X)$ კომპლექსს. აღნიშნული
კომპლექსში p განზომილებიანი σ_p სიმპლექსს უწო-
დებენ X სიმრავლის ისეთ $\{x_1; x_2; \dots; x_p; x_{p+1}\}$ ქვე-
სიმრავლეს, რომლისთვისაც არსებობს ერთი მაინც
 $y_j \in Y$ ისეთი, რომ $(x_i; y_j) \in \lambda$ ყოველი $i \in \overline{1; p+1}$ -
თვის.

ვთქვათ N აღნიშნავს სიმპლექსების განზომილე-
ბებს შორის უდიდეს (მას ეწოდება λ მიმართების
შესაბამისი კომპლექსის განზომილება). ყოველი k-
თვის, $0 \leq k \leq N$, განვიხილავთ იმ სიმპლექსებს, რო-

მელთა განზომილება k-ზე მეტია ან ტოლია. განხი-
ლული სიმპლექსების სიმრავლეს ვყოფთ ქვესიმრავ-
ლეებად (ეკვივალენტობის კლასებად) შემდეგი წე-
სით: ორი σ_i და σ_j სიმპლექსი ეკუთვნის ერთსა და
იმავე ეკვივალენტობის კლასს მაშინ და მხოლოდ
მაშინ, როცა ათი საერთო წახნაგის განზომილება მე-
ტია ან ტოლია k-ზე, ან თუ არსებობს რაიმე მიმდევ-
რობა სიმპლექსებისა, რომელი მიმეწვრის პირველი
წევრი არის σ_i სიმპლექსი, ბოლო წევრი σ_j სიმპ-
ლექსი. ამასთან ამ მიმდევრობის ნებისმიერი ორი
ერთმანეთის მომდევნო წევრის საერთო წახნაგის
განზომილება მეტია ან ტოლია k -ზე. Q_k აღნიშნავს
ეკვივალენტობის კლასების რიცხვს.

ვექტორს $Q = (Q_0; Q_1; \dots; Q_N)$ ეწოდება $K_Y(\lambda; X)$
კომპლექსის სტრუქტურის ვექტორი, ხოლო
 $K_Y(\lambda; X)$ კომპლექსის ანალიზს Q ვექტორის კოორ-
დინატების მოძებნის გზით, ეწოდება Q ანალიზი..
Q ვექტორი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად არის
სიმპლექსები ერთმანეთთან ბმული სხვადასხვა
დონეზე

(სხვადასხვა k -თვის). ოთხეულს $(X; Y; \lambda; \pi)$, $\lambda \subset$
 $X \times Y$; ვუწოდებთ სისტემას. π ასახვაა $\pi: K_Y(\lambda; X) \rightarrow$
 R - შესაბამისობა, რომლის დროსაც ყოველ სიმპ-
ლექსს შეესაბამება ნამდვილი რიცხვი. π -ს, ეწოდება
მოდელი $K_Y(\lambda; X)$ – სიმპლიციურ კომპლექსზე.

აღნიშნული მეთოდის საილუსტრაციოდ, გან-
ვიხილოთ ქალაქის გარკვეულ რეგიონში სარეკონ-
სტრუქციო სამუშაოების ჩატარების პროექტის შე-
ფასების და მართვის მაგალითი. დავუშვათ, დრო-
ის $(0, T]$ შუალედში განსახორციელებულია გარ-
კვეული სამუშაოების ჩატარება: ახალი ობიექტების
აშენება, ძველის დანგრევა, დანიშნულების შეცვლა
და სხვ. ასეთი ობიექტების სიმრავლე აღვნიშნოთ

K -თი. სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა თანამიმდევრობით (განიხილება სხვადასხვა პროექტი). ყოველი ასეთი პროექტი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ასახვა $f: K \rightarrow (0, T] \times \{1; n\}$. n – რეგიონების რაოდენობაა. $f(k) \equiv (t_k, i_k)$ აღნიშნავს იმას, რომ მოცემული პროექტის მიხედვით k ობიექტის აშენება (დანგრევა თუ სხვა რამ), იწყება k რაიონში, დროის t_k მომენტში.

ვთქვათ τ_k არის ის დრო, რომელიც საჭიროა k ობიექტის აშენებისათვის (დანგრევისათვის, რესტავრაციისათვის და სხვა). ყოველ f გეგმას შევუსაბამოთ რიცხვთა ისეთი ზრდადი მიმდევრობა რომლის პირველი წევრია $0 (Q_1 = 0)$, ხოლო დანარჩენი Q_m წევრები მიიღება $\{t_k: t_k + \tau_k: k = 1; 2; \dots\}$ სიმრავლის ელემენტების ზრდადობის მიხედვით დალაგების შედეგად.

რეგიონში განხორციელებული ყოველი ქმედებისას იცვლება მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილების g ; პარამეტრების სიდიდეები [5,11].

დავუშვათ, განსახილველ რეგიონში ცხოვრობს მოსახლეობის ერთგვაროვანი Q (q_1, q_2, \dots) ჯგუფები (ერთნაირი ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფები). J არის იმ ინტერესების სიმრავლე, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მთლიანად ყველა ჯგუფის მოსახლეობას.

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის, ყოველი $j \in J$ ინტერესისათვის და i -ური რეგიონისათვის, $\xi(i, j)$ და $\eta(j)$ სიმბოლოებით აღნიშნოთ შესაბამისად i -ურ რეგიონში j ინტერესის დაკმაყოფილების პარამეტრი და აღნიშნული ჯგუფისათვის j ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობის წონა ($\sum_{j \in J} \eta(j) = 1$).

მაშინ Q ჯგუფის ყოველი ერთგვაროვანი ჯგუფის მოსახლეობისათვის ინტერესების დაკმაყოფილების პარამეტრები განისაზღვრება გამოსახულებით:


$$g_i = \sum_{j \in J} \xi(i, j) \eta(j) \quad i = 1, 2, \dots$$

В Горном Институте им. Г.А. Цулукидзе выполнены фундаментальные исследования по всем вопросам связанными с проблемой развития напорных гидротранспортных систем. Проведены широкомасштабные теоретические и экспериментальные исследования, результаты которых внедрены на крупных промышленных объектах Советского Союза, в том числе Грузии [3-6].

Нами разработаны технологические схемы головной насосной установки для подготовки и транспортирования гидросмесей по напорной трубопроводной магистрали [8-10].

Эти схемы позволяют регулировать концентрацию твердых сыпучих материалов лишь во всасывающей части головной насосной установки (станции), т.е. центробежного грунтового насоса. В настоящее время на практике в напорных гидротранспортных системах используются, как правило, такие грунтовые насосы, которые по сравнению с центробежными насосами, используемыми для подачи однофазных жидкостей, являются низконапорными, поэтому для увеличения дальности подачи гидросмеси необходимо в трубопроводной магистрали последовательно включить их большое количество. Это не очень целесообразно, так как усложняет работу сис-

темы и удороживает стоимость транспортирования твердых сыпучих материалов, т.е. ухудшают технико-экономические показатели.

Основная часть

На основе анализа вышеизложенного, а также уже известных выполненных исследований и технических решений, нами разработана технологическая схема многоступенчатой гидротранспортной установки для транспортирования по трубопроводам полезных ископаемых и других твердых сыпучих материалов на большие расстояния, которая рассматривается в данной работе [10]. Эта схема позволяет комплексно осуществить регулирование как параметров, транспортируемых по трубопроводной магистрали твердых сыпучих материалов, так и давление, необходимое для их транспортирования на более дальние расстояния. Наиболее близким аналогом является известная многоступенчатая гидротранспортная установка, содержащая соединенный с питателем транспортный трубопровод и установленный по его длине в местах потери напора перекачивающие установки (станции), каждая из которых включает в себя устройство для разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты, состоящее из соединенного с транспортным трубопроводом и установленного с возможностью вращения механизма для приема гидросмеси и неподвижного перфорированного барабана, насос для подачи жидкого компонента, входной патрубок, который сообщен с вышеуказанным устройством, а выходной патрубок снабжен соплом, расположенным соосно с соплом камеры для приема твердого компонента и смеси-тельную камеру [9].

Недостатком известной установки является то, что на промежуточных перекачивающих установках (станциях) не происходит полное осветление потока гидросмеси, которое происходит в смесительной камере и выделенный от общего потока поток гидросмеси попадает в трубопроводную магистраль через сопло. Это обуславливает износ сопла, уменьшение

скорости истечения из него, так как происходит разделение потока на две части, что уменьшает возможность увеличения давления в магистральном трубопроводе. Кроме того, нарушение режима одной из ступеней установки обуславливает нарушение режима всей системы, так как в магистраль транспортирующие агрегаты включены последовательно без раз-

рыва потока на промежуточных перекачивающих установках (станциях).

Эти недостатки отсутствуют в разработанной нами технологической схеме многоступенчатой гидротранспортной установки, представленной на рисунках 1-4 [10].




Рис. 1. Технологическая схема головной (первой ступени) насосной станции (установки) многоступенчатой гидротранспортной установки, разработанной в Горном институте им. Г.А. Пулукидзе: 1 – насос для подачи жидкого несущего компонента (как правило, чистой воды); 2 – приемный зумпф; 3 – всасывающая труба насоса; 4 – сопло; 5 – камера для приема твердого компонента (твердого сыпучего материала); 6 – шнек; 7 – цилиндр; 8 – подшипники; 9 – бункер для подачи твердого сыпучего материала (компонента); 10 – смесительная камера для смешения твердого сыпучего материала (компонента) и чистой воды; 11 – диффузор; 12 – транспортный трубопровод; 13 – труба для разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты; 14 – шнек с полым валом; 15 – патрубки, сообщенные с трубой 13; 16 – подшипники; 17 – перфорированный барабан; 18 – корпус; 19 – емкость для приема жидкого и твердого компонентов; 20 – патрубок для присоединения к высоконапорному водяному насосу, расположенному на промежуточной перекачивающей станции (установки); 21 – бункер для подачи твердого компонента на второй промежуточной станции (установки); 22 – редуктор с зубчатыми передачами; 23 – электропривод; 24 – защитная перегородка




Рис. 2. Узел I на рис. 1 технологической схемы первой перекачивающей насосной станции (установки) 1ПУ: 1 – насос для подачи жидкого компонента (как правило, чистой воды); 4 – сопло; 5 – камера для приема твердого компонента (твердого сыпучего материала); 6 – шнек; 7 – цилиндр; 8 – подшипники; 10 – камера для смешивания твердого сыпучего материала (компонента) и чистой воды; 11 – диффузор; 12 – транспортный трубопровод; 13 – труба для разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты; 14 – шнек с полым валом; 15 – патрубки, сообщенные с трубой 13; 16 – подшипники; 17 – перфорированный барабан; 18 – корпус; 19 – емкость для приема жидкого и твердого компонентов; 20 – патрубок для присоединения к высоконапорному водяному насосу, расположенному на следующей промежуточной перекачивающей насосной станции (установки); 21 – бункер для подачи твердого компонента на следующие промежуточные станции (установки); 22 – редуктор с зубчатыми передатчиками; 23 – электропривод; 24 – защитная перегородка

На рис. 1 дается общий вид технологической схемы головной насосной станции (первой ступени) многоступенчатой гидротранспортной установки; на рис. 2 – узел I на рис. 1; на рис. 3 – разрез А-А на рис. 1; на рис. 4 – общая схема многоступенчатой гидро-

транспортной установки всех ступеней (а); эпюра распределения напоров, развиваемых насосами каждой ступени (станции) многоступенчатой гидротранспортной установки (б).




Рис. 3. Разрез А-А на рис.1 технологической схемы многоступенчатой гидротранспортной установки: 12 – транспортный трубопровод; 13 – труба для разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты; 14 – шнек с полым валом; 15 – патрубки, сообщенные с трубой 13; 16 – подшипники; 17 – перфорированный барабан; 18 – корпус; 19 – емкость для приема жидкого и твердого компонентов; 20 – патрубок для присоединения к высоконапорному водяному насосу, расположенному на промежуточной насосной станции (установки); 21 – бункер для подачи твердого компонента на следующую промежуточную станцию (установки); 22 – редуктор с зубчатыми передатчиками; 23 – электропривод; 24 – защитная перегородка

Многоступенчатая гидротранспортная установка содержит насос [1] для подачи жидкого компонента (несущей среды), который из приемного зумпфа [2] через всасывающую трубу [3] засасывает чистую воду и посредством сопла [4] подает в камеру [5] для приема твердого компонента, в которой размещен шнек [6], закрепленный на цилиндре [7], имеющий возможность вращения посредством подшипников [8]. В камеру [5] подается твердый сыпучий материал из питателя [9]. Твердый сыпучий материал и поток воды смешиваются в смесительной камере [10] и через диффузор [11] подаются в транспортный трубопровод [12] и в трубу [13] устройства разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты на промежуточной перекачивающей станции.

Последняя включает в себя механизм для разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты. Этот механизм состоит из шнека [14] с полым валом и закрепленных на валу между лопастями патрубков [15], сообщенных с его полостью. Шнек [14] установлен на подшипниках [16] внутри перфорированного барабана [17], жестко сообщенного с корпусом [18].

В нижней части последнего образованы камеры для поступления мутной воды в емкость [19] для приема жидкости и твердого компонентов, верхняя часть которой связана с входным патрубком насоса [1] патрубком [20] и для приема твердого компонента, который поступает на бункер [21]. Для вращения шнеков на головной установке (ГУ) и перекачивающих установках (ПУ) предусмотрены редукторы с зубчатыми передачами [22] и электроприводами [23], а для их изолирования на перекачивающих установках от гидросмеси – защитными перегородками [24].

Образование гидросмеси происходит на головной установке (ГУ), от которой первую перекачивающую установку (1ПУ), на которой происходит разделение гидросмеси на твердый и жидкий компоненты, размещают на расстоянии l_1 – в месте полной потери напора, развиваемого им. Вторую 2ПУ от 1ПУ размещают на расстоянии l_2 – в месте полной потери напора, развиваемого от 1ПУ и т.д. (см. рис. 4, б).

Так как число ступеней установки для перекачивания гидросмеси практически неограниченно, то создается возможность транспортирования гидросмеси на дальние расстояния.

Многоступенчатая гидротранспортная установка работает следующим образом.

Высоконапорный водяной насос [1] из приемного зумпфа [2] через всасывающую трубу [3] засасывает чистую воду и нагнетает в трубопровод, на конце которого насажено сопло [4] для подачи высоконапорной струи в камеру [5]. Туда же шнек [6], размещенный на цилиндре [7], который вращается вокруг напорной трубы на подшипниках [8], подает из питателя [9] твердый сыпучий материал.

Образование гидросмеси происходит в смесительной камере [10], из которой она поступает в диффузор [11], в котором произойдет восстановление статического напора. Из последнего гидросмесь поступает в трубопровод [12] и в трубу [13], где полностью происходит потеря энергии, развиваемой головной установкой. На этой трубе закреплен шнек [14], который между полостями имеет патрубки [15] для выпуска гидросмеси и вращается на подшипниках [16]. Гидросмесь поступает в перфорированный барабан [17], жестко соединенного с корпусом [18]. В последнем происходит отделение жидкого от твердого.




Рис. 4. Общая схема технологической схемы многоступенчатой гидротранспортной установки (всех ступеней, а) и эпюра распределения напоров (давлений), развиваемых насосами каждой ступени (установки) многоступенчатой установки, б): 1 – насос для подачи жидкого несущего компонента (как правило, чистой воды); 2 – приемный зумпф; 3 – всасывающая труба насоса; 5 – камера для приема твердого компонента (твердого сыпучего материала); 9 – бункер для подачи твердого сыпучего материала (компонента); 12 – транспортный трубопровод; 18 – корпус; 19 – емкость для приема жидкого и твердого компонентов; 20 – патрубок для присоединения к высоконапорному водяному насосу, расположенному на перекачивающих станциях (установках); 21 – бункер для подачи твердого компонента на промежуточных станциях (установках); ГУ – головная установка; 1ПУ – первая перекачивающая установка; 2ПУ – вторая перекачивающая установка; 3ПУ – третья перекачивающая установка; l_1, l_2, l_3, l_4 – расстояния между промежуточными насосными станциями (установками) всех ступеней

Вода из корпуса поступает в емкость [19], а из ее верхней части посредством патрубка [20] – к высоконапорному водяному насосу, расположенному на перекачивающей установке (см. рис. 2). Твердый материал в мокром виде для дальнейшего транспортирования подается в приемный бункер [21], расположенный на первой перекачивающей установке 1ПУ. Вращение трубы [13] на ПУ, а также шнека на ГУ происходит зубчатыми передачами [22] и редуктором, приводимых в движение электропроводом [23]. Пространство, в котором размещены зубчатая передача, редуктор и электропривод, от случайного попадания воды или гидросмеси защищает перегородка [24].

Таким образом, на перекачивающей ПУ (см. рис. 2), в устройстве для разделения гидросмеси на твердый и жидкий компоненты (см. рис. 3) происходит отделение твердого сыпучего материала от жидкой

среды – воды, а потом вновь образование гидросмеси с той же консистенцией, которую она имела до перекачивающей установки в трубопроводе [12].

Этому способствует то обстоятельство, что для дальнейшей транспортировки вода, осветленная в емкости [19], подается высоконапорному насосу перекачивающей насосной станции (см. рис. 2). Загрузочным для этой станции является бункер [21], куда шнеком [14] из камеры корпуса [18] подается твердый сыпучий материал в мокром виде.

Заклучение

Рассмотренная установка позволяет транспортировать гидросмеси на дальние расстояния с одинаковой – оптимальной консистенцией по всей магистрали.

Кроме того, возможность полного израсходования энергий, развиваемых ГУ и ПУ, а также использование

в качестве источников энергии высоконапорных водяных насосов до минимума уменьшает число ступеней магистральных гидротранспортных систем.

Ориентировочный предварительный подсчет технико-экономического эффекта, достигнутый осуществлением рассмотренной технологической схемы многоступенчатой гидротранспортной установки для

транспортирования по трубопроводной магистрали полезных ископаемых и других твердых сыпучих материалов на большие расстояния, показал, что по сравнению с существующими в настоящее время установками, функционирующими для решения той же цели можно достигнуть значительного экономического эффекта.

Литература

1. Smoldyrev A.E., Safonov Yu.K. Pipeline transport of concentrated slurries. "Mechanical Engineering", Moscow, 1973. 207 p.
2. Gracheva L.I., Chizhov A.G., Sabitov V.V., Kharlamov E.T. Pipeline transport in agriculture. Publishing House of the Voronezh University, Voronezh, 1974. 140 p.
3. Dmitriev G.P., Makharadze L.I., Gochitashvili T.Sh. Pressure hydrotransport systems. Reference manual. "Nedra", Moscow, 1991. 304 p.
4. Makharadze L.I. Overview, Series "Transport" - Systems and means for transporting hydraulic mixtures through pressure pipelines. Georgian Research Institute of Scientific and Technical Information and Technical and Economic Research, State Committee for Science and Technology of the Georgian SSR, Tbilisi, 1987. 53 p.
5. Makharadze L.I., Gochitashvili T.Sh., Krill S.I., Smoylovskaya L.A. Pipeline hydraulic transport of solid bulk materials. Metzniereba, Tbilisi, 2006. 50 p.
6. Borokhovich A., Makharadze L., Kutsia V., Gochitashvili T. Reliability of pressure hydrotransport system. University of Krasnoyarsk, 1992. 224 p. (in Russian).
7. Makharadze L., Kirmelashvili G. Water hammer in pipelines at transportation of multi-phase hydromixtures. "Metsniereba". Tbilisi. 232 p. (in Russian).
8. L. Makharadze, S. Streiakova, S.H. Naskidashvili. Technological scheme of head pumping station for hydromixture preparing and transportation by pressure pipeline. Mining Journal №1(42), Tbilisi, 2019. p. 74-78.
9. Makharadze L.I., Makharadze G.L., Steryakova S.I. A stand for the experimental determination of the coefficient of hydraulic resistance of pipelines and local resistance of hydrotransport systems. Patent of the Russian Federation №. 2023937. Bull. No. 22, 1994.
10. Makharadze L.I. and other. Multistage hydrotransport installation. USSR copyright certificate No. 931609. Bull. No. 20, 1982.

UDC 622.694.4 : 656.6

SCOPUS CODE 2210

მრავალსაფეხურიანი ჰიდროსატრანსპორტო დანადგარის ტექნოლოგიური სქემა წიაღისეულისა და სხვა მყარი ფხვიერი მასალების მილსადენებით შორ მანძილებზე ტრანსპორტირებისათვის

ლეონ მახარაძე სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: lmakharadze@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. მოლოდინი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: nor_mol@mail.ru

გ. ტაბატაძე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი, ემერიტუსი
E-mail: Gordatab@mail.ru

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ახლად დამუშავებული მრავალსაფეხურიანი მილსადენი ჰიდროსატრანსპორტო სისტემის ტექნოლოგიური სქემა მყარი ფხვიერი წიაღისეულისა და სხვა ფხვიერი მასალების მზიდ სითხესთან ჰიდრონარევის ტრანსპორტირებისათვის შორ მანძილებზე მილსადენებით, რომელშიც ცენტრიდანული გრუნტის ტუმბოების ნაცვლად გამოყენებულია მაღალი წნევის ცენტრიდანული წყლის ტუმბოები. მას დანიშნულების შესასრულებლად გააჩნია მექანიზმი ჰიდრონარევის მიღებისათვის, რომელიც დაყენებულია დოლის შიგნით და შედგება შნეკისა და ღრუ ლილვებისაგან, რომლებიც დამაგრებულია მილყელების ფრთებს შორის ღერძზე. მყარი ფხვიერი კომპონენტის მიმღები კამერის შიგნით განთავსებულია საქმენი, რომელიც შესრულებულია მის შიგნით შნეკით. ამასთან ყოველი სადგური აღჭურვილია პერფორირებული დოლის ქვეშ განთავსებული მოცულობებით თხევადი და მყარი კომპონენტების ნარევის მისაღებად, რომლებიც შესაბამისად დაკავშირებულია ტუმბოს მიმღებ მილყელთან და მყარი კომპონენტის მიმღებ კამერასთან.

მილსადენი ჰიდროსატრანსპორტო სისტემის ამგვარი ტექნოლოგიური სქემა საშუალებას იძლევა მყარი ფხვიერი წიაღისეულის მზიდ სითხეში (როგორც წესი წყალში) ნარევი (ჰიდრონარევი) ნებისმიერ მანძილზე ტრანსპორტირებულ იქნეს ოპტიმალური კონცენტრაციით.

გარდა ამისა, სათავო და შუალედურ სატუმბ სადგურებზე მაღალი წნევის წყლის ტუმბოების გამოყენება ენერჯის წყაროდ საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შემცირდეს მილსადენ მაგისტრალში მიმდევრობით ჩართული საფეხურების რაოდენობა ანუ მნიშვნელოვნად გაიზარდოს სისტემის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი ექსპლუატაცია.

საკვანძო სიტყვები: მზიდი სითხე; მილყელების ფრთები; მყარი ფხვიერი მასალა; პერფორირებული დოლი; საქმენი; ტექნოლოგიური სქემა; ტუმბოს მილყელი; ღრუ ღერძი; შნეკი; ჰიდრონარევი; ჰიდროსატრანსპორტირება.

UDC 622.694.4 : 656.6

SCOPUS CODE 2210

Technological scheme of a multistage hydrotransport facility for transportation of fossils and other solid loose materials by pipelines at far distances

Leon Makharadze

Department of Mining Technology, Georgian Technical University, 75 M. Kostava str.,
0160 Tbilisi, Georgia

E-mail: lmakharadze@gtu.ge

Reviewers:

N. Molodini, Professor, Faculty of Mining and Geological, GTU

E-mail: nor_mol@mail.ru

G. Tabatadze, Professor, Emeritus, Faculty of Mining and, Geological, GTU

E-mail: Gordatab@mail.ru

Abstract. The paper reviews the technological scheme of the multi-step pipeline hydro-transport system processed by us for transportation of the hydraulic fluid of solid loose fossils with the carrier liquid at long distances by pipelines, where high pressure centrifugal water pumps are used instead of centrifugal soil pumps. To perform its function, it has a mechanism for obtaining a hydraulic fluid which is installed within a drum and consists of an auger and quill shafts, which are attached to the axle between the inlet pipe wings. A nozzle is placed within a chamber receiving a solid loose component, which is performed within it by an auger. At the same time, each station is equipped with volumes located under the perforated drum for obtaining a mixture of liquid and solid components, which are respectively connected to the pump inlet pipe and the suction chamber of the solid component.

Such technological scheme of the pipeline hydrotransport system allows the mixture (hydraulic liquid) to be transported in the carrier liquid of solid loose fossils (as a rule, water) at any distance with an optimal concentration.

In addition, use of high-pressure water pumps on the head pump and line pump stations as a source of energy allows for minimizing the number of steps sequentially connected to the main pipeline, i.e. significantly increase technical-economic indicators of the system and ensure sustainable operation.

Key words: auger; carrier liquid; inlet pipe wings; nozzle; technological scheme; perforated drum; pump inlet pipe; solid loose material; hydraulic fluid; quill shaft; hydrotransportation.

Дата рассмотрения 27.01.2020

Дата поступления 04.06.2020

Подписано к печати 29.09.2020

UDC 72

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-3-104-111>

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საექსპერტო შეფასების საკითხისადმი

მანანა თავხელიძე არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ა
E-mail: mananiko@studiaarci.ge

რეცენზენტები:

თ. მახარაშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: t.makharashvili@gtu.ge

გ. სალუქვაძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: g.saluqvadze@gtu.ge

ანოტაცია. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საუნივერსიტეტო, შიგა პროექტების დაფინანსების საკითხები, კერძოდ მოცემულია სხვადასხვა პროექტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების და ექსპერტიზის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები, რაც საინჟინრო სახის პროექტების მართვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. შემოთავაზებულ ნაშრომში მოცემულია გამოყენებითი სახის პროექტების შეფასებისა და ექსპერტიზის ისეთი მეთოდები, რომელთა გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია წარმატებით განხორციელდეს ნახსენები პროექტების არა მარტო შეფასება, არამედ მათი შემდგომი კორექტირება.

საკვანძო სიტყვები: ექსპერტიზა; პროექტების შეფასება; საინჟინრო პროექტები.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ქვეყნის საინჟინრო-საგანმანათლებლო ცენტრი ჩართულია სხვადასხვა ფუნდამენტური თუ გამოყენებითი სახის პროექტის განხორციელებაში და როგორც ეს მიღებულია ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ერთეულების შემთხვევაში, სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ფინანსდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან – „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამით, ასევე საგრანტო დაფინანსებით სამეცნიერო ფონდების საშუალებით. აქ ნახსენები ფონდები პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად. ესენია – უნივერსიტეტის გარე და შიგა სამეცნიერო ფონდები, სადაც ორივეს მოპოვება წარმოებს გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე, მაგრამ თუ გარე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღე-

ბისტვის კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს წინასწარ შემუშავებული დებულების პირობები. როგორც წესი საუნივერსიტეტო, შიგა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება და წარმატების მიღწევა, უმეტეს შემთხვევაში, მიუხედავად უნივერსიტეტის შეზღუდული ადამიანური რესურსებისა, წარმოებს არასაკმარისად დასაბუთებელი კრიტერიუმების საფუძველზე. ასევე უნდა ითქვას, რომ როგორც წესი საკონკურსო კომისიებში მოწვეული ექსპერტები არიან სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები, რომლებიც არ იცნობენ დაზუსტებულ ექსპერტიზის მეთოდებს რომელთა გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში არ არის გამართლებელი. აქვე უნდა ითქვას, რომ რადგან პროექტების შეფასება უმთავრესად დაკავშირებულია ექსპერტის, როგორც პროფესიულ უნარ-ჩვევებთან და ასევე მის ემოციურ-ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებასთან განსახილველ პროექტთან, ასეა თუ ისე, კონკურსის შედეგად მიღებული პროექტის შეფასებები მაინც მიახლოებულია და სათანადო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რთული სტატისტიკური მეთოდების გამოყენება პროექტების ექსპერტიზისათვის არ იქნება გამართლებული. ნათქვამის საფუძველზე, წინამდებარე ნაშრომში მოცემულია პროექტების ექსპერტიზის რამდენიმე მარტივი მეთოდის აღწერილობა, რომელთა გამოყენება საგრძნობლად გააიოლებს ამა თუ იმ სამეცნიერო პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

ძირითადი ნაწილი

საექსპერტო შეფასების პროცედურა ეკუთვნის გადაწყვეტილების მიღების თეორიის ფართო სფეროს, რომლის შედეგადაც შესაძლებელია შეფასების

მიღება სპეციალისტების (ექსპერტთა) მოსაზრებაზე დაყრდნობით, შემდგომი გადაწყვეტილების მიღების (შერჩევის) მიზნით. აქ დასმული პრობლემის უკიდურესი სირთულის, არასაკმარისი ინფორმაციულობის და გადაწყვეტის პროცესის მათემატიკური ფორმალიზაციის შეუძლებლობის მიზეზით, საჭიროა მივმართოთ კომპეტენტური სპეციალისტების რეკომენდაციებს, რომლებიც კარგად იცნობენ დასმულ პრობლემას და შესაბამისად მათ მიერ პროექტების არგუმენტირებული თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასებების ფორმირება და ფორმალური მეთოდებით დამუშავება გააიოლებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას წარმოდგენილი ამა თუ იმ სამეცნიერო პროექტის კონკურენტუნარიანობის შესახებ.

პროექტების ექსპერტიზასთან დაკავშირებით ზოგადად არსებობს ორი სახის საექსპერტო შეფასების წესი, როგორებიცაა:

1. ინდივიდუალური შეფასებები, რომელიც ემყარება ცალკეული ექსპერტების მოსაზრებების გამოყენებას, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

2. კოლექტიური შეფასებები, რომელსაც საფუძველად უდევს ექსპერტთა კოლექტიური მოსაზრება.

საკონკურსო პროექტების, როგორც ექსპერტიზის ობიექტების გაზომვის საშუალებიდან შესაძლებელია გამოვიყოს ქვემოთ მოყვანილი სამი ძირითადი მარტივი მეთოდი:

1. *რანჟირების მეთოდი* ობიექტების ისეთი განაწილების წესია, როდესაც მათი დალაგება წარმოებს მათი თანდაყოლილი თვისებების აღმავალი ან დაღმავალი მახასიათებლების საფუძველზე. რანჟირება იძლევა საშუალებას ობიექტთა ერთობლიობიდან აირჩეს ყველაზე მნიშვნელოვანი.

2. წყვილთა შედარების მეთოდი არის ობიექტების უპირატესობის დადგენა ყველა შესაძლო წყვილის შედარებისას. როგორც რანჟირებისას, აქ არ არის აუცილებელი, ყველა მოცემული ობიექტის ერთობლიობაში განხილვა, არამედ აუცილებელია თითოეულ წყვილში უფრო მნიშვნელოვანი ობიექტის იდენტიფიცირება ან მათი თანასწორობის დადგენა.

3. პირდაპირი შეფასების მეთოდი ხშირად სასურველია შეფასების ობიექტების არა მხოლოდ რანჟირება, არამედ იმის დადგენაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი სხვებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, ობიექტის მახასიათებლებში ცვლილებების სპექტრი იყოფა ცალკეულ ინტერვალებად, რომელთაგან თითოეულს ენიჭება გარკვეული ნიშანი (ქულა), მაგალითად, 0-დან 10-მდე. აღნიშნულის გამო, პირდაპირი შეფასების მეთოდს ზოგჯერ უწოდებენ ქულების მეთოდს.

ცხრილი 1.

	1	2	...	j	...	m
1	a_{11}	a_{12}	...	a_{1j}	...	a_{1m}
2	a_{21}	a_{22}	...	a_{2j}	...	a_{2m}
...
i	a_{i1}	a_{i2}	...	a_{ij}	...	a_{im}
...
n	a_{n1}	a_{n2}	...	a_{nj}	...	a_{nm}

განვიხილოთ აქ მოყვანილი მეთოდების თავისებურებები. რანჟირების მეთოდის შესაბამისად თითოეული მოწვეული ექსპერტის მოვალეობაა ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი პროექტების, როგორც განსახილველი ობიექტების დაწყობა უპირატესობათა მიხედვით, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილი ცხრილში (ცხრილი 1). მატრიცაში

(ცხრილი 1) a_{ij} არის ობიექტის მახასიათებელი ნიშანი, n – მახასიათებელი ნიშნების რაოდენობა, ხოლო m – ექსპერტთა რაოდენობა, მათი ნომრის აღნიშვნით. მატრიცის შედგენის შემდეგ, საჭიროა გამოითვალოს მოცემული მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობა S_i , რისთვისაც საჭიროა ყველა მახასიათებელ ნიშანს (a_{ij}) მიენიჭოს წონითი კოეფიციენტი, რაც მოგვცემს საშუალო მნიშვნელობის მარტივად გამოთვლის საშუალებას, რისთვისაც – ყველა მახასიათებელ ნიშანს უნდა მიენიჭოს წონის კოეფიციენტი ისე, რომ ამ კოეფიციენტების ჯამი ტოლი იყოს გარკვეული ფიქსირებული რიცხვის (მაგალითად, ერთის, ათის ან ასის), ე.ი. ყველა მახასიათებელი ნიშნიდან ყველაზე მნიშვნელოვანს ენიჭება წონის კოეფიციენტი, რომელიც უდრის გარკვეულ ფიქსირებულ რაოდენობას, ხოლო ყველა დანარჩენ – კოეფიციენტს, ენიჭება ამ კოეფიციენტის წილობრივი მნიშვნელობა. აღნიშნულის შემდეგ უნდა მოხდეს მონაცემთა თანამიმდევრული შედარება, რისთვისაც ექსპერტი მახასიათებელ ნიშნებს ალაგებს მათი მნიშვნელობების კლებადობის მიხედვით - $A_1 > A_2 > \dots > A_n$, რის შემდეგ პირველ მახასიათებელ ნიშანს ექსპერტი ანიჭებს მნიშვნელობას $A_1=1$, ხოლო დანარჩენს კლებადობის მიხედვით $A_1=1$ -ის წილობრივ მნიშვნელობებს და აწარმოებს მახასიათებელი ნიშნის მნიშვნელობის დანარჩენი მნიშვნელობების ჯამთან შედარებას.

რაც შეეხება წყვილთა შედარების მეთოდს, იგი უმეტესწილად გამოიყენება დიდი ობიექტების იდენტიფიცირებისას, როდესაც ობიექტებს შორის განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი რეიტინგი პრაქტიკულად შეუძლებელია. მეთოდის გამოყენებისას წარმოებს $n \times n$ ზომის მატრიცის შედ-

გენა (იხ. ცხრილი 2), სადაც n არის შედარებული ობიექტების რაოდენობა.

ცხრილი 2

	1	2	...	j	...	n
1	a_{11}	a_{12}	...	a_{1j}	...	a_{1n}
2	a_{21}	a_{22}	...	a_{2j}	...	a_{2n}
...
i	a_{i1}	a_{i2}	...	a_{ij}	...	a_{in}
...
n	a_{n1}	a_{n2}	...	a_{nj}	...	a_{nn}

ობიექტების შედარებისას, მატრიცა ივსება a_{ij} ელემენტებით შემდეგში წესით:

- 2-ით აღინიშნება ობიექტი, როდესაც i -ს ენიჭება უპირატესობა j ობიექტის მიმართ, ($i > j$).
- 1, თუ დადგენილია ობიექტების თანასწორობა ($i = j$),
- 0, თუ ენიჭება უპირატესობა j ობიექტს ($i < j$).

ნახსენების შემდეგ, გამოთვლები წარმოებს ზემოთ მოყვანილი წესის მიხედვით.

პირდაპირი შეფასების მეთოდის გამოყენება სასურველია არა მხოლოდ ობიექტების რანჟირებისას, არამედ იმის დადგენაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი სხვებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, ობიექტის მახასიათებლებში ცვლილებების სპექტრი იყოფა ცალკეულ ინტერვალებად, რომელთაგან თითოეულს ენიჭება გარკვეული ნიშანი (ქულა), მაგალითად, 0-დან 10-მდე. ამიტომაც, პირდაპირი შეფასების მეთოდს ზოგჯერ უწოდებენ ქულების მეთოდსაც. აქ გამოიყენება ისეთივე მატრიცა, როგორც ეს გვექნება წინა შემთხვევაში (იხ. ცხრილი 2).

ექსპერტიზის შედეგების გასაანალიზებლად გამოიყენება მათემატიკური სტატისტიკის სხვადასხვა მეთოდი (იხ. [1], [4], [5]), რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან დავალების ტიპისა და მისაღები სასურველი შედეგის მიხედვით. ვთქვათ საჭიროა, რომ ექსპერტთა m ჯგუფმა უნდა შეაფასოს ობიექტის ფასეულობა, სადაც ყოველი j -ე ექსპერტის შეფასება არის x_j , მაშინ ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეფასების შესაქმნელად, საჭიროა საშუალო მნიშვნელობების მიღება, რისთვისაც ყველაზე ხშირად გამოიყენება ე.წ. მედიანას მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ექსპერტების მიერ განსახილველად შემოსული პროექტების სიმრავლიდან შეფასებებისას უნდა დადგინდეს მათი “საშუალო” შეფასება ანუ გამოვლინდეს ის პროექტი, რომელიც მიღებული შეფასებების შედეგად ყველაზე “ახლო” იქნება კოლექტიურ გადაწყვეტილებასთან.

პროექტის შეფასებისას თითოეული კრიტერიუმის მიხედვით გამოითვლება შეფასების საშუალო მნიშვნელობა, რომელიც მრავლდება კრიტერიუმის წონით კოეფიციენტზე. რის შემდეგ, ცალკეულ კრიტერიუმებში მიღებული ქულები ჯამდება და მიიღება პროექტის საერთო შეფასება. მაშასადამე, ცალკეული პროექტების საერთო შეფასების გათვლა წარმოებს შემდეგი გამოსახულების საფუძველზე:

$$Q_n = \sum (S_{kn} \cdot \mu_{kn})$$

აქ: $S_{kn} = \sum \frac{C_{kin}}{m}$; $n=1...N$, სადაც N არის პროექტების რაოდენობა; S_{kn} – n პროექტში k კრიტერიუმის მნიშვნელობის შეფასების საშუალო სიდიდე; C_{kin} – n პროექტში i ექსპერტის მიერ k კრი-

ტერიუმის შეფასება 10 ბალიანი შკალით; $i = 1..m$, სადაც m – ექსპერტების რაოდენობა. წარდგენილ პროექტებს შორის საუკეთესოდ ჩაითვლება ის, რომელიც დააგროვებს საერთო შეფასებაში მაქსიმალურ ქულას და შესაბამისად გვექნება:

$$\max \{ Q_n \} \Rightarrow \text{გამარჯვებული პროექტი}$$

თუ კვლევაში მონაწილეობს რამდენიმე ექსპერტი, მათ შეფასებებში გარდაუვალია შეუსაბამობები, რომელთა სიდიდე ძალზედ მნიშვნელოვანია ექსპერტიზის საბოლოო მნიშვნელობის მისაღებად. ჯგუფური შეფასება შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად საიმედოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული სპეციალისტების პასუხები კარგად არის კოორდინირებული. ამ შეფასებების განაწილების და მათი თანამიმდევრობის გასაანალიზებლად გამოიყენება ისეთი სტატისტიკური მეთოდები, როგორებიცაა – მახასიათებლების გაფანტულობის შეფასების ან სტატისტიკური ვარიაციის მეთოდების გამოყენება. გაფანტულობის შეფასება იანგარიშება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ასე მაგალითად აქ გამოიყენება, როგორც ვარიაციის ზომის განმსაზღვრელი გამოსახულება -

$$R = x_{\max} - x_{\min};$$

ასევე წრფივი გადახრის მეთოდი შემდეგი გამოსახულების გამოყენებით:

$$a = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n |x_i - \bar{x}|,$$

გარდა ნახსენებისა გამოიყენება ასევე, საშუალო კვადრატული გადახრა;

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2}.$$

დისპერსიის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი გამოსახულება:

$$\sigma^2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2;$$

ხოლო, სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი იანგარიშება, როგორც:

$$\rho = 1 - \frac{\sum_{i=1}^n (x_{ij} - x_{ik})^2}{n(n^2 - 1)} = 1 - \frac{\sum_{i=1}^n d_i^2}{n(n^2 - 1)},$$

ამ ტოლობებში ρ მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს -1 -დან $+1$ -მდე დიაპაზონში. თუ შეფასებები ერთხვევა ერთმანეთს, მაშინ კოეფიციენტი ρ იქნება ერთის ტოლი. ექსპერტების მოსაზრებების ყველაზე დიდი შეუსაბამობას მივიღებთ იმ შემთხვევაში, როდესაც ρ კოეფიციენტის მნიშვნელობა იქნება მინუს 1-ის ტოლი. რაც შეეხება x_{ij} -ს, იგი არის j ექსპერტის მიერ, i - ობიექტისთვის მინიჭებული რანგი, ხოლო $x_{ik} - k$ ექსპერტის მიერ i - ობიექტისთვის მინიჭებული რანგი. რაც შეეხება d_i -ს, იგი არის i ობიექტისთვის მინიჭებულ რანგებს შორის.

თუ განვიხილავთ ექსპერტების მოსაზრებების თანხვედნილობას, უნდა აღინიშნოს, რომ რანჟირება არ გულისხმობს (ან ყოველთვის არ გულისხმობს) შეფასებების ერთმანეთთან დაშორებას. ანუ, თუ ერთი ექსპერტი A, B და C ობიექტებს, როგორც კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს, როგორც $A > B > C$, რაც ნიშნავს, რომ $A \gg B > C$, ხოლო მეორე ექსპერტისთვის $A > B \gg C$, როდესაც ყველანაირი კორელაცია და საშუალო შეფასების გამოთვლა არ დაგვეხმარება. მაშინ, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი, ზემოთ მოყვანილი გამოსახულების მიხედვით, ექსპერტთა შეთანხმების კოეფიციენტის გამოთვლა მოგვცემს ექსპერტთა მოსაზრებების ფორმალისების საშუალებას.

იმის გამო, რომ შეფასებები, როგორც წესი, ეყრდნობა გარკვეულ სავარაუდო მოდელს, ამიტომ საჭი-

როა ყურადღებით გაითვალისწინოთ წარმოდგენილი პროექტების შესაძლო გამოყენების არეალი.

დასკვნა

ნაშრომში განხილული საკონკურსოდ წარდგენილი პროექტების შეფასებისა და ექსპერტიზის მეთოდი ძალზედ მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ნაშრომში მოცემული პროექტების შეფასებისათვის მიღებული კრიტერიუმები ატარებენ პირობით ხასიათს, მაგრამ მათი რაოდე-

ნობის გაზრდით, რომელიც არ არის შეზღუდული, გაიზრდება შეფასების ადეკვატურობა. ამ მეთოდის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს პროექტების მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების წონითი კოეფიციენტების ფიქსირებული მნიშვნელობების გაანგარიშება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია საექსპერტო ჯგუფის მიერ გაანგარიშებული კრიტერიუმების წონითი კოეფიციენტების მნიშვნელობების საფუძველზე მოხდეს პროექტების საბოლოო რანჟირება.

ლიტერატურა

1. Tavkheldze M. Basics of organization of investment-urban construction projects taking into account environmental factors. PhD thesis. Georgian Technical University. 2012. (in Georgian).
2. Cherniak V.Z. Management of investment projects in construction. Monograph. Moscow. 1998, 316 p. (in Russian).
3. Shengelia T. Innovation processes: politics, regulations, efficiency. Tbilisi. 1997. (in Georgian).
4. Salukvadze G., Tatarishvili T., Tavkheldze M. Analysis and examination of ecologically oriented investment urban development projects. Business engineering journal. N1 (483). Georgian Technical University. 2012. (in Georgian).
5. Tavkheldze M., Tatarishvili T. Use of Median methods for analysis and expertise of investment urban development projects. Business engineering journal. 1 (2). Georgian Technical University. 2012. (in Georgian).
6. Orlov A.I. Expert assessments. Text-book. Moscow. 2002. (in Russian).

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Expert evaluation issues of research projects

Manana Tavkheldize Department of Fundamentals of Architecture and Theory, Georgian Technical University, 68^a M. Kostava str., 0160 Tbilisi, Georgia
E-mail: mananiko@studiaarci.ge

Reviewers:

T. Makharashvili, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design
E-mail: t.makharashvili@gtu.ge

G. Salukvadze, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design
E-mail: g.saluqvadze@gtu.ge

Abstract. The paper refers to the issues of university internal projects funding by research funds of Georgian technical university. In particular, here is described the possibilities of using qualitative and quantitative assessment and expertise methods of different projects, which is one of the main issues in the management of engineering projects. The proposed paper provides methods for evaluating and examining projects of applied fields mainly, based on the use of which it is possible to successfully conduct not only the evaluation of the mentioned projects, but also their farther correction as needed.

Key words: Engineering projects; expert evaluation; project evaluation.

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Вопросы оценки экспертной оценки научно-исследовательских проектов

Манана Тавхелидзе Департамент архитектурных основ и теорий, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^ა
E-mail: mananiko@studiaarci.ge

Рецензенты:

Т. Махарашвили, профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: t.makharashvili@gtu.ge

Г. Салуквадзе, профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: g.saluqvadze@gtu.ge

Аннотация. В настоящей статье рассматриваются вопросы финансирования внутренних проектов вуза, в частности, возможности использования качественных и количественных методов оценки и экспертизы различных проектов, что является одним из основных вопросов управления инженерными проектами. В предлагаемом документе представлены методы оценки и экспертизы проектов прикладного типа, на основе которых можно успешно проводить не только оценку упомянутых проектов, но и их дальнейшую коррекцию.

Ключевые слова: инженерные проекты; оценка проекта; экспертиза.

განხილვის თარიღი 27.01.2020

შემოსვლის თარიღი 09.06.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2020

UDC 72

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-3-112-134>

მემკვიდრეობის განსხვავებული აღქმა: თბილისი, რუსთაველის გამზირი №7

ნიკოლოზ შავიშვილი დიზაინის საერთაშორისო სკოლა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: n.shavishvili@gtu.ge

თამარ ჩუბინიძე არქიტექტურული გეგმარებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ა

E-mail: Chubinidzetam13@gmail.com

რეცენზენტები:

გ. მიქიაშვილი, დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი

E-mail: gochamikia@yahoo.com

მ. მაისურაძე, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: m.maisuradze@gtu.ge

ანოტაცია. თბილისის მთავარ გამზირზე – რუსთაველის N 7-ში ახლად აგებული ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი ქალაქის ისტორიული ცენტრის მემკვიდრეობის სადავო აღქმის მაგალითია. შენობის გამოკვეთილი სტილობრივი პრიორიტეტებისა და ფსევდოსტილების აღრევის გამო იგი, სტატიის ავტორთა აზრით, ჯანსაღ კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს.

1868 წ. არქ. ო. სიმონსონის პროექტით აქ აიგო სამართლო პალატა, 1874 წ. არქ. ა. ზალცმანის მიერ იგი გადაკეთდა სასტუმრო „ორიანტად“, რომელიც შემდგომ სასტუმრო „ინტურისტად“ გადაიქცა. 1977 წ. შენობაში „მხატვრის სახლმა“ დაიდო ბინა. 1991 წ. თბილისის ომის შედეგად შენობა განადგურდა.

არქ. არჩილ ქვრდიანის (უმცრ.) პროექტით აქ აშენდა ქართული თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი. შენობა უხვად დეკორირებულია, ჩანს ისტორიულ-კულტურული გავლენები, რომელთა შორის ყველაზე თვალშისაცემია ვენეციის დოჟების სასახლის არქიტექტურა. ორნამენტირებული ფასადი აქცენტირებულია ცენტრალური შემოსასვლელის თავზე აღმართული არწივის დიდი ქანდაკებით. რადიკალურად განსხვავებულია გუდიაშვილის ქუჩისკენ გახსნილი ფასადი, მასში გამოყენებულია თანამედროვე მასალა – მინა და ლითონი, გეომეტრიზირებული მინიმალისტური ფორმები, იმ დროს როცა დანარჩენი ორი ფასადი მოდერნის, ბაროკოსა და სხვა სტილთა ნაზავია.

თავის დროზე ქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილებას მშენებლობის ნებართვის გაცემაზე,

კრიტიკულად გამოეხმაურა საზოგადოებისა და კრიტიკოსთა დიდი ნაწილი. ამავე დროს არსებობდა განსხვავებული, დადებითი შეფასებები და მოსაზრებები, თუმცა ისინი უმცირესობაში იყვნენ.

ახალი მუზეუმის შენობამ დისონანსი შეიტანა გამზირის განაშენიანებაში. სტატიის ავტორთათვის უფრო მისასალმებელი იქნებოდა სრულიად თანამედროვე, გაბედული ახალი შენობა, რომელიც საკუთარ სიტყვას იტყოდა გამზირის სტილისტურ მრავალფეროვნებაში და არ დაუპირისპირდებოდა კონტექსტს, ისტორიასა და საზოგადოებას. როდესაც საქმე ურბანულ წარსულთან გვაქვს, მის მიმართ პატივისცემა არქიტექტორის ვალია.

სტატიის ავტორთა და სხვა კრიტიკოსთა აზრით, მემკვიდრეობის ამგვარი სადავო ინტერპრეტაციების შესაძლებლობა მნიშვნელოვან ურბანულ გადაკვეთებზე საჯარო განხილვისა და საერთაშორისო

არქიტექტურული კონკურსის ჩატარების გარეშე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შექმნა.

საკვანძო სიტყვები: თბილისი; კიტჩი; კრიტიკა; მუზეუმი; რუსთაველის გამზირი; სტილი; ურბანული მემკვიდრეობა; ჰეტეროგენული.

შესავალი

ეს მოკლე კვლევა ეხება საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, მის მთავარ ქუჩაზე განხორციელებულ ახალშენებლობას. ჩვენი აზრით, იგი ნებისმიერი ქალაქის ისტორიული ცენტრის მემკვიდრეობის სადავო აღქმის მაგალითია და, როგორც ასეთი, იმსახურებს კრიტიკული შეფასების ჯანსაღ დოზას. (სურ.1)



სურ. 1


ძირითადი ნაწილი

1865-1867 წწ. ოტო იაკობ სიმონსონმა თბილისში ("ტიფლისში", როგორც მას გერმანელებმა უწოდეს იმ პერიოდში, როცა ისინი ძლიერად იყვნენ წარმოდგენილნი რუსეთის იმპერიის სამხრეთში) მოღვაწე გერმანელმა არქიტექტორმა დაგეგმა და ააგო გოლოვინსკის (დღევანდელი რუსთაველის) გამ-

ზირზე, ქალაქის მთავარ მაგისტრალზე, საოლქო სასამართლოს და თბილისის სასამართლო პალატების ორსართულიანი კორპუსი (სურ 2). შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 1868 წ., თუმცა მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1894 წ., რუსთაველისა და ჯორჯაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ეს შენობა (რომლის მოპირდაპირე მხარეს ჯორჯაძის ქუჩაზე

ათი წლის შემდეგ სხვა გერმანელი – ლეოპოლდ ბილფელდი აპროექტებს შუასაუკუნოვანი ქართული ჯვარგუმბათოვანი ტაძრების სტილში ქაშვეთის ეკლესიას, რომელიც 1029 წ. სამთავისის საკათედრო ტაძრის ფაქტობრივი ასლია) მიეყიდა ვინმე მირიმანოვს, სომეხ მეწარმეს. მან მალევე დაიქირავა მესამე გერმანელი ხუროთმოძღვარი, ამჯერად მათ შორის ალბათ ყველაზე ცნობილი – ალბერტ ზალცმანი, რომელმაც დაამატა მესამე დონე და ოფისის შენობა სასტუმროდ გადააკეთა (სურ 3). სხვა წყაროები აღნიშნავენ, რომ ზალცმანის რეკონსტრუქცია სინამდვილეში მოხდა 20 წლით ადრე, 1874 წ. (ბერიძე, 1963:168). რაც არ უნდა იყოს სიმართლე, ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავენ, რომ დედაქალაქის "უდიდესი და საუკეთესო სასტუმრო" გაიხსნა 1895 წ. აპრილში, „ორიანტის“ სახელით (ფრანგულად *Hotel d'Orient*) . სასტუმროს ქვედა სართულის ნაწილი მაშინვე გაქირავებულა თბილისში იმ დროის, ალბათ, ყველაზე ძვირფას მდგმურზე – საკერავი მანქანების ცნობილ ამერიკულ ფირმაზე Singer, რომლის ვიტრინები გოლო-

ვინსკზე გადიოდა, და გრამოფონების და წიგნების მაღაზიებზე. მალე „ორიანტის“ რესტორანი, თავისი დახვეწილი ფრანგული და როგორც რეკლამა გვამცნობს, "ეროვნული" ქართული სამზარეულოთი, გახდა ელიტარული ადგილობრივი საზოგადოების და საქართველოს დედაქალაქის სტუმრების საყვარელი ადგილსამყოფელი. 1898 წ. ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯულიან რალფმა, რომელიც *New York Journal*-სა და ლონდონის *Daily Mail*-ისთვის წერდა, ასეთ კომენტარს აკეთებს: "ერთადერთი მართლაც შესანიშნავი სასტუმრო, რომელიც ჩემი მოგზაურობის დროს ვნახე, იყო სასტუმრო „ორიანტი“ თბილისში. მას ინახავდა ერთი შვეიცარიელი კაცი და მისი ცოლი, რომლებმაც იცოდნენ, რომ მსახურების შერჩევასა უნდა მორიდებოდნენ რუსებსა და სომხებს – ყველა მათგანი ქართველია" (<https://hotels.ltd.ge/blog>). სასტუმრო „ორიანტის“ რეპუტაცია კიდევ უფრო გამყარდა სხვა ცნობილი სტუმრების შემდგომი ვიზიტებით, რომელთა შორის იყვნენ ისეთი მწერლები, როგორებიცაა ანდრე ჟიდი, თეოდორ დრაიზერი და ბორის პასტერნაკი.



სურ. 2

1918 წ. ეს „თბილისური ბაროკოს“ სტილის ნაგებობა (როგორც გერმანელთა მიერ XIX ს. ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურაში დანერგილ ამ ტრადიციას დღეს ვუწოდებთ), რუსთაველის გამზირის N 7-ში თავისი 80 ოთახიდან რამდენიმეს ხელოვანთა კლუბს „არტისტერიუმს“ და ჟურნალ ARS-ს უთმობს. აქ იფინებოდა იმ დროის ავანგარდის მხატვრები,

როგორებიცაა ლადო გუდიაშვილი და ძმები ზდანევიჩები. 1928 წ. პარიზიდან დაბრუნებულმა დავით კაკაბაძემ თავისი პირველი პერსონალური გამოფენა სწორედ აქ გამართა. შემდეგ წელს ლადო გუდიაშვილმა ვესტიბიული მოხატა, მაგრამ, სამწუხაროდ, კედლები მოგვიანებით ბათქაშით დაფარეს და

გადაღებეს, ხოლო მისი ნამუშევრის არც ერთი ფოტოგრაფიული მტკიცებულება არ დარჩა.



სურ. 3

საბჭოთა პერიოდში სასტუმროს პოპულარობა და რეპუტაცია კიდევ უფრო იზრდება, 1940-იანებში „ორიანტი“ უცხოელთა მომსახურების სახელმწიფო მონოპოლიის საკუთრებაში გადადის: 1947 წ., როცა აქ სტუმრობს ნობელის პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი, მწერალი ჯონ სტეინბეკი ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად, შენობას უკვე სასტუმრო „ინტურისტი“ ქვია.

საბჭოთა პერიოდის განმავლობაში სასტუმროს შენობა, თავისი ცენტრალური მდებარეობით რუსთაველის გამზირზე, მთავარი საბჭოთა ხუროთმოძღვრული ძეგლის – ე.წ. „მთავრობის სახლის“ მოპირდაპირედ – არა მხოლოდ მოწმე, არამედ ფაქტობრივი მონაწილე ხდება მთელი რიგი ტრაგი-

კული მოვლენებისა, მათ შორის 1956 წ. 9 მარტის „შავი პარასკევის“, 1989 წ. 9 აპრილის ღამეს კრემლის წინააღმდეგ გამოსულმა ათობით დემონსტრანტმა თავშესაფარი იპოვა შენობაში, სადაც დამალა რუსი ჯარისკაცების სანგრის ნიჩბებს, რომლებმაც 21 ახალგაზრდა ქართველი ქალ-ვაჟის სიცოცხლე შეიწირა.

იმ დროისთვის ეს უკვე აღარ იყო სასტუმრო: 1977 წ. შენობაში შეწყდა „ინტურისტის“ ფუნქციონირება, ხოლო 1979 წ. იგი საკუთრებაში გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირს, რომელსაც მომდევნო ათწლეულში იქ გააჩნდა საგამოფენო სივრცეები, აუდიტორიები, მხატვრების სახელოსნოები და კავშირის თანამშრომელთა ოთახები. შენობას

„მხატვრის სახლი“ დაერქვა. მასში მომხდარმა ცვლილებებმა მოითხოვა შენობის გეგმარების სერიოზული გადამუშავება, თუმცა მოხერხდა მთავარი მარმარილოს კიბის შენარჩუნება.

ეს ყველაფერი მოულოდნელად დასრულდა 1991 წ. ბოლო კვირაში: შენობა აღმოჩნდა 1991-1992

წწ. დეკემბერ-იანვრის ორკვირიანი ომის ეპიცენტრში, რომელმაც თბილისის შუაგულში ათეულობით დამწვარი შენობა და დედაქალაქის ინფრასტრუქტურის მოშლა გამოიწვია; შესაბამისად, „მხატვრის სახლს“ გადარჩენის შანსი არ ჰქონდა (სურ 4).



სურ. 4

ომის დასრულებისთანავე საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სამსახურმა დაამუშავა თბილისის გადამწვარი და დანგრეული ისტორიული ცენტრის აღდგენის სამუშაო გეგმა (5). ჩაფიქრებული იყო ისტორიული ნაგებობების აგება, ისინი თავდაპირველი იერსახით ზუსტად უნდა აღედგინათ და გაემეორებინათ მათი სტრუქტურები და ფუნქციები. ამრიგად, მრავალი წლის შემდეგ "მხატვრის სახლი" ისევ სასტუმროდ გადაიქცეოდა. ჩატარდა არაერთი ეროვნული კონკურსი, მ. შ. „ორიანტის“ და მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის.

1992 წ. წარმოდგენილი იყო რამდენიმე ძალიან საინტერესო წინადადება; გამოვეყოთ წამყვანი ქართველი არქიტექტორების ორი ნამუშევარი: პირველი ვლადიმერ ქურთიშვილისა, რომელშიც ახალი ნაწილი დიაგონალურადაა შეჭრილი აღდგენილი კორპუსის უკანა ნაწილში (6), მეორე შოთა ყავლაშვილისა და ვიქტორ ჯორბენაძის, სადაც მრავალსართულიანი მასის განვითარება ასევე აღდგენილი შენობის უკანა ფასადიდან ხდება. ცხადია, რომ ორთავე ეს ოსტატური შემოთავაზება საგულდაგულოდ არიდებს აღდგენილ შენობას ყველა დამატე-


ბით დიდ მასას, წინა მხარეს ტოვებს მხოლოდ სამ- რუსთაველის გამზირის გასწვრივ, ხოლო ახალ სართულიანი სასტუმროს ზალცმანისეულ ფასადს ნაწილს მთავარი ფასადის უკან ითვალისინებს (7).



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

სამწუხაროდ, ეს სადი და დელიკატური გეგმები, თუნდაც ქურთიშვილის გამარჯვებული პროექტი, არ განხორციელებულა: 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომმა და საქართველოს ეკონომიკურმა პრობლემებმა პროგრესი შეაჩერეს. მომდევნო 20 წლის განმავლობაში სასტუმროს ტერიტორია მიტოვებული იყო და მისი მიმდებარე სახლები დაინგრა; რეგისტრირებული ძეგლების სტატუსმაც კი ვერ შეაჩერა მათი საბოლოო ჩამოშლა. მათ გამოთავისუფლებულ მიწას დაემატა ისტორიული სასტუმროს ასევე უკვე დანგრეული შენობის მიწა, რამაც უზარმაზარი ნახევარჰექტარიანი ნაპრალი გააჩინა თბილისის შუაგულში, რუსთაველის გამზირზე N 7-ში: ალბათ, მთელს ქვეყანაში თავისუფალი მიწის ნაკვეთი რომ მოგეძია, ეს ყველაზე ცნობილი მისამართი აღმოჩნდებოდა.

შემდეგ განხორციელდა ის, რაც ამ კვლევის

მთავარი საგანია: ისტორიული ქალაქის ცენტრში მემკვიდრეობის მეტად სადავო ინტერპრეტაცია (8). 2012 წ. ცარიელი მიწის ნაკვეთი (მასთან დაკავშირებული შეთქმულების თეორიის მიხედვით, მიწა თანდათანობით და შეგნებულად გაცარიელდა სასტუმროსა და სხვა ძეგლებისაგან, ანუ რეგისტრირებული სტატუსის მქონე მიტოვებულ და მოუვლელ ნაგებობებს განგებ მისცეს საშუალება თავად ჩამოშლილიყვნენ – ამ თეორიას ერთგვარად ამაგრებს ნაკვეთზე შემდგომში განვითარებული მოვლენები, თუმცა წინამდებარე კვლევის ავტორებს შეგნებული უმოქმედობის არანაირი სახის მტკიცებულება არ გააჩნიათ) მიყიდეს საქართველოს უმსხვილეს მობილურ ოპერატორ კომპანია „მაგთის“. მისი თანამფლობელები არიან ხელოვნების მოყვარული და მფარველი, რომლებიც 2013-2018 წწ. თავზე და-

ადგენ პროექტირებისა და მშენებლობის პროცესს და დაასრულეს ის, რასაც ამჟამად „ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი“ ეწოდება (9). მუზეუმის ვებსაიტზე ნათქვამია, რომ „მუზეუმში წარმოდგენილია მისი დამფუძნებლების... კერძო კო-

ლექცია. დამფუძნებლების მიზანი იყო საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ხელოვნების ერთ სივრცეში თავმოყრა, რადგან ექსპონატების უმეტესობა ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არასდროს ყოფილა” (<http://www.finearts.ge>).




სურ. 8



სურ. 9

ეს შესაშური ამოცანა შესრულდა ჩვენი კვლევის საგანში – ახალ ნაგებობაში, სადაც მუზეუმს გარდა განთავსდა სასტუმრო (10), ფიტნეს ცენტრი აუზით, მაღაზიები, რესტორნები, ოფისები გასაქირევებლად, პერსონალის სათავსები და მრავალდონიანი მიწის-

ქვეშა ავტოსადგომი. კომპლექსი იკავებს ნაკვეთის მთელ პერიმეტრს და გადაჰყურებს არა მხოლოდ რუსთაველის გამზირს, არამედ ჯორჯაძის და გუდიაშვილის ქუჩების ისტორიულ განაშენიანებას (11).



ხედი ქაშვეთის ეკლესიიდან. View from Kashveti Church

სურ. 10



სურ. 11

არქიტექტორები არიან თანამედროვე საქართველოში, ალბათ, ყველაზე ცნობილი არქიტექტურული დინასტიის – ქურდიანების ოჯახის მოქმედი თაობა. დინასტიის ლეგენდარული სულისჩამდგმელი, არჩილ ქურდიანი, იყო XX ს. ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი, 1929 წ. ხუროთმოძღვრების პირველი

ქართული ეროვნული სკოლის პირველი კურსდამთავრებული და სტალინური „ამპირის“ გამორჩეული მონუმენტური ქმნილებების ავტორი – მ. შ. ეპოქის ბრწყინვალე მეგლის – მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა გამოფენაზე ელევანტური და ჰაეროვანი ქართული ეროვნული პავილიონისა, რომელიც 1939 წელს აშენდა (12).

სწორედ მონუმენტურობის შეგრძნება უმაღლესი და-
უფლები თბილისში, რუსთაველის N 7-ში აგებუ-
ლი ახალი მუზეუმის მნახველსაც: ცნობილმა წინა-
პარმა ჭემპარიტად დაანათლა ერთგვარი წონის,
სიმძიმის, სოლიდურობის ნიშანი მისი დინასტიის
შთამომავლების ამ ქმნილებას და გრანდიოზული
მიზნის დაძლევის შთაბეჭდილება მნახველში, სა-
ვარაუდოდ, სამუდამოდ დარჩება.

მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ ახალი შენობა
უფრო მაღალი და მძიმეა, ვიდრე მისი წინამორბე-
დი სასტუმრო „ორიენტი“ იყო და, ჩვენი აზრით,
ქუჩის მასშტაბსაც გაცდენილია, რუსთაველის გამ-
ზირთან შესაბამისობის, გარემოს და კონტექსტის
საკითხი მის პრობლემათა შორის მაინც ყველაზე
უმნიშვნელოა.

უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომელსაც
მხარს უჭერს რიგი მეტად გამორჩეული პროფესიო-
ნალი არქიტექტორებისა, რომ ახალი შენობის მასა
თავად სულაც არ გასცდება რუსთაველის გამზირის
ისტორიულ მასშტაბს და, როგორც ზოგიერთი მათ-
განი აღნიშნავს, ქუჩის კონტურსაც კი არ არღვევს.
ჩვენ, როგორც უკვე განვაცხადეთ, განსხვავებული
აზრი გვაქვს, მაგრამ შენობის მასშტაბი ნამდვილად
არ წარმოადგენს ჩვენი შეფასების უმთავრეს საგანს.

ახალი შენობის უმთავრესი პრობლემა, ჩვენი
აზრით, არ ვრცელდება მის უშუალო გარემოზე;
მისი მთავარი პრობლემა ის არის, რომ მას არ ესმის
ქალაქი თბილისი. მისი არქიტექტურული გადა-
წყვეტა არამარტო უგულებელყოფს ურბანულ
მემკვიდრეობას და უარყოფს მის წარსულს, არამედ

უცხო ფენომენი შემოაქვს არსებულ თბილისის
ურბანულ მორფოლოგიაში.

თბილისის მორფოლოგია საკმაოდ სტაბილუ-
რია: მას შემდეგ, რაც ქალაქი გაანადგურა და არსე-
ბითად მიწასთან გაასწორა ადამაჰმად ხანის 1795 წ.
შემოსევამ და ირანელმა ყაჯარებმა აღმოსავლეთი
საქართველო სპარსეთის იმპერიას შეუერთეს, რასაც
მაღევე მოჰყვა ქვეყანაში რუსეთის არმიის შემოჭრა,
რომელმაც 1799 წ. დაიპყრო თბილისი, ქალაქის
განახლება რუსეთის პროტექტორატის პირობებში,
ვირტუალურ უდაბნოზე ხორციელდებოდა. ამან
მისცა მას საშუალება ესარგებლა თავისუფალ მი-
წებზე მსხვილი ქალაქის აღორძინების იშვიათი ფუ-
ფუნებით, რამაც გამოიწვია შეუფერხებელი განაშე-
ნინება ევროპული სტილის საქალაქო გეგმის გამო-
ყენებით და ურბანული ტერიტორიების შევსება
ახალი, დასავლეთევროპული სტილის შენობებით
(13). დაგეგმარებული ახალი მუზეუმის არქიტექტო-
რებმა, ჩვენი აზრით, ურბანული მორფოლოგია სა-
თანადოდ არ გაითვალისწინეს. მათი შენობა უპი-
რისპირდება ქალაქის ხუროთმოძღვრულ ისტო-
რიას (14). ამის ნაცვლად მას შემოაქვს ექსტრაორდი-
ნარული, დაუკავშირებელი სტილი (უფრო სწორად
კი – და ჩვენ შევეცდებით ეს დაკვირვება მოგვიანე-
ბით განვამტკიცოთ – მას შემოაქვს რაიმე ცნობილი
სტილის არარსებობა). რასაც ახალი მუზეუმის არ-
ქიტექტურა ნერგავს, ჩვენი აზრით, არაორგანულია
ნაცნობი შენობების გამოსახულებებისა და თბილი-
სის ცენტრის ტექსტურის ფონზე (15).



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15

ამით, რუსთაველის გამზირის N 7-ში მდებარე ახალი შენობა წარმატებით წყვეტს თბილისის მთავარ ისტორიულ არტერიაზე ჩამოყალიბებულ კავშირს მნიშვნელოვან ურბანულ წარსულთან და, აღჭურვილი რა ზომით და მასით, რომელიც მის სამეზობლოს აჭარბებს, და უცხო არქიტექტურული შესტებით, ცდილობს წაშალოს ძვირფასი – ზოგჯერ ტრაგიკული, მაგრამ მაინც ფასეული – მეხსიერება, აქაური *genius loci*, რომელიც საგულდაგულოდ იყო

ჩაფიქრებული, აგებული და განაყოფიერებული საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში და ჩამოყალიბდა თანამიმდევრული ურბანული სურათის სახით აწ უკვე განადგურებული სასტუმროს შენობის ენიგმატური არსებობით.

ჩვენ შორს ვართ იმისგან, რომ პირველებმა წამოვიწყეთ ამ ობიექტის კრიტიკა, რომელსაც, ჩვენი აზრით, არასწორად ესმის ურბანული მემკვიდრეობა და არასათანადო ინტერპრეტირებას აძლევს მას ამ

მნიშვნელოვან ადგილზე. ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე, როგორც კი პროექტის ნახაზები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა, ქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაცემაზე კრიტიკის საგანი გახდა. გასაგები იყო, რომ მერიას აღარ სურდა თბილისის შუაგულში ნაპრალი დარჩენილიყო, მაგრამ დამტკიცდა პროექტი, რომელსაც ამ უმნიშვნელოვანესი მისამართის შესატყვისი სრულყოფილი საჯარო პროფესიული და საზოგადოებრივი მსჯელობა არ ედირსა. ბევრის აზრით, პროექტს არ გააჩნდა არქიტექტურული ფასეულობა და ურბანული მგრძობელობა – მათთვის ეს სხვადასხვა ციტატის ეკლექტიკური ნაზავი და სხვა კულტურებიდან გადმოტანილი ლექსიკონი, უცხო წარმოშობის არასწორად გააზრებული ისტორიული არქიტექტურის დამახინჯებული ელემენტების *pastiche* იყო, ანუ ეს იყო ის, რასაც არც საზოგადოება და არც ექსპერტები არ ეგუებოდნენ.

2013 წ. კულტურის სამინისტროში გამართული მრგვალი მაგიდის მასალებში აღნიშნულია, რომ „რუსთაველის პროსპექტის მიმართ გრძივად განვითარებული ხუთსართულიანი სივრცითი სტრუქტურა მაღალი მანსარდით მასშტაბით და ზომიწონით არ შეესაბამება პროსპექტზე მდებარე, XIX ს. მეორე ნახევარსა თუ XX ს. დასაწყისის სხვადასხვა მონაკვეთში აგებულ, მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეულ შენობებს. მიუღებელია აგრეთვე დაპროექტებული ფასადის არქიტექტურული მორთულობა. გასათვალისწინებელია, რომ შოთა რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებას ქრონოლოგიურად და სტილისტურად განსხვავებული ნაგებობები ქმნის და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ძეგლის სტატუსის მქონეა. იგივე შეიძლება

ითქვას, პროექტის იმ ნაწილზე, რომელიც გუდიაშვილისა და ჯორჯაძის ქუჩებზე მიემართება.“ (<http://mcs.gov.ge/News>).

ამავე წლის სხვა კრიტიკული შეფასება ხაზს უსვამს, რომ “მნიშვნელოვანია თითოეული მშენებლობა აქ მკაცრად კონტროლდებოდეს და არ აზიანდეს მის მხატვრულ სახეს, მის კონტექსტს“. პუბლიკაციის ავტორი, ეთანხმება რა იმ აზრს, რომ „ამ ადგილას დაანგრეული მხატვრის სახლის თავდაპირველი სახით აღდგენა არ იქნებოდა მიზანშეწონილი,.... რუსთაველის გამზირზე თანამედროვე სახის პროექტის განხორციელება უმჯობესი იქნებოდა“, ამავე დროს აღნიშნავს, რომ არსებითად ქურდიანების პროექტის სახით საქმე არა ერთ, არამედ სამ სხვადასხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ შენობასთან გვაქვს: „მხოლოდ... გუდიაშვილის ქუჩისკენ გახსნილი შენობაა „თანამედროვე ნაგებობა“, რაც თანამედროვე მასალას – მინას, ლითონს, თანამედროვე გეომეტრიზებულ, მინიმალისტურ ფორმებს, ფაქტურას გულისხმობს. დანარჩენი ორი კი, მოდერნის, ბაროკოსა და სხვა სტილთა ნაზავია. რუსთაველის გამზირისკენ გახსნილი თაღებით, თაღების ცენტრში უცნაური შვერილებით, ბაროკალურ-არნუვოსა და მოდერნის ნაზავს გავს სახურავებიც და ზოგადად ფორმები. რუსთაველისკენ გახსნილი შენობა – მომწვანო ნაცრისფერია, ხოლო ქაშვეთის ტაძრისკენ მდებარე – ყვითელი ქვიშის ფერი... ეს ორი ფერი აქ ერთმანეთს ნაკლებად ეხამება, არც კონტრასტი იქმნება და არც იდეალური შერწყმა.

გარდა ამისა, სამივე შენობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის მიერთებული და დაკავშირებულია შიგა გასასვლელებით, რთულია მათი ცალ-ცალკე აღქმა, თუმცა ვერაფრით აკავშირებ მათ ერთმანეთთან და

მთლიანობაში იქმნება არადადებითი კონოტაციით ეკლექტიზმი.” (<https://chprotection.wordpress.com>).

2014 წ. თბილისში გაიმართა გამოფენა, რომელზეც რუსთაველის N 7-ში მიმდინარე მოვლენების გაშუქება ისტორიული სურათებით იწყებოდა, 1992 წ. კონკურსის მასალებით გრძელდებოდა და საპროტესტო აქციებითა და მრავალი თანამედროვე მხატვრის ნამუშევრებით გვირგვინდებოდა. გამოფენაზე მოსულებს კედელზე ვალტერ ბენიამინის ციტატა ხვდებოდა: „არ არსებობს ცივილიზაციის დოკუმენტი, რომელიც ამავე დროს ბარბარიზმის დოკუმენტს არ წარმოადგენდეს“. გამოფენის კატალოგში ვკითხულობთ: “ მთელს მსოფლიოში ისტორიულ ქალაქებს აქვთ უბანი, მოედანი ან ქუჩა, რომლებიც მათი არქიტექტურული ფასეულობებისთვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენენ, ანიჭებენ მათ იდენტობას, მიუთითებენ მათი მაცხოვრებლების საერთო კულტურის დონეზე და ამით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ ყველა მოქალაქეზე. თბილისში ასეთ ადგილად მიიჩნევა რუსთაველის სახელობის მთავარი გამზირი. მისი სამეზობლო თავისი სტილისტური არქიტექტურული მრავალფეროვნებით და ადამიანიური მასშტაბით გამზირზე ჩამოყალიბებულ ჰარმონიას უწყობს ხელს”. ეს პასაჟი გრძელდებოდა განცხადებით: “სასტუმრო ორიანტი განახლდება ისე, რომ უგულვებელყოფს ადგილის ყოფილ კულტურულ მნიშვნელობას. სანამ ეს მეხსიერება გაქრება, ჩვენ ვდგამთ სცენოგრაფიულ გამოფენას, რომელიც შეძლებს თბილისის მოქალაქეებს შეახსენოს ალბერტ ზალცმანის ყველაზე ცნობილი შენობის მნიშვნელობა და თუ როგორ იყენებდენ მას დაახლოებით 125 წლის განმავლობაში” (<https://www.irinakurtishvili.com>). გამოფენაზე ხდებოდა იმ შენობის ვირტუალური რე-

რეკონსტრუქცია, რომელიც იმ დროისთვის უკვე საზღვრამდენად გაქრა თბილისის კონტურიდან.

2016 წ. კულტურის მკვლევარი ცირა ელისაშვილი მიუთითებდა: “ჩვენ თუ გვინდოდა ძველის აღდგენა, მაშინ აქ იდგა „მხატვრის სახლი“. რამდენად სწორი იქნებოდა მისი აღდგენა, ეს ცალკე საკითხია... თუ ვაშენებთ ახალს, ის არ უნდა იყოს ძველის იმიტაცია და განსაკუთრებულად ცუდის იმიტაცია, იმიტომ რომ არანაირ არქიტექტურულ სტილში არ ეწერება. ეს არც ცალკე ბაროკოა, არც ცალკე მოდერნია... ეკლექტიკაა, მაგრამ ეკლექტიკის ცუდი გაგებით, რადგანაც თბილისში ეკლექტიკის ძალიან კარგი ნიმუშები გვაქვს. თუ ვიტყვი, რომ ეს ეკლექტიკაც არ არის, გამოდის რომ ეს კიტჩია!” (<https://www.radiotavisupleba.ge>).

იმავე წყაროში გამოქვეყნდა განსხვავებული მოსაზრება, მაგალითად, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი ყურადღებას შენობის ზომებზე ამახვილებს: „რუსთაველის გამზირის მასშტაბს განსაზღვრავს ეროვნული მუზეუმი, კინოთეატრი „რუსთაველი“ და შემდეგ სასტუმრო „თბილისის მარიოტი“. საბედნიეროდ, პროექტით გათვალისწინებული შენობა ზუსტად ამ მასშტაბში ზის და არ არღვევს მას. შეიძლება შეხედო შენობას და თქვა, ფუნქციურად სწორად არ არის და იქნებ გადააპროექტოთ“ (<https://www.radiotavisupleba.ge>).

პროექტის საწყის სტადიაშივე კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქართველი მხატვრები. 2013 წ. თემო გოცაძე აღნიშნავდა: „ეს ადგილი პატარა მოედანია, სადაც თავს იყრის ეკლესია, ცოტა ზევით – სასტუმრო და თეატრი, გვერდზე – კინოთეატრი, გაივლი და – ისტორიის მუზეუმი; ჩახვალ ქვევით და გუდიაშვილის ქუჩაზე – ლადოს სახლ-მუზეუმი... ეს შენობაც მაქსი-

მალურადაა მოცემულობაში ჩასმული – დაცულია მასშტაბი, გრაფიკა, რიტმიკა და ფუნქცია“. რადიშ თორდია, საქართველოს სახალხო მხატვარი, მიუთითებდა: „პროექტი ძალიან კარგია, მომწონს, სამხატვრო აკადემიაში პროფესორ-მასწავლებლებს ვაჩვენე, რომლებიც ადფრთოვანდნენ“ (<http://geworld.ge>). 2018 წ. მუზეუმის გახსნისას მისი ქება საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდანაც გაისმა; მაგალითად, ერთ-ერთ ბლოგში წერია: „მადლობა ღმერთს, რომ ამ ადგილზე ასეთი მშვენიერი შენობა აშენდა. სახვითი ხელოვნების მუზეუმი აუცილებელია ქვეყანაში, თან ულამაზესი არქიტექტურა, რომელიც თბილისს ასე უხდება“ (<https://1tv.ge/news>).

თუმცა უნდა ითქვას, რომ დადებითი დამოკიდებულება უმცირესობაში იყო. ასე მაგალითად, სხვა კრიტიკოსებმაც აღნიშნეს, რომ შენობის აღქმა როგორც ერთი მთლიანობისა შეუძლებელია და რომ იგი არსებითად სამ შენობას წარმოადგენს. კრიტიკა შეეხო რუსთაველის გამზირზე მთავარი შესასვლელის თავზე განთავსებულ გიგანტურ ბრინჯაოს არწივსაც (16): ბრინჯაოს ეპოქის ქართული მეტალურგიის განვითარების სიმბოლო სინამდვილეში წარმოადგენს ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ორი სხვადასხვა არტეფაქტის გაყალბებულ ნაზავს, ასე რომ ისტორიის ეს დეტალიც კი რეალობას დამახინჯებულად გამოხატავს.



სურ . 16

ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორის 2018 წ. სადოქტორო დისერტაციაში მოხდა განსხვავებულ აზრთა გამომწვევება და ერთგვარი შეჯერება; შედეგად, აღინიშნა რომ „შენობა უხვად დეკორირებულია, ისტორიულ-კულტურულის მითითებები მის აღწერაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა. მათ შორის ყველაზე ცხადად იკითხება ვენეციის დოჟების სასახლის არქიტექტურა (17), რომელიც თავისთავად ერთი რომელიმე წამყვანი სტილის კარგ მაგალითად არასოდეს ითვლებოდა. დოჟების სასახლის ზედა გალერეის გამოკვეთილი ზეგავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ...ქურდიანის შენობის ქვედა დონის გადაწყვეტაზე, სადაც იგი მიმართავს ლოჯიათა თაღების გადაკვეთას ცრუ თაღებთან (18). უნდა ითქვას, რომ ქართველი არქიტექტორი პირველი როდია, ვინც ამ ხერხს იყენებს: იმავე ვენეციაში, 1424–1437 წწ. გოთურ პალაცოს კა დ'ორო Ca d'Oro („ოქროს სახლი“), რომელიც ქვისთმთელი ჯოვანი ბონის უზადო ნახელავია და როგორც ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, დოჟების სასახლეზე საგრძნობლად უფრო დახვეწილია, ამ უკანასკნელისგან ნასესხები აქვს ერთმანეთზე გადადებულ ლოჯიათა კვალი, რომელიც დოჟების სასახლის ზედა გალერეის წარმოდგენითი ვარიაციაა. მაგრამ თუ ბონის შემთხვევაში ეს ილეთი გამართლებული იყო, რადგან ორთავე ვენეციურ ნაგებობათა მოციმციმე ქრომატიციზმი არხების წყლის ზედაპირიდან ფერთა არეკვლის ნაწილობრივი შედეგია..., ქურდიანის შემთხვევაში მისი გამოყენება ვერანაირად ვერ ჩაითვლება გამართლებულად: როგორც ცნობილია, თბილისში არ არსებობს არხები, რომელთა წყლის ზედაპირიდან არეკვლა მრავალფეროვნების დასაბუთებად

შეიძლება გამოდგეს და გარდა ამისა, დღეს კარზე XXI და არა XV საუკუნეა“. (თ. ჩუბინიძე, 2018:93.).

სავსებით შესაძლებელია, რომ ამგვარ პოზიციას დაუპირისპირდეს ის მოსაზრება, რომ რუსთაველის გამზირის წარმოშობა ჰეტეროგენულია და იგი თავად არ წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რადგან ჩამოყალიბდა როგორც განსხვავებული არქიტექტურული სტილის სავსებით თავისუფალი, ზოგჯერ ფრივოლური შენარევი: აქ ქართული ეკლესიის სტილი მეზობლობს ბაროკოსთან, რომელსაც ცვლის ნეო-პალადიანური და კლასიკური, ისინი კი მავრიტანულის და სტალინისტურის გვერდით მოქცეულა და მათ მოულოდნელად Art Nouveau-ს (ჩვენში რუსეთიდან შემოტანილი „მოდერნის“ ტერმინით რომ მოიხსენიებენ) და რუსული კონსტრუქტივიზმის ადგილობრივი ვერსიები ცვლის, და რომ განა სწორედ რომ ეს აღრევა არაა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც რუსთაველის გამზირი ასე დასამახსოვრებელი და მომხიბლავია? ამგვარი არგუმენტაციის ქმედითობის დასადასტურებლად, როგორც წესი, მოიშველიებენ ხოლმე ახალი მუზეუმიდან სულ რაღაც ნახევარ კილომეტრში განთავსებულ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობას (19), რომლის ავტორი კიდევ ერთი გერმანელი – ვიქტორ იოჰან გოტლიბ შრიოტერია, ამჯერად არა ადგილობრივი, არამედ სანქტ-პეტერბურგელი, რომელმაც თავის დროზე კონკურსში გაიმარჯვა და 1896 წ. ეს შენობა ე.წ. ნეომავრიტანულ სტილში ააგო. თუმცა ჩვენი კრიტიკული პოზიციის დასაცავად მოვიყვანდით სულ ცოტა ორ, ჩვენი აზრით, დამაჯერებელ კონტრარგუმენტს.



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19

პირველ რიგში ჩვენ ვთვლით, რომ რამდენადაც განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო ოპერის შენობა გოლოვინსკის იმდროინდელი განაშენიანებისაგან, იგი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვებოდა ეპოქის ერთ-ერთ გაბატონებულ ტენდენციას, რომელიც ყოველგვარი აღმოსავლურის მიმართ გაღვიძებულ ინტერესში, ორიენტალურისკენ მკაფიო მიდრეკილებაში გამოიხატებოდა, რაც აირეკლა კიდევ XIX ს. ურიცხვ ევროპულ ქმნილებებზე, დაწყებული ჯონ ნემის გენიათი გაცისკროვნებული სამეფო პავილიონით ბრაიტონში, დასრულებული ე.წ. „მავრიტანული ციხესიმაგრით“, ანუ კ.მ. ტეგნერის მიერ 1869 წ. აგებული თეატრის შენობით დანიის ფრედერიკსბერგში, „ფრედერიკსბერგის ალჰამბრა“ რომ უწოდეს და რომელსაც სავსებით შეეძლო შთაეგონა შრიოტერი, რომელიც ასევე ბალტი იყო (20). შორეულ ბრიტანეთში და დანიაში გამგზავრება საჭირო არ არის: ორიენტალიზმის ტენდენციას ჩვენ აქვე, გოლოვინსკზე, სასტუმროს შორიახლოს 1865-1869 წწ. იმავე სიმონსონის

მიერ კლასიკურ სტილში, რენესანსული ელემენტების დამშვენებული მეფისნაცვალის სასახლის ე.წ. „სარკებიან დარბაზში“ ამოვიკითხავთ – იგი მდიდრულად დეკორირებულია სპარსული და არაბული მოტივებით. მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი ის ფაქტია, რომ შრიოტერის ნაგებობა ხელს უწყობს დედაქალაქის მთავარი ქუჩის ფორმირებას, რომელსაც დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია და რომელშიც ოპერამ კიდევ ერთი ნიუანსი შეიტანა, ერთგვარი დამატებითი ტონალობა შესძინა გამზირის სტილისა და მიმდინარეობების ისედაც მდიდარ პალიტრას. ჩვენ ვფიქრობთ, ამ ფაქტს, განსხვავებით მუზეუმის ახალი შენობისგან, არ შეუტანია დისონანსი გამზირის განაშენიანებაში და არ შესულა წინააღმდეგობაში მის წარსულთან – რადგან მაშინ მას წარსული უბრალოდ ჯერ კიდევ არც გააჩნდა. ხოლო როცა საქმე უკვე ჩამოყალიბებულ ურბანულ წარსულთან გვაქვს, მის მიმართ პატივისცემა არქიტექტორის ვალია.



სურ. 20

ამგვარი პატივისცემა გარემოს და წარსულის მიმართ, ჩვენი აზრით, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმმა სათანადოდ ვერ გამოიჩინა. განსხვავებული ეპოქიდან (უფრო სწორად, ეპოქებიდან) და უცხო კულტურებიდან ნასესხებმა, თან ნასესხებმა ნაჩქარევად და დაუფიქრებლად, მემკვიდრეობის განსხვავებული აღქმა, მისი უაღრესად სადავო ინტერპრეტირება გამოიწვია. ჩვენ ამ ადგილას უფრო მივესალმებოდით სრულიად თანამედროვე, გაბედულ ახალ შენობას, რომელიც საკუთარ წვლილს შეიტანდა გამზირის სტილისტურ მრავალფეროვნებაში და არ დაუპირისპირდებოდა კონტექსტს, ისტორიასა და საზოგადოებას. ჩვენ ვთვლით, რომ გამოცდილმა და ღირსეულმა პროფესიონალებმა – ახალი მუზეუმის ავტორებმა, დაუშვეს მძიმე შეცდომა, რომლის შედეგებს ჩვენ არა ერთხელ მომავალშიც ვიწვინევთ.

დასკვნა

სრულიად ვიზიარებთ ამ შენობის კრიტიკული განხილვისას ნინო ჩაჩხიანის გამოთქმულ აზრს:

„რუსთაველზე, ნებისმიერი შენობის ასაშენებლად, მიუხედავად იმისა, კერძო თუ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს ის, დაუშვებელია პროექტის დამტკიცება წინასწარი საჯარო განხილვის ან არქიტექტურული, მაღალ პროფესიონალურ დონეზე ჩატარებული საერთაშორისო კონკურსის გარეშე. ჩვენთვის მისაბამ დემოკრატიულ ქვეყნებში ეს მიღებული და აღიარებული პრაქტიკაა“ (ჩაჩხიანი, 2013:26). სწორედ ამგვარი პრაქტიკისგან თავის არიდებამ, ცალმხვრივმა, ნაჩქარევმა და დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა მიიყვანეს თბილისი იმ მდგომარეობამდე, რომელშიც იგი ამჟამად იმყოფება: რუსთაველის გამზირისთვის სავალალო, ახალი მუზეუმის შენობა არ არის უცხო სხეული შეჭრის ერთადერთი თანამედროვე მაგალითი. კლასიკური გიმნაზიის თავზე აღმართული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (სურ. 21) და „იმელის“ უკან სასტუმრო „ბილტმორის“ მინის ცათამბჯენი ამის ნათელი დადასტურებაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი, განსხვავებით მუზეუმისგან, რუსთაველის წინა სტრატეგიულ ხაზს არ

იკავებს. თუმცა არც ეს ხაზია თავდასხმებისგან დაცული: თბილისური ბაროკოს ნიმუში – ყოფ. იუსტიციის სამინისტროს შენობა შჩუსევის „იმელ“-ის მოპირდაპირედ საეკვოდ ხანგრძლივი რეკონსტრუქციის საგანი გახდა (22), ხოლო სტალინისტური არქიტექტურის და პოსტსტალინისტური გადაკეთების მაგალითის – კავშირგაბმულობის სახლის ბედი „მარიოტის“ პირდაპირ საერთოდ უცნობია (23).

ციის საგანი გახდა (22), ხოლო სტალინისტური არქიტექტურის და პოსტსტალინისტური გადაკეთების მაგალითის – კავშირგაბმულობის სახლის ბედი „მარიოტის“ პირდაპირ საერთოდ უცნობია (23).



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23

ლიტერატურა

1. Beridze V. The architecture of Tbilisi, 1801-1917. Vol. II. Tbilisi: “Sakhelmtsipo gamomtsemloba”. 1963. (in Georgian).
2. URL: <https://hotels.ltd.ge/blog/არქიტექტურის-დეგრადაცია/> (in Georgian).
3. URL: <http://www.finearts.ge/ka/about-museum/timeline> (in Georgian).
4. URL: <http://mcs.gov.ge/News/%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94.aspx> (in Georgian). ეს ობსნება
5. URL: <https://chprotection.wordpress.com/page/1/> (in Georgian).
6. URL: <https://www.irinakurtishvili.com/hotel-orient->
7. URL: <https://www.radiotavisupleba.ge/a/axali-mkhatvris-sakhlis-mshenebloba/25057479.html> (in Georgian).
8. URL: <http://geworld.ge/ge/5432/> (in Georgian).
9. URL: <https://1tv.ge/news/tbilisshi-qartuli-sakhviti-khelovnebis-muzeumi-gaikhsna-fotoambavi/> (in Georgian).
10. Chubinidze T. Transformed decor return to architecture and Georgian matches. PhD Thesis. Tbilisi. 2018. (in Georgian).
11. Chachkhiani N. Rustaveli 7. Liberal. 2013, 25-29 pp. (in Georgian).

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Controversial Perception of Heritage: Rustaveli Avenue № 7

Nikoloz Shavishvili International Design School, Georgian Technical University, 75 M. Kostava str., 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: n.shavishvili@gtu.ge

Tamara Chubinidze Department of Architectural Planning and Urbanization, Georgian Technical University, 68^b M. Kostava str., 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: Chubinidzetam13@gmail.com

Reviewers:

G. Mikiashvili, Professor, International Design School, GTU

E-mail: gochamikia@yahoo.com

M. Maisuradze, Associate Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: m.maisuradze@gtu.ge

Abstract. According to the authors of the article, pseudo-styles mix and dubious stylistic priorities of the new building of the Museum of Fine Arts on the central thoroughfare of Tbilisi at 7 Rustaveli Ave., deserve a healthy dose of sound criticism.

In 1868, arch. O. Simonson built court chambers on this site, which was rebuilt for the hotel "Orient" by arch. A. Zaltsman in 1874. Later the building turned into an hotel "Intourist". In 1977 the House of Artists settled in the building, but in 1991, as a result of the Tbilisi War, the former hotel was completely destroyed.

Recently the Museum of Fine Arts was completed on this site according to the project by arch. Archil Kurdiani (Jr.). The new building is decorated with an abundance of decor, traces of various historical and cultural precedents are visible, among them the most prominent is the Venetian architecture of the Palazzo Ducale. A huge statue of a bronze eagle rises above the central entrance of the richly ornamented main facade along Rustaveli Ave. The facade that faces Gudiashvili Street is radically different. It uses modern materials - glass, metal, the shapes are geometric and minimalistically solved, while the other two facades are a mixture of Art Nouveau, Baroque and others, in some cases - of unknown styles.

In its time, the building permit issued by the city authorities for the construction of this building provoked a critical reaction of the majority of experts and the public. In their opinion, the construction of a new building introduced a discord into the development of the avenue. Positive ratings were in the minority.

For the authors of the article, a completely modern and bold solution would be more appropriate for this site, a new word in the stylistic diversity of the Avenue, which would not oppose the context, history and public opinion, for the architect's duty is to respect the urban past, when he deals with it in the process of a new building design.

According to the authors of the article and other critics, such controversial interpretations at culturally significant urban interchanges should not be carried out without international architectural competitions.

Key words: Criticism; heterogeneous; kitsch; museum; Rustaveli Avenue; style; Tbilisi; Urban Heritage.

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Спорное восприятие наследия: Тбилиси, Проспект Руставели № 7

Николоз Шавишвили Международная школа дизайна, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: n.shavishvili@gtu.ge

Тамара Чубинидзе Департамент архитектурного планирования и урбанистики, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68
E-mail: Chubinidzetam13@gmail.com

Рецензенты:

Г. Микиашвили, Профессор школы международного дизайна
E-mail: gochamikia@yahoo.com

М. Маисурадзе, Асоциированный профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна
E-mail: m.maisuradze@gtu.ge

Аннотация. По мнению авторов статьи, смешивание псевдостилей и сомнительные стилистические приоритеты новостройки Музея Изыщных Искусств на центральном проспекте Тбилиси, по адресу пр. Руставели № 7, заслуживают здравую дозу критики.

В 1868 г. арх. О. Симонсоном на этом месте была построена судебная палата, которая в 1874 г. арх. А. Зальцманом была перестроена под гостиницу «Ориант», которое позже превратилось в гостиницу «Интурист». В 1977 г. в нем обосновался «Дом художника». Однако в 1991 г. вследствие Тбилисской войны здание была полностью уничтожено.

По проекту арх. Арчила Курдиани (мл.) на этом месте недавно был завершен Музей Изыщных Искусств. Новое здание украшает изобилие декора, видны следы разнообразных историко-культурных прецедентов, среди которых наиболее ярко выраженный - венецианская архитектура «Дворца Дожей». Над центральным входом богато орнаментированного главного фасада по пр. Руставели возвышается огромная статуя бронзового орла. Радикально отличается фасад, выходящий на улицу Гудиашвили. В нем используются современные материалы - стекло, металл, геометрически-минималистичные формы, в то время как два других фасада - смесь модерна, барокко и других стилей.

В свое время разрешение, выданное властями города на постройку этого здания, вызвало критическую реакцию большей части экспертов и общественности. В то же время существовали положительные оценки и различные мнения, однако, они были в меньшинстве.

Здание нового музея внесло диссонанс в развитие проспекта. Для авторов статьи было бы более приемлемым совершенно современное, смелое здание, которое сказало бы своё слово в стилистическом разнообразии проспекта и не противилось бы контексту, истории и мнению общественности, ибо долг архитектора - уважение урбанистического прошлого.

По мнению авторов статьи и других критиков, такого рода спорные интерпретации наследия на культурно значимых центральных городских развязках не должны осуществляться без общественного обсуждения и проведения международных архитектурных конкурсов.

Ключевые слова: городское наследие; гетерогенность; критика; китч; музей; проспект Руставели; стиль; Тбилиси.

განხილვის თარიღი 28.01.2020

შემოსვლის თარიღი 25.05.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2020

UDC 511.5

SCOPUS CODE 2607

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-3-135-154>

ერთი ფუნდამენტური ამოცანის შესახებ ბიდიოფანტურ გეომეტრიულ ფიგურებზე

ზურაბ აღდგომელაშვილი მათემატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: diophant_zura@rambler.ru

რეცენზენტები:

ალ. კირთაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: kirtadze2@yahoo.com

მ. მანია, თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: mania@rmi.ge

ანოტაცია. ნაშრომში დასმულია და შესწავლილია ბიდიოფანტური n -კუთხედების (სტატიის ავტორი ბიდიოფანტურს უწოდებს ისეთ მთელრიცხვან მრავალკუთხედს, რომლის ყოველი წვეროს კოორდინატები მთელი რიცხვებია) შემსწავლელი ამოცანებიდან ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანა.

ამოცანა $(n;k)$: არსებობს თუ არა ყოველი ფიქსირებული k ნატურალური რიცხვისათვის ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე k -ს ტოლია, და თუ არსებობს, მაშინ ვიპოვოთ ყველა ასეთი n .

საკვანძო სიტყვები: ბიდიოფანტური; დიოფანტური; ფუნდამენტური კვლევა.

შესავალი

დიოფანტური ვუწოდოთ მრავალკუთხედს, რომლის ყოველ ორ წვეროს შორის მანძილი ნატურალური რიცხვით გამოისახება.

ბიდიოფანტური ვუწოდოთ ისეთ დიოფანტურ მრავალკუთხედს, რომლის ყოველი წვეროს კოორდინატები მთელი რიცხვებია.

ამ ნაშრომში განვიხილავთ ჩვენ მიერ დასმულ ერთ ამოცანას, რომელიც უდავოდ არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანა ბიდიოფანტური მრავალკუთხედების თვისებების შემსწავლელი ამოცანებიდან.

ძირითადი ნაწილი

ამოცანა $(n;k)$** არსებობს თუ არა ყოველი ფიქსირებული k ნატურალური რიცხვისათვის, ბიდიო-

ფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია k -სი, და თუ არსებობს, მაშინ ვიპოვოთ ყველა ასეთი n .

ჯერ განვიხილოთ ამოცანა* ($n; k$).

დიოფანტური გეომეტრიული ფიგურების შემსწავლელი ამოცანებიდან ცხადია, ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს შემდეგს:

ამოცანა* ($n; k$) არსებობს თუ არა ყოველი ფიქსირებული k ნატურალური რიცხვისათვის, დიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია k -სი, და თუ არსებობს, მაშინ ვიპოვოთ ყველა ასეთი n .

ჩვენ მიერ ნაჩვენებია, რომ არ არსებობს ისეთი დიოფანტური n -კუთხედი, როგორც ამოზნექილი, ისე ჩაზნექილი, რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია 1-ის. ე.ი. $k=1$ -სათვის ზემოთ ხსენებული საკითხი გადაჭრილია.

ამის დასამტკიცებლად განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა.

ლემა 1. თუ დიოფანტური სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი ტოლია 1-ის, მაშინ მისი დანარჩენი გვერდები წარმოადგენს ამ სამკუთხედის ტოლფერდებს.

მოც: $\triangle ABC$;


$$\begin{cases} |BC|, |AC| \in N; \\ |AB|=1. \end{cases}$$

სურ. 1

u.d: $|BC|=|AC|$.

ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ $|BC| \leq |AC|$. სამკუთხედის უტოლობის ძალით $|AB| + |BC| > |AC|$ ანუ $1 + |BC| > |AC|$.


ე.ი.



$$\begin{cases} |BC|, |AC| \in N; \\ |BC| \leq |AC| < |BC| + 1. \end{cases} \Rightarrow (|BC|=|AC|). \text{ რ.დ.გ.}$$

ეს შესანიშნავი თვისება არის ერთ-ერთი ქვაკუთხედი დიოფანტური და ბიდიოფანტური გეომეტრიული ფიგურების კვლევის აპარატისა.

ლემა 2. ამოზნექილი დიოფანტური ოთხკუთხედის ყოველი გვერდისა და ყოველი დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია.



სურ. 2

დავუშვათ საწინააღმდეგო.

ე.ი. ვთქვათ ოთხკუთხედ

$ABCD$ -ში თითოეული გვერ-

დისა და დიაგონალის სიგრ-

ძე გამოისახება ნატურალური რიცხვით და ამასთან ერთ-ერთი გვერდის სიგრძე, ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ $|AB|=1$.

ლემა 1-ის თანახმად $|BC|=|AC|$ და $|BD|=|AD|$.

ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან მაშინ C და D წერტილები უნდა მდებარეობდეს $[AB]$ -ს შუამართობზე. ე.ი. ჩვენი დაშვება მცდარია. მაშასადამე ამ პირობით $\triangle ABCD$ -ს თითოეული გვერდის სიგრძე 1-ზე მეტია.

ახლა ვთქვათ $\triangle ABCD$ -ს დიაგონალის სიგრძე ტოლია 1-ის, ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ $|AC|=1$.

ლემა 1-ის თანახმად $|AB|=|BC|$ და $|CD|=|AD|$. ამასთან $\triangle BOC$ და $\triangle AOD$ -დან სამკუთხედის უტოლობის გამოყენებით ადვილი საჩვენებელია, რომ

$$|BD| + |AC| > |BC| + |AD| \quad \text{ანუ} \quad |AB| + |AD| < |BD| + 1.$$

ΔABD -დან გვაქვს $|AB| + |AD| > |BD|$. ე.ი.


$$\begin{cases} |AB|, |BD|, |AD| \in N; \\ |BD| < |AB| + |AD| < |BD| + 1. \end{cases} \quad \text{ეს შეუძლებელია. ამრი-}$$

გად დაშვება მცდარია ანუ $|AC| > 1$.


ე.ი. საბოლოოდ გვაქვს, რომ ყოველი ამოხსნილი დიოფანტური ოთხკუთხედის თითოეული გვერდისა და დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია. რ.დ.გ.

ლემა 3. თუ სიბრტყეზე მდებარე ოთხი წერტილიდან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე და ამასთან მანძილი ყოველ ორ მათგანს შორის გამოისახება ნატურალური რიცხვით, მაშინ ამ მანძილებიდან თითოეული მათგანი 1-ზე მეტია.

დავუშვათ საწინააღმდეგო. ე.ი. ვთქვათ სიბრტყეზე მოიძებნება ისეთი ოთხი წერტილი, რომელთაგან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე, მანძილი ყოველ ორ მათგანს შორის გამოისახება ნატურალური რიცხვით და ამასთან რომელიღაც ამ მანძილებიდან 1-ის ტოლია. მაშინ **ლემა 1**-ის თანახმად დანარჩენი ორივე წერტილი უნდა მდებარეობდეს 1-ის ტოლი სიგრძის მონაკვეთის შუამართობზე. აქ გვექნებოდა ორი შემთხვევა



სურ. 3



სურ. 4

1) ეს შემთხვევა განხილულია **ლემა 2**-ში.

2) ΔAOC და ΔDOB -დან გვაქვს:

$$\begin{cases} |AC|^2 = |AO|^2 + |OC|^2; \\ |BD|^2 = |OB|^2 + |OD|^2; \\ |OD| = |OC| + |CD|, \quad |AO| = |OB| = 0,5; \\ |AC| = |CB| = m, \quad |AD| = |DB| = n, \quad |CD| = l, \quad m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{cases} m^2 = \left(\frac{1}{2}\right)^2 + |OC|^2; \\ n^2 = \left(\frac{1}{2}\right)^2 + (l + |OC|)^2; \\ m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} |OC| = \frac{n^2 - m^2 - l^2}{2l}; \\ 4m^2 - 1 = (2|OC|)^2; \\ m, n, l \in N. \end{cases}$$

$$\Rightarrow \begin{cases} |OC| = \frac{n^2 - m^2 - l^2}{l} = q \in \mathbb{Q}_+; \\ 4m^2 - 1 = q^2; \\ m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{cases} m, q \in N; \\ 4m^2 - q^2 = 1. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} m, q \in N; \\ (2m - q)(2m + q) = 1. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} m, q \in N; \\ 2m - q = 1; \\ 2m + q = 1. \end{cases}$$

ეს კი შეუძლებელია. მაშასადამე მანძილი ნებისმიერ ორ წერტილს შორის ამ მოცემული წერტილებიდან, 1-ზე მეტია. რ.დ.გ.

თეორემა 1. ამოხსნილი დიოფანტური n -კუთხედის ($n > 3$), ყოველი გვერდისა და ყოველი დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია.


დავუშვათ საწინააღმდეგო. ე.ი. დავუშვათ ამოხსნილი დიოფანტური n -კუთხედის ($n > 3$), რომელიმე ორ წვეროს შორის მანძილი ტოლია 1-ის. **ლემა**

1-ის ძალით დანარჩენი წვეროები უნდა მდებარეობდეს ამ ორი წვეროს შემაერთებელი მონაკვეთის შუამართობზე. ვინაიდან ეს n -კუთხედი უნდა იყოს ამოხსნილი, ამიტომ ცხადია $n=4$, მაგრამ ლემა 2-ის თანახმად ასეთი ოთხკუთხედი არ არსებობს. ე.ი. ჩვენი დაშვება მცდარია ანუ ყოველი ამოხსნილი დიოფანტური n -კუთხედის ($n > 3$), ყოველი გვერდისა და ყოველი დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია. რ.დ.გ.

თეორემა 2. თუ სიბრტყეზე მდებარე n -წერტილიდან ($n > 3$), არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ

წრფეზე და ამასთან მანძილი ყოველ ორ მათგანს შორის გამოისახება ნატურალური რიცხვით, მაშინ ამ მანძილებიდან ყოველი მათგანი 1-ზე მეტია.

ისევე, როგორც წინა თეორემაში, თუ მანძილი დიოფანტური მრავალკუთხედის რომელიმე ორ წვეროს შორის ტოლია 1-ის, მაშინ მისი დანარჩენი წვეროები უნდა მდებარეობდეს ამ ორი წვეროს შემაერთებელი მონაკვეთის შუამართობზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ წვეროებიდან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე, მაშინ გვექნება მხოლოდ შემდეგი შემთხვევები (იხ. სურ. 5).



სურ. 5

პირველ ოთხს არ გააჩნია ამონახსნი **თეორემა 1**-ის თანახმად (ოთხივე შევსებით ღებულობს 1)-ის სახეს და ვინაიდან არ არსებობს ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი, ამიტომ არ იარსებებს არც 2), 3) და 4) სახის დიოფანტური ოთხკუთხედები, ხოლო ბოლო ოთხს არ გააჩნა ამონახსნი **თეორემა 2**-ის ძალით. (აქაც შევსებით 6), 7) და 8) დადის 5)-ის სახეზე. ე.ი.

ჩვენი დაშვება მცდარია ანუ ამოცანის პირობით მოცემული მანძილებიდან ყოველი მათგანი 1-ზე მეტია. ამით მთლიანად დამტკიცებულია.

ე. ი. ჩვენ დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

ბიდიოფანტური გეომეტრიული ფიგურების შემსწავლელი ამოცანებიდან ცხადია, ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს შემდეგს.

ამოცანა (n; k)** არსებობს თუ არა ყოველი ფიქსირებული k ნატურალური რიცხვისათვის, ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია k -სი, და თუ არსებობს, მაშინ ვიპოვოთ ყველა ასეთი n .

ჩვენ მიერ **ამოცანა* (n;1)**-ის ამოხსნისას, ნაჩვენებია იყო, რომ არ არსებობს ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n > 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 1-ის ტოლია. აქედან გამომდინარე ვერ იარსებებს ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედიც ($n > 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 1-ის ტოლია. რაც შეეხება ბიდიოფანტურ სამკუთხედს, რომლის ერთ-ერთი გვერდი 1-ის ტოლია, ის ლემა 1-ის თანახმად უნდა იყოს ტოლფერდა, მაგრამ მაშინ, ამ ბიდიოფანტური სამკუთხედის წვეროს (ფერდების საერთო წერტილი) ვერ იქნება ბიდიოფანტური. ე.ი. არ არსებობს ასეთი ბიდიოფანტური სამკუთხედი. ამით მთლიანად გაეცა პასუხი ამოცანა** (n;1)-ს, $k=1$ -სათვის ანუ

თეორემა (n;1)** არ არსებობს ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), როგორც ამოზნექილი, ასევე ჩაზნექილი, რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 1-ის ტოლია.


ახლა ვაჩვენოთ, რომ **ამოცანა** (n;k)**-ს $k=2$ -სათვისაც არ მოიძებნება ბიდიოფანტური n -კუთხედი.

თეორემა (n;2)** არ მოიძებნება ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე ორ წვეროს შორის მანძილი ტოლია 2-ის.


დავუშვათ საწინააღმდეგო. ე.ი. დავუშვათ, რომ $A_1 A_2 A_3 \dots A_n$ n -კუთხედის ყოველი გვერდის და ყოველი დიაგონალის სიგრძე გამოსახება ნატურალური რიცხვით და ამასთან ერთ-ერთი მათგანის სიგრძე 2-ის ტოლია. მაშინ ყველა იმ სამკუთხედებისათვის,

რომელთა ფუძე არის 2 სიგრძის ტოლი მონაკვეთი, ხოლო მესამე წვეროს კი ამ n -კუთხედის რომელიმე წვერო, ფერდების სიგრძეთა სხვაობის მოდული 0-ის ან 1-ის ტოლია (ეს ადვილი საჩვენებელია სამკუთხედის უტოლობის გამოყენებით).

ვინაიდან არ არსებობს კოორდინატა ღერძის არაპარალელური, 2-ის ტოლი სიგრძის ბიდიოფანტური მონაკვეთი (ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ არ არსებობს პითაგორასეული სამკუთხედი, რომლის ჰიპოტენუზა 2-ის ტოლია). ამიტომ ყოველი ზემოთ ხსენებული სამკუთხედისათვის გვაქვს მხოლოდ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევიდან (იხ. სურ. 6 და სურ. 7)



სურ. 6



სურ. 7

I. ამ შემთხვევაში, ვინაიდან $[A_p A_k]$ და $\Delta A_p A_q A_k$ -ბიდიოფანტურებია, ამიტომ $\Delta A_p M A_q$ -ც, ასევე უნდა იყოს ბიდიოფანტური, მაგრამ ეს შეუძ-

ლებელია, ვინაიდან არ არსებობს ისეთი დიოფანტური მართკუთხა სამკუთხედი, რომლის რომელიმე კატეტის სიგრძე 1-ის ტოლია, მაშასადამე თუ არსებობს ასეთი ბიდიოფანტური სამკუთხედი, მაშინ ის არ უნდა იყოს ტოლფერდა.

II. ამ შემთხვევაში ბიდიოფანტურ $\Delta A_p M A_q$ და $\Delta A_k M A_q$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს:

$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ (a+1)^2 = (b+2)^2 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ a^2 + 2a + 1 = b^2 + 4b + 4 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ 2a + 1 = 4b + 4; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

ეს კი შეუძლებელია.

მაშასადამე ჩვენი დაშვება მცდარია ანუ არ არსებობს ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n > 3$), როგორც ამოზნექილი ასევე, ჩაზნექილი, რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია 2-ის. რ.დ.გ.


ახლა განვიხილოთ ამოცანა**($n;k$) $k = 3$ -სათვის.

ამოცანა**($n;3$) არსებობს თუ არა ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n > 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 3-ის ტოლია.


დავუშვათ, რომ არსებობს ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n > 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 3-ის ტოლია. მაშინ ყველა იმ სამკუთხედებისათვის, რომელთა ფუძეც არის 3-ის ტოლი სიგრძის მონაკვეთი, ხოლო მესამე წვეროს კი – ამ n -კუთხედის რომელიმე წვერო, ფერდების სიგრძეთა სხვაობის მოდული 0 ტოლია; 1 ან 2-ის. (ეს ადვილი საჩვენებელია სამკუთხედის უტოლობის გამოყენებით).

ვინაიდან არ არსებობს კოორდინატა ღერძის არაპარალელური ბიდიოფანტური


მონაკვეთი სიგრძით 3-ის ტოლი, ამიტომ ყველა ასეთი სამკუთხედებისათვის გვაქვს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან (იხ. სურ. 8, სურ. 9, სურ. 10).



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10

I. ამ შემთხვევაში ვინაიდან $[A_p A_k]$ და $\Delta A_p A_q A_k$ ბიდიოფანტურებია, ამიტომ $\Delta A_p M A_q$ უნდა იყოს ბიდიოფანტური. მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან $[A_p M]$ არ არის ბიდიოფანტური.

II. ამ შემთხვევაში ბიდიოფანტურ $\Delta A_p M A_q$ და $\Delta A_k M A_q$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს:

$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ (a+1)^2 = (b+3)^2 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ 2a + 1 = 6b + 9; \\ a, b, h \in N. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} h^2 = 2(b+1)(b+2); \\ a = 3b + 4; \\ b, h \in N. \end{cases} \quad (1)$$

III. ამ შემთხვევაში ბიდიოფანტურ $\Delta A_p M A_q$ და

$$2(b+1)(b+2) = 4(2p+1)(p+1) = t^2. \quad (3)$$

$\Delta A_k M A_q$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს:

და $b = 2p$ -სათვის

$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ (a+2)^2 = (b+3)^2 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ a^2 + 4a + 4 = b^2 + 6b + 9 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ 2(2a - 3b - 4) = 1; \\ a, b, h \in N. \end{cases} \quad (2)$$

$$2(b+1)(b+2) = 4p(2p+1) = t^2 \quad (4)$$

(3)-სა და (4)-ს გააჩნიათ უსასრულოდ ბევრი ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში. მართლაც, ვინაიდან $(p+1; 2p+1) = 1$, ამიტომ (3)-დან გამომდინარეობს ის, რომ უნდა მოიძებნებოდეს ისეთი $m, n \in N$, რომელთათვისაც

$$\begin{cases} p+1 = m^2; \\ 2p+1 = n^2. \end{cases} \Rightarrow n^2 - 2m^2 = -1. \quad (5)$$

მაგრამ ეს შეუძლებელია.

მაშასადამე ყველა ასეთი სამკუთხედებისათვის

$$\begin{cases} (a_1^2 - 2b_1^2)(c_1^2 - 2d_1^2) = (a_1c_1 + 2b_1d_1)^2 - 2(a_1d_1 + b_1c_1)^2 \\ (a_1^2 - 2b_1^2)(c_1^2 - 2d_1^2) = (a_1c_1 - 2b_1d_1)^2 - 2(a_1d_1 - b_1c_1)^2 \end{cases} \quad (6)$$

$$\quad (7)$$

$[A_p A_k]$ კოორდინატა ღერძის პარალელურია და

$$|A_p A_k| = 3; \quad |A_p A_q| = 3b + 5; \quad |A_q A_k| = 3b + 4;$$


$$|A_k M| = b; \quad |A_p M| = h = 2\sqrt{2(b+1)(b+2)},$$

(6)-ისა და (7)-ის მეშვეობით, განტოლებების $(c_1^2 - 2d_1^2 = 1$ და $a_1^2 - 2b_1^2 = -1$) ამონახსნების კომბინირებით შეგვიძლია მივიღოთ ყველა ახალი ამონახსნი (5)-ისა. ქვემოთ მოგვყავს გამოთვლების რამდენიმე შედეგი:

სადაც $b \in N$ და $2(b+1)(b+2)$ არის ნატურალური რიცხვის კვადრატი.

$b = 2p$ -სათვის

n	m	$n^2 - 2m^2$	b	$2\sqrt{2(b+1)(b+2)}$
7	5	-1	48	140
41	29	-1	1680	4756
239	169	-1	57120	80782
1393	985	-1	1 940 448	2 744 210
8119	5741	-1	65 918 160	93 222 358



სურ. 11

გაცილებით ადვილად მიიღება (4)-ის ამონახსნები. მართლაც, ვინაიდან $(p; 2p+1) = 1$, ამიტომ (4)-ის ამონახსნები შეგვიძლია მივიღოთ მარტივად. გამომ-

დინარეობს, რომ უნდა არსებობდეს ისეთი m_1 ,
 $n_1 \in N$, რომელთათვისაც


$$\begin{cases} p = m_1^2; \\ 2p + 1 = n_1^2. \end{cases} \Rightarrow n_1^2 - 2m_1^2 = 1. \quad (8)$$

მაშასადამე (4)-ის ამონახსები შეგვიძლია მივი-
 ლოთ პელის (8) განტოლების ამონხნით. ამასთან
 $b = 2m_1^2 - 1$.

III. ტიპის ბიდიოფანტურ სამკუთხედთა სიმრავ-
 ლე, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, არ არის ცარიე-
 ლი სიმრავლე.

$$\cos \angle A_p \widehat{A}_K A_q = -\cos \angle A_q \widehat{A}_K M = -\frac{b}{3b+4}.$$

$$\cos \angle A_q \widehat{A}_p A_k = \frac{b+3}{3b+5}.$$



სურ. 12

მაშასადამე b -ს გადიდებით მცირდება
 $\cos \angle A_p \widehat{A}_k A_q$ და $\cos \angle A_q \widehat{A}_p A_k$. ე.ი. იზრდება $\angle A_p \widehat{A}_k A_q$
 და $\angle A_q \widehat{A}_p A_k$.

აქედან გამომდინარე, თუ $b, d \in N$ ($d > b$), მაშინ

III ტიპის სამკუთხედებისათვის შეიძლება გვექონდეს
 IV ან V შემთხვევა.

განვიხილოთ IV შემთხვევა.


$$\Delta A_p A_q A_{q_1} \text{ -დან } c > (3d+5) - (3b+5) = 3(d-b)$$

$$A_q \in [MN] \parallel [A_p A_k] \Rightarrow \Delta MNA_q$$

$$\begin{aligned} \Delta \angle EA_{q_1} &\Rightarrow \frac{|MA_{q_1}|}{|A_p A_{q_1}|} = \frac{|NA_{q_1}|}{|EA_{q_1}|} \Rightarrow |MA_{q_1}| = \\ &= (3d+5) \left(\frac{|2\sqrt{2(d+1)(d+2)} - 2\sqrt{2(b+1)(b+2)}|}{2\sqrt{2(d+1)(d+2)}} \right) = \\ &= (3d+5) \left(1 - \sqrt{\frac{b+1}{d+1} \cdot \frac{b+2}{d+2}} \right) < (3d+5) \left(1 - \frac{b+1}{d+1} \right) = \\ &= \frac{(3d+5)(d-b)}{d+1} = 3(d-b) + \frac{2(d-b)}{d+1} < 3(d-b) + 2. \\ &\begin{cases} 3(d-b) < c < 3(d-b) + 2; \\ b, d \in N. \end{cases} \Rightarrow c = 3(d-b) + 1. \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \Delta A_q NA_{q_1} \text{ -დან } |A_q A_{q_1}|^2 &= |A_q N|^2 + |NA_{q_1}|^2 \Rightarrow \\ &\Rightarrow (3(d-b) + 1)^2 = (d-b)^2 + \\ &+ 8(\sqrt{(d+1)(d+2)} - \sqrt{(b+1)(b+2)})^2 \Leftrightarrow \\ &\Leftrightarrow 8(d-b)^2 + 6(d-b) + 1 = \\ &= 8(\sqrt{(d+1)(d+2)} - \sqrt{(b+1)(b+2)})^2, \end{aligned}$$

რაც შეუძლებელია, ვინაიდან ბოლო ტოლობის
 მარცხენა მხარე კენტია, ხოლო მარჯვენა კი, თუ ის
 ნატურალური იქნება, – ლუწი.



სურ. 13

ახლა განვიხილოთ V შემთხვევა. ცხადია, რომ
 $|A_q O| \in (3b+4; 3b+5)$ და $|A_q O| \in (3d+4; 3d+5)$, ამი-

ტომ $|A_q A_l| \in (3b+3d+8; 3b+3d+10)$ და თუ საიდანაც ვღებულობთ $9(b+d+3)^2 = (b+d+3)^2 + |A_q A_l|^2 \in N$, მაშინ $|A_q A_l| = 3b+3d+9 = 3(b+d+3)$.

($A_l N M E$ მართკუთხედიდან)


$$\begin{cases} |A_l E| = |NM| = b+d+3; \\ |ME| = |A_l N|. \end{cases}$$

$$(|A_q M|, |A_l N| \in N) \Rightarrow |A_q E| \in N,$$


ვინაიდან $|A_q E| = |A_q M| + |A_l N|$.

მართკუთხა $\Delta A_l E A_q$ -დან $|A_l A_q|^2 = |A_l E|^2 + |A_q E|^2$,


$|A_q E|^2 \Leftrightarrow 8(b+d+3)^2 = |A_q E|^2$. ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან $b, d, |A_q E| \in N$. ე.ი. არ არსებობს IV და V ტიპის ბიდიოფანტური ოთხკუთხედი, ამიტომ ყველა ბიდიოფანტური n -კუთხედი, რომლის გვერდის სიგრძე 3-ის ტოლია, უნდა იყოს მხოლოდ VI ტიპის (3-ის ტოლი სიგრძის გვერდის შემცველი წრფის ერთ მხარეს მოქცეული) ხოლო რომლის დიაგონალის სიგრძე 3-ის ტოლია, უნდა იყოს მხოლოდ VII ტიპის.




სურ. 14




სურ. 15




სურ. 16




სურ. 17




სურ. 18




სურ. 19




სურ. 20



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23

შემთხვევა VI-სათვის, $\Delta A_l E A_q$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს: $|A_l A_q|^2 = |A_l E|^2 + |A_q E|^2$. საიდანაც ვღებულობთ

$$c^2 = (b+d+3)^2 + 4\left(\sqrt{2(b+1)(b+2)} - \sqrt{2(d+1)(d+2)}\right)^2. \quad (9)$$

განვიხილოთ (9) $d=0$ -სათვის (ეს არის შემთხვევა VIi). ამ შემთხვევისათვის გვაქვს: $|A_p A_l| = 4$, $|A_p A_k| = 3$, $|A_l A_k| = 5$,

$$|A_p A_q| = 3b+5, \quad |A_k A_q| = 3b+4, \quad |A_k M| = b,$$

$$|A_q M| = 2\sqrt{2(b+1)(b+2)}, \quad |A_q E| = 2\sqrt{2(b+1)(b+2)} - 4.$$

ამიტომ (9) მიიღებს სახეს:

$$c^2 = (b+3)^2 + 4\left(\sqrt{2(b+1)(b+2)} - 2\right)^2. \quad (10)$$

ბლაგვკუთხა $\Delta A_p A_l A_q$ -დან სამკუთხედის

უტოლობით გვაქვს:

$$\begin{cases} c+4 > 3b+5; \\ c < 3b+5. \end{cases} \Rightarrow c \in (3b+1; 3b+5).$$

ვინაიდან $c \in \mathbb{N}$, ამიტომ

$$c \in \{3b+2; 3b+3; 3b+4\}. \quad (11)$$

(10)-ის გარდაქმნით მივიღებთ:

$$16\sqrt{2b^2+6b+4} = 9b^2+30b+41-c^2. \quad (12)$$

(11)-ისა და (12)-ის გათვალისწინებით გვაქვს:

$$\begin{cases} 16\sqrt{2b^2+6b+4} = 9b^2+30b+41-(3b+2)^2; \\ 16\sqrt{2b^2+6b+4} = 9b^2+30b+41-(3b+3)^2; \\ 16\sqrt{2b^2+6b+4} = 9b^2+30b+41-(3b+4)^2. \end{cases} b \in \mathbb{Z}_0.$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 16\sqrt{2b^2+6b+4} = 18b+37; \\ 16\sqrt{2b^2+6b+4} = 12b+32; \\ 16\sqrt{2b^2+6b+4} = 6b+25. \end{cases} \quad (13)$$

(13) სისტემის პირველ და მესამე განტოლებას არ გააჩნია ამონახსნი მთელ დადებით რიცხვებში, ვინაიდან ამ განტოლებების მარცხენა მხარე, თუ ის ნატურალურია – ლუწია, მარჯვენა კი – კენტი. მასადავს (13)-დან ვღებულობთ:

$$\begin{cases} 16\sqrt{2b^2+6b+4} = 12b+32; \\ b \in \mathbb{Z}_0. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 4\sqrt{2b^2+6b+4} = 3b+8; \\ b \in \mathbb{Z}_0. \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 16(2b^2+6b+4) = 9b^2+48b+64; \\ b \in \mathbb{Z}_0. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 23b^2+48b=0; \\ b \in \mathbb{Z}_0. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} b = -\frac{48}{23}; \\ b = 0. \end{cases} \Leftrightarrow (b=0).$$

ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ VI_{III} ტიპის მართკუთხედი.

ახლა განვიხილოთ (9) $d = b \neq 0$ -სათვის. ამ შემთხვევაში გვაქვს VI_{III}. ასეთი ბიდიოფანტური ოთხკუთხედები არსებობს იმ $b \in N$ -სათვის, რომელთათვისაც $\sqrt{2(b+1)(b+2)}$ – ნატურალური რიცხვია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასეთი რიცხვები უამრავია.

რაც შეეხება (9)-ს, მისი ამონახსნი იმ შემთხვევაში, როცა $b, d \in N$ და $b \neq d$, ჩვენ მიერ პროგრამა **Basic**-ზე შემოწმებული იყო b და d 1 000 000-მდე, მაგრამ ასეთი ნატურალური c , b და d არ მოიძებნა.

ჩვენი აზრით ასეთი c , b და d არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ამოცანა ბიდიოფანტურ ელიფსზე, რომლის ფოკუსები მოთავსებულია A_l და A_q წერტილებში და რომლის დიდი დიამეტრის სიგრძე $3b + 3d + 9$ -ს ტოლია. მაშასადამე არსებობა ასეთი $A_p A_l A_q A_k$ ბიდიოფანტური ოთხკუთხედისა ტოლფასია არსებობისა ბიდიოფანტურ ელიფსზე ისეთი ბიდიოფანტური ქორდისა, რომელიც არ არის პარალელური კოორდინატა ღერძის.

(9)-ის ანალოგიურად შემთხვევა VII-სათვის მართკუთხა $\Delta A_q E A_l$ -დან მივიღებთ:

$$c^2 = (d - b)^2 + 4\left(\sqrt{2(b+1)(b+2)} + \sqrt{2(d+1)(d+2)}\right)^2. \quad (14)$$

$b = d$ -სათვის მივიღებთ შემთხვევა VII_I და (14) მიიღებს სახეს

$$\begin{cases} c^2 = 4\left(\sqrt{2(b+1)(b+2)}\right)^2; \\ c, b \in N. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} c = 2\sqrt{2(b+1)(b+2)}; \\ c, b \in N. \end{cases} \quad (15)$$

როგორც უკვე ზემოთ იყო ნაჩვენები (15)-ს გააჩნია უამრავი ამონახსნი, ხოლო რაც შეეხება (14)-ს, (9)-ის მსგავსად პროგრამა **Basic**-ზე შემოწმებული b და d 1 000 000-მდე, მაგრამ ასეთი ნატურალურები c , b და d ვერ მოიძებნა. (ჩვენი აზრით ასეთი ოთხკუთხედი არ არსებობს).

VI_{III}-ს არ გააჩნია ამონახსნი, ვინაიდან $[EA_q]$ -ს სიდიდე უნდა იყოს ნატურალური.

VI_{IV}-ს არ გააჩნია ამონახსნი, ვინაიდან $\Delta A_l N A_p$ და $\Delta A_k N A_p$ ერთდროულად უნდა იყოს დიოფანტური მართკუთხა სამკუთხედები, რაც შეუძლებელია ვინაიდან დიოფანტურ განტოლება $x^2 + 3z^2 = y^2$ -ს გააჩნია ერთადერთი ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში $x=4$ და $y=5$.

VI_V – შეუძლებელია, ვინაიდან $|A_l A_k| + |A_l A_p| = |A_l A_p| + |A_l A_k|$, ეს კი ეწინააღმდეგება ცნობილ ამოცანას, რომლის მიხედვითაც ამოზნექილი ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეთა ჯამი მეტი უნდა იყოს მოპირდაპირე გვერდების სიგრძეთა ჯამზე.

VI_{VI} შეუძლებელია, ვინაიდან მაშინ გვექნებოდა, რომ $|BD| = 3c + 3$ ან $|BD| = 3c + 5$.

პირველი შემთხვევა ($|BD| = 3c + 3$) შეუძლებელია, ვინაიდან გვექნებოდა, რომ $|BD| + |AC| = |BC| + |AD|$, რაც ეწინააღმდეგება VI_{IV}-ში ხსენებულ დებულებას.

მეორე შემთხვევაში ვღებულობთ, რომ ΔBAD მართკუთხაა და $c=0$ (ეს კი განხილული იყო VI_{III}-ში).


დავუბრუნდეთ – V-ს.

$$\begin{cases} \cos A_q \widehat{A}_p A_k = \frac{b+3}{3b+5} = \frac{1}{3} + \frac{4}{3(3b+5)}; \\ \cos A_l \widehat{A}_p A_k = -\frac{d}{3d+4} = -\frac{1}{3} + \frac{4}{3(3d+4)}; \\ d, b \in N. \end{cases}$$


$$\Rightarrow \begin{cases} A_q \widehat{A}_p A_k \in (0; \arccos \frac{1}{3}); \\ A_l \widehat{A}_p A_k \in (0; \pi - \arccos \frac{1}{3}) \end{cases} \Rightarrow A_l \widehat{A}_p A_q \in (0; \pi).$$

ანალოგიურად $A_l \widehat{A}_k A_q \in (0; \pi)$.


მივიღეთ, რომ $k=3$ -სათვის ბიდიოფანტური n -კუთხედი შეძლება იყოს მხოლოდ ან სამკუთხედი, ან ოთხკუთხედი, ვინაიდან მას არ შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმები (იხ. სურ. 24, სურ. 25, სურ. 26).



სურ. 24



სურ. 25



სურ. 26

საბოლოოდ გვაქვს


თეორემა (n;3)** თუ ბიდიოფანტური n -კუთხედისათვის $k=3$, მაშინ $n \in \{3; 4\}$.

ახლა განვიხილოთ **ამოცანა** (n; k)** $k=4$ -სათვის.


ამოცანა (n;4)** არსებობს თუ არა ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 4-ის ტოლია, და თუ არსებობს ვიპოვოთ ყველა ასეთი n .

დავუშვათ, რომ არსებობს ისეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი ($n \geq 3$), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია 4-ის. მაშინ ყველა იმ სამკუთხედებისათვის, რომელთა ფუძეც არის 4-ის ტოლი სიგრძის მონაკვეთი, ხოლო მესამე წვეროს კი – ამ n -კუთხედის რომელიმე წვერო, ვერდების სიგრძეთა სხვაობის მოდული ტოლია 0; 1; 2 ან 3-ის. (ეს ადვილი საჩვენებელია სამკუთხედის უტოლობის გამოყენებით).


ვინაიდან არ არსებობს კოორდინატა ღერძის არაპარალელური ბიდიოფანტური მონაკვეთი, რომლის სიგრძე 4-ის ტოლია, (ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ არ არსებობს პითაგორასეული სამკუთხედი, რომლის ჰიპოტენუზის სიგრძე 4-ის ტოლია) ამიტომ ყველა ასეთი სამკუთხედებისათვის გვაქვს ერთ-ერთი შემდეგი ოთხი შემთხვევიდან (იხ. სურ. 27, სურ.28, სურ. 29, სურ. 30).



სურ. 27



სურ. 28



სურ. 29

სურ. 30

VIII_{II} – შემთხვევაში, ვინაიდან $[A_p A_k]$ და $\Delta A_p A_q A_k$ - ბიდიოფანტურებია, ამიტომ $\Delta A_p M A_q$ -ც უნდა იყოს ბიდიოფანტური ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს ბიდიოფანტური მართკუთხა სამკუთხედი, რომლის კათეტის სიგრძეა 2.

VIII_{III}-შემთხვევაში, ბიდიოფანტურ $\Delta A_p M A_q$ და $\Delta A_k M A_q$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს:

$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ (a+1)^2 = (b+4)^2 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ a^2 + 2a + 1 = (b^2 + h^2) + 8b + 16; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ 2a + 1 = 8b + 16; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$

ეს კი შეუძლებელია.

VIII_{IV} – შემთხვევაში, ანალოგიურად VIII_{III}-ისა, მართკუთხა ბიდიოფანტურ $\Delta A_p M A_q$ და $\Delta A_k M A_q$ -

დან გვაქვს:
$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ 6a + 9 = 8b + 16; \end{cases}$$
 ეს კი შეუძლებელია.

$$a, b, h \in N.$$


VIII_{III} – შემთხვევაში ბიდიოფანტურ $\Delta A_p M A_q$ და $\Delta A_k M A_q$ პითაგორას თეორემით გვაქვს:

$$\begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ (a+2)^2 = (b+4)^2 + h^2; \\ a, b, h \in N. \end{cases}$$


$$\Leftrightarrow \begin{cases} a^2 = b^2 + h^2; \\ a = 2b + 3; \\ a, b, h \in N. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} h^2 = 3(b+1)(b+3); \\ a = 2b + 3; \\ b, h \in N. \end{cases}$$

მაშასადამე ყველა ასეთი სამკუთხედებისათვის $[A_p A_k]$ პარალელურია კოორდინატა ღერძის. ამასთან: $|A_p A_k| = 4$; $|A_p A_q| = 2b + 5$; $|A_p A_k| = 4$; $|A_p A_q| = 2b + 5$; სადაც $b \in N$ და $3(b+1)(b+3)$ წარმოადგენს ნატურალური რიცხვის სრულ კვადრატს. ჩვენ მიერ შემოწმებული იყო 25 000-მდე და ასეთი b აღმოჩნდა სულ 54 ცალი.


b	$\sqrt{3(b+1)(b+3)}$	b	$\sqrt{3(b+1)(b+3)}$
5	12	5820	10084
24	45	7171	12424
95	168	7951	13775
360	627	8731	15126
1349	2340	9511	16477
5040	8733	10082	17466
5820	10084	10862	18817
7171	12424	11433	19806
7951	13775	11642	20168




სურ. 31




სურ. 32




სურ. 33




სურ. 34




სურ. 35




სურ. 36




სურ. 37




სურ. 38




სურ. 39




სურ. 40



სურ. 41



სურ. 42



სურ. 43

IX – ტიპის ბიდიოფანტურ სამკუთხედთა სიმრავლე, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, არ არის ცარიელი სიმრავლე.

$$\begin{cases} \cos \widehat{A_q A_p A_k} = \frac{b+4}{2b+5}; \\ \cos \widehat{A_p A_k A_q} = -\cos \widehat{A_q A_k M} = -\frac{b}{2b+3} \end{cases}$$

მაშასადამე, b -ს გადიდებით მცირდება

$$\cos \widehat{A_p A_k A_q} = -\cos \widehat{A_q A_k M} = -\frac{b}{2b+3}.$$

აქაც, წინა პარაგრაფის ანალოგიურად, b -ს გაზრდით მცირდება $\cos \widehat{A_p A_k A_q}$ და $\cos \widehat{A_q A_p A_k}$. ე.ი. იზრდება $\widehat{A_p A_k A_q}$ და $\widehat{A_q A_p A_k}$. ამიტომ $b, d \in N (d > b)$ -სათვის IX ტიპის სამკუთხედებისათვის შეიძლება გვეპოვდეს მხოლოდ X და XI შემთხვევა.

განვიხილოთ X შემთხვევა

$$\Delta A_p A_q A_{q_1} \text{-იდან } c > (2d+5) - (2b+5) = 2(d-b).$$

$$[MN] \parallel [A_p A_k] \Rightarrow \Delta MNA_{q_1}$$

$$\begin{aligned} \text{თ } \Delta A_p EA_{q_1} &\Rightarrow \frac{|MA_{q_1}|}{2d+5} = \frac{|NA_{q_1}|}{|EA_{q_1}|} \Rightarrow |MA_{q_1}| = \\ &= (2d+5) \left(\frac{\sqrt{3(d+1)(d+3)} - \sqrt{3(b+1)(b+3)}}{\sqrt{3(d+1)(d+2)}} \right) = \\ &= (2d+5) \left(1 - \sqrt{\frac{b+1}{d+1} \cdot \frac{b+3}{d+3}} \right) < \end{aligned}$$

$$\begin{aligned} < (2d+5) \left(1 - \frac{b+1.5}{d+1.5} \right) &= \frac{(2d+5)(d-b)}{d+1.5} = \\ &= 2(d-b) + \frac{d-b}{d+1.5} < 2(d-b) + 2; \\ \begin{cases} 2(d-b) < c < 2(d-b) + 2; \\ b, d, c \in N. \end{cases} &\Rightarrow c = 2(d-b) + 1. \end{aligned}$$

მართკუთხა $\Delta A_q NA_{q_1}$ -დან

$$|A_q A_{q_1}|^2 = |A_q N|^2 + |NA_{q_1}|^2$$

ე.ი.

$$\begin{aligned} (2(d-b)+1)^2 &= (d-b)^2 + \\ + 3(\sqrt{(d+1)(d+3)} - \sqrt{(b+1)(b+3)})^2 &\Leftrightarrow \\ \Leftrightarrow 2(3db+4d+8b+8)+1 &= \\ = 6\sqrt{(b+1)(b+3)(d+1)(d+3)}. & \quad (16) \end{aligned}$$

ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან მისი მარცხენა მხარე კენტია, ხოლო მარჯვენა კი, თუ ნატურალური იქნა – ლუწი.

XI – შემთხვევაში ცხადია, რომ

$$\begin{cases} |A_q O| \in (2b+3; 2b+5); \\ |A_l O| \in (2d+3; 2d+5). \end{cases} \Rightarrow$$

$$|A_l A_q| \in (2b+2d+6; 2b+2d+10).$$

ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ

$$\Delta A_l A_q A_k \text{-დან } |A_l A_q| < |A_l A_k| + |A_q A_k| =$$

$= 2d + 5 + 2b + 3 = 2b + 2d + 8$, და $|A_q A_l| \in N$, მაშინ მივიღებთ $|A_q A_l| = 3b + 3d + 9 = 3(b + d + 3)$.

მართკუთხა $A_l N M E$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს $|A_l A_q|^2 = |A_l E|^2 + |A_q E|^2$, საიდანაც ვღებულობთ

$$(2b + 2d + 7)^2 = (b + d + 4)^2 + 3\left(\sqrt{(b+1)(b+3)} + \sqrt{(d+1)(d+3)}\right)^2 \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 6bd + 8(b + d) + 15 = 6\sqrt{(b+1)(b+3)(d+1)(d+3)}. \quad (16i).$$

(16i)-ს არ გააჩნია ნატურალურ რიცხვებში ამონახსნი, ვინაიდან მარცხენა მხარე კენტია, მარჯვენა კი ლუწი.

XII – შემთხვევაში მართკუთხა $A_l N M E$ -დან პითაგორას თეორემით გვაქვს $|A_l A_q|^2 = |A_l E|^2 + |A_q E|^2$, საიდანაც ვღებულობთ

$$c^2 = (b + d + 4)^2 + 3\left(\sqrt{(b+1)(b+3)} + \sqrt{(d+1)(d+3)}\right)^2. \quad (17)$$

(17)-ში $d \neq 0$ -სათვის (XII-შემთხვევა) გვექნება:

$$|A_p A_l| = 3; |A_p A_k| = 4; |A_l A_k| = 5;$$

$$|A_p A_q| = 2b + 5; |A_k A_q| = 2b + 3;$$

$$|A_k M| = b; |A_q M| = \sqrt{3(b+1)(b+3)};$$

$$|A_q E| = \sqrt{3(b+1)(b+3)} - 3.$$

და ამ შემთხვევაში (17) მიიღებს სახეს:

$$c^2 = (b + 4)^2 + \left(\sqrt{3(b+1)(b+3)} - 3\right)^2. \quad (18)$$

ბლაგვეუთხა $\Delta A_p A_l A_q$ -დან სამკუთხედის უტოლობით გვაქვს:

$$\begin{cases} c + 3 > 2b + 5; \\ c < 2b + 5. \end{cases} \Rightarrow c \in (2b + 2; 2b + 5), \text{ მაგრამ ვინაი-}$$

დან $c \in N$, ამიტომ

$$c \in \{2b + 3; 2b + 4\}. \quad (19)$$

$$(18)\text{-ის გარდაქმნით მივიღებთ } 6\sqrt{3b^2 + 12b + 9} = 4b^2 + 20b + 34 - c^2. \quad (20)$$

(18)-ის მარცხენა მხარე უნდა იყოს აუცილებლად ნატურალური რიცხვი და მაშინ ის ლუწი იქნება, ამიტომ, იმისათვის, რომ მარჯვენა მხარეც იყოს ლუწი, (19)-იდან გამოდგება მხოლოდ $c = 2b + 4$ (21) ე.ი (20)-ში (21)-ის ჩასმით მივიღებთ:

$$\begin{cases} 6\sqrt{3b^2 + 12b + 9} = 4b^2 + 20b + 34 - (2b + 4)^2; \\ b \in Z_0. \end{cases}$$

$$\Rightarrow \begin{cases} 3b^2 + 144b = 0; \\ b \in Z_0. \end{cases} \Leftrightarrow b = 0.$$

ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ XII მართკუთხედი.

ახლა განვიხილოთ (17) $d = b \neq 0$ -სათვის.

ამ შემთხვევაში გვაქვს XIIiii. ასეთი ბიდიოფანტური ოთხკუთხედები არსებობს მხოლოდ ისეთი $b \in N$, რომელთათვისაც $\sqrt{3(b+1)(b+3)}$ -ნატურალური რიცხვია. როგორც უკვე ვაჩვენეთ, ასეთი რიცხვები უამრავია.

რაც შეეხება (17)-ის ამოხსნებს, იმ შემთხვევაში, როცა $b, d \in N$ და $b \neq d$, ჩვენ მიერ Basic-ზე შემოწმებული იყო b და d 1 000 000-მდე, მაგრამ ასეთი ნატურალური c , b და d არ მოიძებნა. ჩვენი აზრით ასეთი b და d არ არსებობს. **აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ამოცანა ბიდიოფანტურ ელიფსზე, რომლის ფოკუსები მოთავსებულია A_l და A_q წერტილებში და რომლის დიდი**

დიამეტრის სიგრძე ტოლია $2b+2d+8$. მაშასადამე არსებობა ასეთ $A_p A_l A_q A_k$ ბიდიოფანტური ოთხკუთხედისა ტოლფასია არსებობისა ელიფსზე ისეთი ბიდიოფანტური ქორდისა, რომელიც არ არის პარალელური კოორდინატა ღერძის.

ანალოგიურად (17)-ისა XIII შემთხვევაში მართკუთხა $\Delta A_q E A_l$ -დან მივიღებთ

$$c^2 = (d-b)^2 + 3\left(\sqrt{(b+1)(b+3)} + \sqrt{(d+1)(d+3)}\right)^2. \quad (21)$$

$b = d$ -სათვის ვღებულობთ XIII -ს და (21) მიიღებს სახეს

$$\begin{cases} c^2 = 4\left(\sqrt{3(b+1)(b+3)}\right)^2; \\ c, b \in N. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} c = 2\sqrt{3(b+1)(b+3)}; \\ c, b \in N. \end{cases} \quad (22)$$

როგორც უკვე ზემოთ იყო ნაჩვენები, (22)-ს გააჩნია არაერთი ამონახსნი, ხოლო რაც შეეხება (21)-ს $b \neq d$ -სათვის ჩვენ მიერ პროგრამა Basic-ზე შემოწმებული იყო b და d 1 000 000-მდე, მაგრამ ასეთი ნატურალური c , b და d არ მოიძებნა.

XIV-ს არ გააჩნია ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში, ვინაიდან, მაშინ $\Delta A_k M A_l$ უნდა იყოს ბიდიოფანტური, მაგრამ არ არსებობს პითაგორასეული სამკუთხედი, რომლის ერთ-ერთი კათეტი 2-ის ტოლია.

XV-ს არ გააჩნია ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში $\square M A_p A_l A_k$ -სათვის დაირღვეოდა უტოლობა

$$|A_k A_p| + |A_l M| > |A_l A_p| + |A_k M|.$$

XVI შემთხვევა შეუძლებელია იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც XV.

XVII-ს ვარიანტში გვაქვს, რომ $|BD| = 2c+1$ ან $|BD| = 2c+5$. პირველი შემთხვევისათვის ირღვევა ჭეშმარიტი უტოლობა $|BD| + |AC| > |BC| + |AD|$, რაც შეუძლებელია, ხოლო მეორე შემთხვევაში ვღებულობთ, რომ ΔBAD მართკუთხაა და $c=0$ (ეს კი განხილული იყო XIII-ში).


დავუბრუნდეთ XI-ს:

$$\begin{cases} \cos A_q \widehat{A}_p A_k = \frac{b+4}{2b+5} = \frac{1}{2} + \frac{1.5}{2b+5}; \\ \cos A_l \widehat{A}_p A_k = -\frac{d}{2d+3} = -\frac{1}{2} + \frac{1.5}{2d+3}. \end{cases}$$


$$\Rightarrow \begin{cases} A_q \widehat{A}_p A_k \in \left(0; \frac{\pi}{3}\right); \\ A_l \widehat{A}_p A_k \in \left(0; \frac{2\pi}{3}\right). \end{cases} \Rightarrow A_l \widehat{A}_p A_q \in (0; \pi)$$

ანალოგიურად $A_l \widehat{A}_k A_q \in (0; \pi)$.


მივიღეთ, რომ $k=4$ -სათვის ბიდიოფანტური n -კუთხედი შეიძლება იყოს მხოლოდ ან სამკუთხედი, ან ოთხკუთხედი ვინაიდან მას არ შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმები:



სურ. 44



სურ. 45




სურ.46


საბოლოოდ გვაქვს:

თეორემა (n;4)** თუ ბიდიოფანტური n -კუთხე-
დისათვის $k = 4$, მაშინ $n \in \{3; 4\}$.

ჩვენ მიერ გამოკვლეულია ამოცანა** (n;k), ასევე $k = 5$, $k = 6$, $k = 7$ -სათვის. ზოგიერთი შემთხვევა გადასამოწმებელი გვაქვს. მკითხველი მას იხილავს შემდეგ ნაშრომში.



სურ. 47



სურ. 48

კითხვაზე, ყოველი $k \in N$ ($k \geq 3$)-სათვის არსებობს თუ არა ბიდიოფანტური ოთხკუთხედი, რომლის რომელიმე გვერდის სიგრძე k -ს ტოლია, პასუხი ასევე დადებითია (იხ. სურ. 48).

$$m \in N \setminus \{1\}$$

დასკვნა

ფუნდამენტური კვლევის შედეგად სრულად არის პასუხი გაცემული ზემოთ დასმულ კითხვაზე:

$k = 1$, $k = 2$, $k = 3$ და $k = 4$ -სათვის.

კითხვაზე, ყოველი $k \in N$ ($k \geq 3$)-სათვის არსებობს თუ არა ბიდიოფანტური სამკუთხედი, რომლის რომელიმე გვერდის სიგრძე ტოლია k -სი, პასუხი დადებითია (იხ. სურ. 47).

ნაჩვენებია, რომ $k = 1$ და $k = 2$ -სათვის ასეთი ბიდიოფანტური n -კუთხედი არ არსებობს, ხოლო $k = 3$ და $k = 4$ -სათვის აუცილებლად $n \in \{3; 4\}$. ასევე ნაჩვენებია $k > 2$ -სათვის ყოველთვის არსებობს ბიდიოფანტური ოთხკუთხედი, რომლის რომელიმე გვერდის სიგრძე k -ტოლია.

ლიტერატურა

1. Hadamard J. Elementary geometry. Moscow. 1937. (in Russian).
2. Steinhaus H. Problems and reflections. Moscow. 1974. (in Russian).
3. Sierpinski W. Pythagorean triangles. Dover Publications. 2011. (in Russian).
4. Sierpinski W. Elementary theory of numbers. Warsaw. 1959. (in Polish).
5. Vasilyev N.B. et al. Moscow mathematical olympiads. M.: "Nauka". 1986. (in Russian).
6. Dickson L.E. Introduction to the theory of numbers. Tbilisi. 1941. (in Russian).
7. Ozgigova E.P. What is number theory. Moscow. 1970. (in Russian).
8. Mikhelovich Sh.Kh. Theory of numbers. Moscow. 1962. (in Russian).
9. Shklarsky D.O. et al. Selected problems and theorems of elementary mathematics. Moscow. 1954. (in Russian).
10. Agdgomelashvili Z. Diophantine geometric figures. Problems and solutions from the mathematical tournament of gifted children "Pythagorean Cup 2001-2004". Publishing house "Tsis-Nami". Tbilisi. 2004. (in Georgian).
11. Agdgomelashvili Z. Collection of mathematical problems with solutions. Tb.: "Ganatleba". 1991. (in Georgian).
12. Agdgomelashvili Z. Mathematics (individual and group work). Publishing house "Tsis-Nami". Tbilisi. 2001. (in Georgian).

UDC 511.5

SCOPUS CODE 2607

About one Fundamental Task on Bidiophantine Geometric Figures

Zurab Agdgomelashvili Department of Mathematics, Georgian Technical University, 77 M. Kostava str., 0160 Tbilisi, Georgia
E-mail: diophant_zura@rambler.ru

Reviewers:

Al. Kirtadze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: kirtadze2@yahoo.com

M. Mania, Dr. Sci. in Physics and Mathematics, Chief Scientific Officer, Andrea Razmadze Mathematical Institute of I. Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: mania@rmi.ge

Abstract. The goal of the work is to study one of the fundamental tasks of the study of Bidiophantine n -gons (the author of the paper considers an integral n -gon is Bidiophantine if the coordinates of its each angle are integral numbers).

Task $** (n; k)$: is there a Bidiophantine n -gon ($n \geq 3$) with any side or diagonal equal to k for each fixed natural number k ? In case it exists then let us find each such n .

Key words: Bidiophantine; Diophantine; fundamental research.

UDC 511.5

SCOPUS CODE 2607

Об одной фундаментальной задаче бидиофантовым геометрическим фигурам

**Зураб
Агдгомелашвили** Департамент математики, Грузинский Технический Университет, Грузия, 0160,
Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: diophant_zura@rambler.ru

Рецензенты:

Ал. Киртадзе, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: kirtadze2@yahoo.com

М. Мания, главный научный сотрудник, доктор физико-математических наук Института математики имени А. Размадзе ТГУ

E-mail: mania@rmi.ge

Аннотация. В работе поставлена и изучена бидиофантовая n -угольная задача (автор статьи бидиофантным называет такой целочисленный многоугольник, у которого все вершины являются целыми числами), которая является одной из фундаментальных задач из всех изученных.

Задача $(n; k)$: Существует ли для каждого фиксированного натурального числа такой бидиофантовый n -угольник ($n \geq 3$), длина одной из сторон или диагонали которого равно k , и если существует, то найти все такие n .

Ключевые слова: бидиофантовый; диофантовый; фундаментальное исследование.

განხილვის თარიღი 27.01.2020

შემოსვლის თარიღი 11.05.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2020

UDC 347.21.3

SCOPUS CODE 3308

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-3-155-173>

მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში

მირანდა გურგენიძე გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, საქართველო, თბილისი, ი. ენუქიძის 3

E-mail: mirgurenidze@gmail.com

თამაზ ურთმელიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: t.urmelidze@gmail.com

რეცენზენტები:

ი. გაბისონია, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

E-mail: irakli.gabisonia@mail.ru

ა. მოსულიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

E-mail: a.mosulishvili@gruni.edu.ge

ანოტაცია. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია: „მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში“ ეხება სააღსრულებლო წარმოებაში, მოვალე პირის მიმართ გატარებული იძულებითი ღონისძიებების სამართლებრივ რეგულაციებს.

სტატია შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისგან. შესავალში განხილულია მოვალის და კრედიტორის სამართლებრივი სტატუსი ზოგადად, სააღსრულებლო წარმოებაში, შემდეგ თავებში მოცემულია იმ სამართლებრივი შეზღუდვების შესახებ, რომელიც კანონით გათვალისწინებულია მოვალის მი-

მართ, კერძოდ, მოვალის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში, ყადაღის დადების სამართლებრივი საფუძვლები, ინკასოს დადება მოვალის საბანკო ანგარიშებზე, იძულებითი აუქციონი, ქონების იძულებით მართვა და სხვა.

სააღსრულებლო წარმოება არის რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი სამართლებრივ-სააღსრულებლო პროცედურათა ერთობლიობა, სადაც ძირითადი მხარე კრედიტორი და მოვალეა. მოვალე, სააღსრულებლო წარმოებაში, ის ძირითადი ფიგურანტია, რომლის ქონების რეალიზაციის ხარჯზე, უნდა მოხდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, შესაბამისად, მოვალე პირის მიმართ, განხორციე-

ლებულ თითოეულ იძულებით ღონისძიებას, გააჩნია თავისი დანიშნულება და სამართლებრივი დატვირთვა,

სამეცნიერო სტატიაში, მოცემული და გაანალიზებულია ყველა ის კანონით გაწერილი იძულებითი ღონისძიება, რომელთა ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, მოვალე პირი ფაქტიურად „იძულებული“ ხდება აღსრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ამასთან, მნიშვნელოვანია მოვალის მიმართ ამ იძულებითი ღონისძიებების შედეგად, არ დაირღვეს მისი უფლებები. ნაშრომში, სწორედ ამ კუთხითაა განხილული ერთის მხრივ, სააღსრულებლო კანონის ფუნდამენტური მიზნის – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მეორე მხრივ, წარმოდგენილია ავტორთა მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ არამიზნობრივმა და ცალკეულ შემთხვევებში „ზედმეტმა იძულებამ“ შესაძლოა დაარღვიოს მოვალის კანონისმიერი უფლებები და თავისუფლებები.

საკვანძო სიტყვები: იძულებითი აუქციონი; იძულებითი აღსრულება; კრედიტორი; მოვალე; მოვალეთა რეესტრი; ყადაღა.

შესავალი

წარმოდგენილ სტატიაში მოცემული და გაანალიზებულია ის ღონისძიებები, რომლებსაც იყენებენ სააღსრულებლო ორგანოები იმისთვის, რომ მოვალე „აიძულონ“ შეასრულოს კრედიტორის მიმართ წარმოშობილი ვალდებულება, დადასტურებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-

ლებით და გამოწერილი სააღსრულებლო ფურცლით, თუ ის ნებაყოფლობით გადახდისგან თავს იკავებს. სტატიაში მოცემულია ავტორთა მოსაზრება ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, გამოიხსნება სააღსრულებლო პროცესში დადებული ყადაღა, სარჩელის უზრუნველყოფის ყადაღისგან, გაანალიზებულია მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის საფუძვლები, როგორც მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმა, ნაშრომში აგრეთვე განხილულია იძულებითი აუქციონის, იძულებითი იპოთეკის და ქონების იძულებით მართვის ანუ სეკვესტრის სააღსრულებლო სამართლებრივი ასპექტები.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს კანონით „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ მოწესრიგებულია, ისეთი სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების პროცესში, სააღსრულებლო პროცესის მხარეებს შორის, კანონით განსაზღვრულია, რომ **კრედიტორს** წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელთა სასარგებლოდ ან/და ინტერესებისათვის მიღებულია აღსასრულებელი გადაწყვეტილება. ხოლო **მოვალე** გახლავთ ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომლებსაც გათვალისწინებული აღსასრულებელი

გადაწყვეტილება ავალდებულებს, შეასრულონ განსაზღვრული მოქმედებები ან თავი შეიკავონ განსაზღვრული მოქმედებების შესრულებისაგან. შესაბამისად, აღსრულების მიზანს წარმოადგენს მოვალის კანონისმიერი საშუალებებით იმდაგვარად შეზღუდვა, რომ იძულებითი ღონისძიებათა გამოყენების შედეგად, შესაძლებელი გახდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. სწორედ ეს გახლავთ, ის სამართლებრივი მიჯნა, რომელიც არსებობს ორ მოცემულობას შორის, ერთი მხრივ უნდა აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება მოვალის ქონების რეალიზაციის ხარჯზე და მეორე მხრივ, მოვალე არ უნდა შეიზღუდოს სამართლებრივად იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა სააღსრულებლო ფურცლის აღსასრულებლად და კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

1. მოვალის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში

სააღსრულებლო კანონმდებლობა არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გარკვეულწილად, მოვალის უფლებების „ხელყოფას“ გულისხმობს. ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც **აღსრულების დასაწყისშივე** გამოიყენება მოვალის მიმართ, გახლავთ მისი რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში.

მოვალეთა რეესტრი, უწინარეს ყოვლისა, აერთიანებს ნებაყოფლობითი შესრულებისათვის მზადარმყოფი მოვალეების ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს, რომლებიც დიდი დახმარება არის, როგორც აღსრულების დაწყებამდე, ისე სამომავლოდ განსახორციელებელი სააღსრულებლო მოქმედებების თვალსაზრისით (11,48).

მოვალეთა რეესტრი ითვალისწინებს მოვალისთვის **სამართლებრივად ისეთი შემზღუდავი გარემოს** შექმნას, რომ მან ვერ შეძლოს ქონების განკარგ-

ვა/გასხვისება, სააღსრულებლო წარმოებათა საქართველოს კანონში განსაზღვრულია, რომ: „მოვალეთა რეესტრი არის ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფამდე წარმოებული საშუალება – სისტემატიზებული ელექტრონული ერთობლიობა მონაცემებისა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნთა შესახებ, რომელთა მიმართაც აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრიდან, გარდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალისა. პირი მოვალეთა რეესტრში შეიტანება დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ დაიწყება სააღსრულებლო წარმოება” ამ მუხლიდან იკვეთება, რომ მოვალეთა რეესტრში არ შეიყვანება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და **უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალე**, რაც გულისხმობს, რომ კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. თუ ჩვენ მოვალეებს დავაჯგუფებთ უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ მოთხოვნის მოვალეებად, მივიღებთ იმ მოცემულობას, რომ უზრუნველყოფის შემთხვევაში, სააღსრულებლო პროცესში ყადაღას დავადებთ სანივთო უფლებით დატვირთულ ქონებას, მაგრამ ვერ შევიყვანთ მოვალეს მოვალეთა რეესტრში, რადგან მოთხოვნა უზრუნველყოფილია კონკრეტული ქონებით და ამ ქონების რეალიზაცია იწვევს სააღსრულებლო პროცესის დასრულებას, ხოლო არაუზრუნველყოფის შემთხვევაში მოვალე დაუყოვნებლივ შეიყვანება მოვალეთა რეესტრში და აღსრულების მსვლელობისას, მოძიებულ ქონებას დაედება ყადაღა.

პირს მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციისთანავე

იწვევდა შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას და ქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვის) უფლება, (სააღსრულებლო კანონის 193-ე მუხლი), ამ უფლებების შეზღუდვა ემსახურება მოვალის იძულებას, მოახდინოს ფულადი ვალდებულების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მისი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია. მოვალეთა რეესტრი ამ მხრივ მოვალეთა გაფრთხილების ფუნქციას ატარებს. მარეგისტრირებელ ორგანოებს კი ევალებათ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაუყოვნებლივი ინფორმირება მოვალის მიერ ამა თუ იმ ქონების გაფორმებისას (1,188).

მიუხედავად იმისა, რომ მოვალეთა რეესტრი დღემდე რჩება ყველაზე ეფექტურ საშუალებად მოვალის ქონებრივი უფლებების შეზღუდვისა, პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით კუთხით კითხვის ნიშნებს აჩენს ორი გარემოება:

1. მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის ხანდაზმულობა. 2. მოვალეთა რეესტრში დაცული ინფორმაციის გაცნობის უფლება. აღსანიშნავია, რომ მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის ხანდაზმულობას სააღსრულებლო კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა ამავე კანონის 34-ე მუხლით დადგენილია სააღსრულებო წარმოების ვადები სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე. მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის და წარმოების მიმდინარეობის ვადა ამ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს. (1,187) ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნებოდა ერთი კონკრეტული საერთო ვადის არსებობა, როგორც ეს გერმანიის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. კერძოდ, კი რეესტრაციიდან 3 წლის შემდეგ კანონმდებლის აზრით, იმ

შემთხვევაში, როდესაც მოვალე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნეგატიურად არ წარმოჩენილა საზოგადოების წინაშე საზოგადოების საჭიროება მოვალის არასანდობის შესახებ ქარწყლდება (1,187)

საქართველოს კანონის 19⁴ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეესტრში რეგისტრირებულ პირზე შეზღუდვები მთლიანად იხსნება რეესტრიდან მისი ამორიცხვისთანავე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მოვალის შესახებ მონაცემები ექვემდებარება ელექტრონულად მუდმივ შენეხვას, რაც ბუნებრივია არალეგიტიმურია იმ პირთა მიმართ, რომლებიც ადრე იყვნენ რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. რაც შეეხება მოვალეთა რეესტრში დაცული ინფორმაციის გაცნობის უფლებას, იუსტიციის მინისტრის 2009 წლის #234 ბრძანების შესაბამისად მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირის თაობაზე ინფორმაცია შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა პირმა, თუმცა კანონით დადგენილია საჯაროდ მიჩნეული ინფორმაციის ზღვარი, კერძოდ, საჯაროა მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირის სახელი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ მოვალეთა რეესტრში დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი ადამიანისათვის მხოლოდ და მხოლოდ საფასურის გადახდის შემდეგ, როგორც ამას ითვალისწინებს მე-19¹ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები, მოვალეთა მონაცემები სრულიად უსამართლოდ იქცევა საჯაროდ. ის ინფორმაცია, რომელიც ინახება მოვალეთა რეესტრში აშკარად სცილდება დასაშვებ და აღსრულებისათვის აუცილებელ ფარგლებს. მსგავსი დებულება არის მოვალის ფინანსური მდგომარეობის

დისკრიმინაციასა და სამომავლოდ აფერხებს მისი ფინანსური გაჯანსაღების პროცესი. (11,48).

2. ყადაღა, როგორც სამართლებრივი შეზღუდვის სახე

(სამოქალაქო საპროცესო ყადაღისა და სააღსრულებლო ყადაღის გამიჯვნა)

იურიდიული ლექსიკონების უმრავლესობაში, ყადაღა განმარტებულია, როგორც „უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს გაასხვისოს ყადაღადადებული ქონება.“ აღნიშნული განმარტება მეტად ფართო და ყოვლისმომცველია, თუმცა **თუ მოვახდენთ ყადაღის კლასიფიცირებას იმის მიხედვით, სამართალწარმოების რა ეტაპზე ხდება ყადაღის დადება მოვალის ქონებაზე**, მივიღებთ იმ მოცემულობას, რომ ერთი მხრივ სახეზე იქნება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის გამოყენებას მიმართავს კრედიტორი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და მეორე მხრივ, გვექნება ყადაღა, დადებული სააღსრულებლო პროცესში, რომელიც სააღსრულებლო კანონით გათვალისწინებული ეტაპია და გამოიყენება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტი, მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის თვალსაზრისით. შესაბამისად განსხვავდება **ყადაღის დამდები სუბიექტებიც**, პირველ შემთხვევაში ყადაღას, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას ახორციელებს სასამართლო, მოსარჩელე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მეორე შემთხვევაში კი სახელმწიფო ან კერძო აღმასრულებელი. მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს აგრეთვე, **თავად ყადაღის დადების მიზანი**, სარჩელის უზრუნველყოფის დროს მოსარჩელისთვის უპირატესია, ყადაღა დაედოს მოპასუხის ქონებას, სარჩელის

წარდგენამდე (ან ერთდროულად) რათა პროცესის მსვლელობისას თავიდან იქნეს აცილებული მოპასუხის მხრიდან ქონების გასხვისება და გამწვანდეს გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191–199¹ მუხლებით გათვალისწინებულია ყადაღის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გამწვანდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე.

სარჩელის უზრუნველყოფის მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტია გათვალისწინებული სააღსრულებლო კანონის 91¹⁰-ე მუხლით, მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გულისხმობს, ყადაღის დადებას სააღსრულებლო ბიუროს მხრიდან გამარტივებული წარმოებისას, აღნიშნული წარმოება მიეკუთვნება არასააღსრულებლო ურთიერთობათა სპეციფიკურ ჯგუფს, და გამოიყენება ვადამოსულ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებულ საქმეებზე, დოკუმენტურად დადასტურებული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, იმ დროს, როცა რესპონდენტი ვალის არსებობას არ უარყოფს, გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს გვერდის ავლით, არსებითი განხილვის გარეშე, ალტერნატიული ორგანოს მეშვეობით გულისხმობს. გამარტი-

ვებული წარმოება შეიძლება დაიწყოს ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებულ ვადამოსულ მოთხოვნებზე და, როგორც წესი, ეს ვალდებულება კერძოსამართლებრივია, უმეტესად კი სამოქალაქო. ამ დროს ყადაღა, გამოიყენება აპლიკანტის (ანუ კრედიტორის/მოსარჩელის) მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით და აღსრულების ეროვნული ბიურო მარეგისტრირებელ ორგანოში რესპონდენტის (ანუ მოვალის/მოპასუხის) დარეგისტრირებულ ქონებას დაადებს ყადაღას ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, კერძოდ:

- აპლიკანტი ითხოვს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით რესპონდენტის ქონებაზე ყადაღის დადებას;
- აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას და საგარანტიო თანხის სახით შეტანილი თანხა აკმაყოფილებს აღსრულების წინასწარი საფასურისათვის გათვალისწინებულ ოდენობას;
- აპლიკანტი თავად მიუთითებს, თუ რესპონდენტის რომელ ქონებაზე უნდა იქნეს გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება;
- აპლიკანტს გადახდილი აქვს ყადაღის დადებისათვის გათვალისწინებული საფასური.

აღნიშნული ტიპის ყადაღა, თავისი შინაარსით განსხვავდება **სააღსრულებლო ყადაღისგან**, (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი იძულებითი სააღსრულებლო წარმოების ერთ-ერთი ეტაპია) თუმცა მეტ მსგავსებას პოულობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სარჩელის უზრუნველყოფის ყადაღასთან, (თუნდაც მიზნობრიობიდან გამომდინარე, რადგან კრედიტო-

რისთვის ამოსავალი წერტილია, რომ მოვალემ ვერ შეძლოს ქონების გასხვისება, რაც საბოლოო ჯამში შეაფერხებს ან საერთოდ შეუძლებელს გახდის იძულებით აღსრულებას) ეს ლოგიკურია ასახსნელია, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2012 წლის 8 მაისის ცვლილებებამდე გამარტივებულ წარმოებას ვადამოსულ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოები ახორციელებდნენ და გათვალისწინებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე-209-ე მუხლებით.

რაც შეეხება **სააღსრულებლო პროცესში დადებულ ყადაღას**, ის არის იძულებით ღონისძიების ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია, მას შემდეგ, რაც დღის წესრგში დადგება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება და მოვალე პირისთვის გარკვეული სამართლებრივი შეზღუდვების დაწესება. სააღსრულებლო ყადაღის დადება აღმასრულებლისთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებაა, გამომდინარე იქიდან, რომ თუ არა „**იძულება, გამოხატული ქონების დაყადაღებით**“ მოვალემ ქონება შესაძლოა დაუყოვნებლივ გაასხვისოს, გაიგებს თუ არა, რომ მის მიმართ დაწყებულია აღსრულება და შესაბამისად კრედიტორი ვეღარ შეძლებს თავისი ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას. იმის გამო, რომ მოვალეს აღარ გააჩნია ქონება. ამ შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ დადგეს იმ გარიგებათა ბათილობის საკითხი, რომელიც მოვალემ დადო იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა ვალდებულების შესრულება, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა აღსრულების დაწყება. (სამოქალაქო კოდექსის მოჩვენებითი გარიგების მუხლები).

სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დაკ-
მაყოფილების საკითხს რასაკვირველია, განიხილავს
სასამართლო, თუმცა მხოლოდ მოსარჩელის მი-
მართვის შემდეგ, შესაბამისად, მოსარჩელე მხარე
აფასებს ღირს თუ არა იმ ბერკეტის გამოყენებაზე
შუამდგომლობა, რასაც ყადაღა ეწოდება. ამასთან,
ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ სარჩელის
უზრუნველყოფის შემთხვევაში, სასამართლო პრო-
ცესი, არათუ დასრულებული, შესაძლოა დაწყებუ-
ლიც არაა და ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილება
გამოტანილი, ხოლო სარჩელის დაუკმაყოფილებ-
ლობის შემთხვევაში, შესაძლოა სასამართლოს მიერ
დადებული ყადაღა გაუქმდეს, ამ კუთხით, აღნიშ-
ნული ყადაღა შეიძლება მოვიწოდოთ, როგორც უფ-
რო „დამზოგველი“ და „ნაკლებად ზიანის მომტანი“,
მოვალისთვის, ვიდრე სააღსრულებლო ყადაღა,
რადგან ამ უკანასკნელის დადების შემდეგ, ქონება
ფასდება და ხდება მისი იძულებითი რეალიზაცია,
იძულებით აუქციონზე. ქონების ცნების სამართლებ-
რივი დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექს-
ში, სადაც განმარტებულია: „ქონება, ამ კოდექსის
მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური
ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა
და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ
პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუ-
დავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ
ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“ თუ, ქონების
ცნებას შევხედავთ აღსრულების ჭრილში ანუ იმ
კუთხით, რომ მოვალის სახელზე არსებული ქონება,
გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებ-
ლობის შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს იძულებითი
აღსრულების ობიექტი, მაშინ მივიღებთ იმ მოცემუ-
ლობას, რომელიც განსაზღვრულია სააღსრულებლო

წარმოებათა კანონის 44-ე მუხლში: „ყადაღას ექვემ-
დებარება მოვალის ყველა ნივთი, გარდა ამ კანონის
45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონებისა (იგულისხ-
მება, რომ ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვა-
ლესთან, მას ეკუთვნის).“ შესაბამისად, გამომდი-
ნარეობს, რომ ყადაღა შესაძლოა დაედოს მოვალის,
როგორც უძრავ და მოძრავ ქონებას, არამატერია-
ლურ ქონებრივ სიკეთეს, (სამოქალაქო კოდექსის
152-ე მუხლი: „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე
არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შე-
იძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია
საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერია-
ლური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთ-
ხოვოს სხვა პირებს რაიმე.“) და ფულად სახსრებს,
ამასთან, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის
გარემოება, რომ აღმასრულებელი მას შემდეგ ადებს
მოვალის ქონებას ყადაღას, როდესაც ის დაასრუ-
ლებს მარეგისტრირებელი ორგანოებიდან/ ბანკები-
დან მოვალის სახელზე რიცხული ქონების მოძიებას,
ან მოძრავი ნივთების აღწერის/დაყადაღების ოქმის
საუბველზე, შეექმნება წარმოდგენა მოვალის ქონება-
ზე. ეს ქონება კანონის დანაწესიდან გამომდინარე
შესაძლოა იყოს: მიწის ნაკვეთი, სახლი, აგარაკი
(მოიძიება საჯარო რეესტრში) ავტოსატრანსპორტო
საშუალება, ცეცხლსასროლი იარაღი, (მოიძიება შსს
მომსახურეობის სააგენტოში) მოვალის საკუთრე-
ბაში არსებული წილი, (მოიძიება საჯარო რეესტრში)
ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, (მოიძიება „მე-
წარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვ-
რული წესით დამოუკიდებელ რეგისტრატორთან.)
მოვალის საცხოვრებელ მისამართზე არსებული
საოჯახო ნივთები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ყადაღის წესები საერთოა, ქონების ცნებიდან გამომდინარე, ოდნავ განსხვავებულად რეგულირდება ყადაღის დადების პროცედურები მოძრავ და უძრავ ქონებაზე, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე და ფულად სახსრებზე, რაც გულისხმობს შემდეგს: სააღსრულებლო კანონის 40-ე მუხლში განსაზღვრულია: „მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების – აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახავად გადაცემას. აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღწუსხავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში.“ ამასთან, ბათილია ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ზემოაღნიშნული გარიგების დადება. როდესაც ვსაუბრობთ მოძრავი ნივთების დაყადაღების სპეციფიკაზე, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რა მოიაზრება 44-ე მუხლის ბოლო წინადადებაში: „ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეკუთვნის“ აღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება, რომ მოვალის საცხოვრებელ მისამართზე არსებული ნივთები მოვალის საკუთრებაა, მიუხედავად იმისა, თუ ვის სახელზეა რეგისტრირებული ის უძრავი ქონება, რომელშიც განთავსებულია ყადაღის ობიექტი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვალე არის უძრავი ქონების დამქირავებელი და ბინაში განთავსებული ნივთები დამქირავებლის საკუთრებაა, თუმცა კანონში ჩანაწერი – „იგულისხმება, რომ მოვალის საკუთრებაა“ – აღმასრულებელს აძლევს სრულ უფლებას, დაქირავებულ ბინაში არსებული ნივთები მიიჩნიოს ყადაღის ობიექტად

და განახორციელოს მოძრავი ქონების დაყადაღება. მეორე სამართლებრივ მოცემულობას გვაძლევს სააღსრულებლო კანონის 40-ე მუხლის მე-6 პუნქტი: „თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას მესამე პირი განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას, იგი მაინც შეიტანება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში და კეთდება აღნიშვნა. აღმასრულებელი პირს იმავდროულად განუმარტავს მის უფლებას – მიმართოს სასამართლოს სარჩელით ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით. თუ მესამე პირი წარმოადგენს ქონებაზე თავისი საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, აღმასრულებელი, კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ეს ქონება ამორიცხოს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან.“ ამ მუხლის დანაწესიდან იკვეთება შემდეგი: ა. მოვალის ქონებაზე შესაძლოა პრეტენზია განაცხადოს მესამე პირმა ბ. მესამე პირის საკუთრების უფლების დაცვა სასამართლო წესით (სასარჩელო წარმოება ყადაღისგან გათავისუფლების მოთხოვნით) გ. აღმასრულებლის უფლებამოსილება, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქონება მაინც შეიტანება აღწერა – დაყადაღების აქტში, რადგან პრეტენზიის გაცხადება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მესამე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კანონით გათვალისწინებული „საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტი“ შესაძლოა იყოს ნივთის განვადების საბუთი, თუნდაც ბუღალტრული ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც მოვალის მოძრავი ნივთის მესაკუთრედ ყოფნას ვივარაუდებთ. აღნიშნული მსჯელობა ეხება მოძრავ ნივთებს და მათთან დაკავშირებულ აღწერა დაყადაღების აქტს. რაც შეეხება უძრავ ქონებას, მასზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის

დადებისათვის დადგენილი წესით, (სააღსრულებლო კანონის 63-ე მუხლი) თუმცა იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომ უძრავ ქონებაზე ყადაღა აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს მარეგისტრირებელ ორგანოში, ამას ის სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია, რომ შეფასების შემდეგ, იძულებით აუქციონზე, ქონების რეალიზაციას მოახდენს ის აღმასრულებელი, რომლის ყადაღა პირველად დარეგისტრირდა მარეგისტრირებელ ორგანოში, აღსრულების რიგითობა განისაზღვრება ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის დროის მიხედვით (საათობრივად და წუთობრივად) ეს მოცემულობა იმ შემთხვევაში დადგება, თუ სახეზე გვაქვს, ე.წ. „**მრავალჯერადი ყადაღა**“ სააღსრულებლო კანონის 54-ე მუხლის მიხედვით, ქონებას ერთდროულად შეიძლება ყადაღა დაედოს მრავალი კრედიტორის სასარგებლოდ. ყადაღადადებულ ქონებას შეიძლება შემდეგ კიდევ დაედოს ყადაღა სხვა (შემდეგი) კრედიტორის სასარგებლოდ.

ცალკე აღსანიშნავია, ყადაღის დადება მოვალის კუთვნილ ფულად სახსრებზე ბანკში, აღმასრულებელი, პირველ რიგში მიმართავს საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დაწესებულებას იქ არსებული მოვალის საბანკო ანგარიშების მოძიებასა და მათი დაყადაღების შესახებ. ყადაღის დადება შესაძლებელია ნებისმიერ ანგარიშზე, მათ შორის სახელფასო, საპენსიო, საკრედიტო, საანაზრე თუ სხვა ნებისმიერი სახის ანგარიში.

ფულად სახსრებზე ყადაღის მსგავსია საინკასო დავალება, რომელიც აგრეთვე მოვალის საბანკო ანგარიშებზე ხორციელდება და თავისი შინაარსით არის გარკვეული ტიპის სადებეტო საგადახდო დავალებას, რომლის გაცემა გადამხდელის ბანკის-

ვის ხდება საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი პირის მიერ. საინკასო დავალების გამცემი პირი არ მოქმედებს, როგორც გადამხდელი და რიგ შემთხვევაში არც თანხის მიმღებია. საინკასო დავალების შესრულებისათვის გადამხდელის ბანკს არ სჭირდება გადამხდელის თანხმობა. საინკასო დავალების გაცემა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მკაცრად შეზღუდულ შემთხვევებში, როგორცაა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს ერიცხება საგადასახადო დავალიანება და სხვა. რიგ შემთხვევებში საინკასო დავალება, შეიძლება მოვიაზროთ, როგორც იძულებით სააღსრულებლო ღონისძიება, რადგან აღმასრულებელი უფლებამოსილია, ფულადი მოთხოვნის იძულებითი გადახდევინება მოახდინოს საინკასო დავალების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან, როდესაც გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისთვის კანონით დადგენილი ვადა უშედეგოდ გადის, აღმასრულებელი შესაბამის საბანკო დაწესებულებას უგზავნის საინკასო დავალებას (განკარგულებას), აღმასრულებელი მოთხოვნის ფარგლებში მოვალის საბანკო ანგარიშიდან მითითებული თანხის ჩამოჭრისა და სააღსრულებლო ბიუროს სადებეტო ანგარიშზე დარიცხვის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, როცა მოვალეები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ან/და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებია, საინკასო დავალება შესასრულებლად ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საინკასო დავალების (განკარგულების) შესრულება სავალდებულოა და მისი შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ფუ-

ლად სახსრებზე ყადაღასა და საინკასო დავალებას, შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ყადაღის დროს მოვალის ყველა ანგარიში ყადაღდება, თუმცა ყადაღა არ გულისხმობს თანხის ავტომატურ ჩამოჭრას მოვალის ანგარიშიდან, საინკასო დავალების დროს მოვალის ანგარიშზე არსებული ნაშთი იჭრება და მიექცევა სააღსრულებლო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, საიდანაც ხდება შემდგომში კრედიტორის დაკმაყოფილება.

საინკასო დავალებას ერთჯერადი ხასიათი გააჩნია და აღმასრულებელმა ყოველ ჯერზე უნდა მიმართოს საბანკო დაწესებულებას, ინკასოს მოთხოვნით, თუ მოვალის ანგარიშზე თანხის შემოდინება დაფიქსირდება. იმისთვის, რომ გამართულად განხორციელდეს ეს პროცედურა, მიგვაჩნია, რომ ყადაღადადებულ ანგარიშს ჯერ უნდა მოეხსნას ყადაღა და მაშინვე ჩანაცვლდეს ის საინკასო დავალებით.

სააღსრულებლო წარმოებათა კანონი, ითვალისწინებს აგრეთვე ყადაღის დადების პროცედურას **მოთხოვნების** აღსრულებისას, რაც გულისხმობს, რომ თუ მოთხოვნას ყადაღა უნდა დაედოს, აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოსცემს განკარგულებას მასზე ყადაღის დადების შესახებ. განკარგულებაში აღნიშნული უნდა იყოს კრედიტორის პრეტენზიის საფუძველი, მის მიერ შესასრულებელი მოთხოვნები და ის, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული მოვალის მოთხოვნა (დავალებული პირი). ყადაღის დადებასთან ერთად გამოცემული უნდა იქნეს განკარგულება კრედიტორისათვის გადახდის თაობაზე.

ყადაღის დადების განკარგულება უნდა გადაეცეს დავალბულ პირს (პირი, რომელსაც იძულების წესით აღეწერება მასთან შენახული მოპასუხის ქონე-

ბა). განკარგულება უნდა გაეგზავნოს კრედიტორსა და მოვალეს. დავალბული პირისათვის განკარგულების გადაცემით ყადაღა ქმედითი ხდება **კრედიტორის პრეტენზიის ფარგლებში**. მოვალეს აღარ აქვს უფლება, განკარგოს მოთხოვნები, დავალბულ პირს კი აღარ აქვს უფლება, შეასრულოს მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს. მან ყადაღადადებული თანხა უნდა გადაუხადოს კრედიტორს. 57-ე მუხლით, გათვალისწინებულია ყადაღის დადების შედეგები: „ყადაღის დადების შესახებ განკარგულება უფლებას ანიჭებს კრედიტორს მოსთხოვოს მესამე პირს ისეთი მოქმედების მის სასარგებლოდ შესრულება, რომელიც მას უნდა შეესრულებინა თავისი მოვალის მიმართ.“ ამ სამართლებრივი დანაწესით სახეზე გვაქვს შემდეგი მოცემულობა, კრედიტორი, მოვალის „მოვალეს“ ანუ 57-ე მუხლით გათვალისწინებულ „მესამე პირს“ სთხოვს, ვალდებულების შესრულებას, მის მიმართ და არა მოვალის მიმართ, რომელიც 57-ე მუხლით გათვალისწინებულ „მესამე პირისთვის“ კრედიტორს წარმოადგენს. **ყადაღის ობიექტი**, ამ შემთხვევაში გვაქვს მოთხოვნა, რომელიც წარმოშობილია კრედიტორის მოვალესა და 57-ე მუხლით გათვალისწინებულ „მესამე პირს“ შორის.

მიუხედავად, იმისა რომ კანონით გათვალისწინებულია საკმაოდ ფართო ჩამონათვალი, ყადაღას დაქვემდებარებული ქონებებისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს იმ ნივთების ნუსხა, რომელთა დაყადაღებაც და შესაბამისად იძულებითი რეალიზაციაც დაუშვებელია. ასეთი ნივთებია: მოვალის პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისთვის. ასეთი

ნივთი, მაგალითისთვის, შესაძლოა იყოს პიანინო, თუ მოვალე პროფესიით მუსიკოსია და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. მან აღმასრულებელს უნდა წარმოუდგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რომ ნივთებს პროფესიული საქმიანობისთვის იყენებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში, აგრეთვე, ჩამოთვლილია: საკვები, სანათი, საწვავი და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა, რაც ყადაღას არ ექვემდებარება. ასევე, არ შეიძლება დაყადაღდეს ნივთები, რომლითაც მოვალე ფიზიკური და გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით შემოსავალს იღებს.

3. უძრავ ქონებაზე აღსრულების სახეები მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის კრილში

3.1. სეკვესტრი (ქონების იძულებით მართვა)

მოვალის წინააღმდეგ წარმოებულ სააღსრულებლო პროცედურებში ვხვდებით ისეთ სამართლებრივ მექანიზმს, როგორცაა სეკვესტრი ანუ ქონების იძულებითი მართვა, რომელიც აღსრულების ერთ-ერთი სახეა. კრედიტორს უფლება აქვს წარადგინოს განცხადება და მოითხოვოს, რომ აღსრულების საგანი სამართავად გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს, შესაბამისად, სასამართლო ადგენს ნივთის იძულებით მართვას (სეკვესტრს) იძულებითი აღსრულებისთვის უფლებამოსილი კრედიტორის განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ უნდა მოუსმინოს იმ პირებს, რომელთა უფლებებიც შეიძლება შეილახოს იძულებითი მართვით. პირველ რიგში ეს არის მოვალე პირი, რადგან სწორედ მისი ქონების იძულებითი მართვა საუბარია.

როგორც აღვნიშნეთ, სეკვესტრი ხორციელდება სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს თავად იპოთეკარი, ხოლო თუ სეკვესტრი ხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული იძულებით აღსრულების ფარგლებში, ასევე – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნული მმართველი ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე. მმართველი არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს წევრი ან ამ გადაწყვეტილების მიმღების ახლო ნათესავი. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი მართვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მმართველად ინიშნება აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი. მმართველად კრედიტორის დანიშნისთვის საჭიროა მისი თანხმობა. იძულებითი მართვის შედეგად მმართველი იღებს ნივთისაგან ნაყოფს და განაწილების გეგმის საფუძველზე, რომელსაც ადგენს თვითონ და ამტკიცებს სასამართლო, ანაწილებს მას წლის ბოლოს ყველა დანახარჯის გამოკლებით, რომელთაც მიეკუთვნება მართვის ხარჯებიც. იძულებითი მართვის შედეგად ამოღებული თანხები (მიმდინარე ხარჯების გამოკლებით) შეტანილ უნდა იქნეს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, რის შესახებაც მმართველი აცნობებს აღმასრულებელს. მმართველი პასუხს აგებს ყველა ვალდებულებისათვის, რომლებიც მას აქვს ყველა მონაწილე მხარის მიმართ. ის ვალდებულია, ნახევარწელიწადში ერთხელ და მმართველობის დასასრულს წარადგინოს ანგარიში. მმართველის ანგარიშში წარედგინება აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც, თავის მხრივ, მას წარუდგენს კრედიტორსა და მოვალეს. მმართველი და აღმასრულებე-

ლი ვალდებული არიან, აცნობონ სასამართლოს, ხოლო თუ იძულებითი მართვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო იღებს გადაწყვეტილებას იძულებითი მართვის შეწყვეტის შესახებ. იძულებითი მართვა უნდა ასევე გაუქმდეს, როდესაც კრედიტორი დაკმაყოფილებულია ან აშკარაა, რომ მართვის გზით კრედიტორის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება. იძულებითი მართვის გამოყენება დაუშვებელია, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია, ან, თუ ის არ უზრუნველყოფს იმ პირობების შექმნას, რომლებიც აუცილებელია იძულებითი მართვის ნორმალურ პირობებში განსახორციელებლად. იძულებითი მართვა წყდება და აღსრულება ზოგადი წესის შესაბამისად გრძელდება, თუ: იძულებითი მართვის შედეგად არ დაიფარა ვალდებულება და, იმავდროულად, არ არსებობს იძულებითი მართვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი; - დაირღვა იძულებითი მართვის პირობები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია დარღვევის მცირე დროში, იძულებითი მართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტამდე, აღმოფხვრა); - იძულებითი მართვის პერიოდში გამოვლინდა სხვა გარემოება, რომელიც სამართლებრივი ან ფაქტობრივი თვალსაზრისით გამორიცხავს იძულებითი მართვის გამოყენებას. (14,595-596)

აღსანიშნავია, რომ სეკვესტრი არ გამოიყენება იმ ქონების მიმართ, რომელიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის თანახმად არ ექვემდებარება ყადაღას.

3.2 იძულებითი იპოთეკა

